

ლიტერატურული გაზეთი

№63 25 ნოემბერი - 8 დეკემბერი 2011

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



გურამ მეგრელიძევილი

მოდელი
18/12

II-III

გურამ დოჩანაშვილი

პაცი,
სახელად
ნოე

VI-VII

მიხო მოსულიძევილი

სა-
შა-
მან-
ღრა

X-XI

თავი პირველი

სადაც დავალაპის მიხედვით მონანილაეპი ქმნიან ან ნანარომების ავტორის პორტრეტს

რომორც ყველა ნამდვილი მწერალი, თვითმკვლელობაზე ხანდახან მეც ვფიქრობ. მართალია, ეს ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე. ასეთ დროს ჩემი მართო დარჩენა არაფრით არ შეიძლება. ასეთ დროს ერთადერთი, რაც მშველის, ხალხში ტრიალი და დაღვება. როცა ეს ვამ, აქტიური და აგრესიული ვხდები გარემომოყოფების მიმართ და ცოტა ხნით საკუთარი თავი მავინწყდება.

რადიოტელევიზიით, ენერგიებსაც აქვთ თავიანთი სიხშირე, რომელსაც დროდადრო ვიჭერთ და მასზე ვენწყობით. ვთქვათ, მოდის თვითმკვლელობის, ძალადობის, სხვათა მკვლელობის, დეპრესიის, სიხალისის ან სექსუალურად აღგზნებაობის ტალღა. მე და ჩემნაირები ვხსენებთ და არაფერზე ვფიქრობთ. ამ დროს კი ზოგი ჩვენგანი ერთ ტალღას იჭერს, ზოგი მეორეს, ზოგიც მეხუთეს. აბა, რატომ, რომ ადამიანს უცებ თვითმკვლელობა უნდება, ან სამსახურში ზის, რაღაც ქაღალდებშია თავჩარგული და უცბად აღიგზნება, ისე აღიგზნება, რომ თუ პარტნიორი არ ჰყავს (ან გინდაც ჰყავდეს), შეიძლება ოფისის ტუალეტში შევიდეს და მასტურბირება დაიწყოს?!

რატომ ხდება ასე? რა პრინციპით ვიჭერთ ამ სიხშირეებს და რატომ ვართ ხშირად ერთსა და იმავე ტალღაზე?

მე ხანდახან თვითმკვლელობაზე ვფიქრობ და ახლა სწორედ ეს პერიოდი მაქვს. ვზივარ ბინაში და მეშვიდე სართულის ფანჯრიდან ეზოში ვიყურები. წყნარი უბანია, ზედმეტად წყნარიც კი, იმდენად წყნარი, რომ ნერვებს მიშლის. რომ ხმაურობდნენ, მანუხებდნენ, საბაბი მექნებოდა, ვინმესთვის დამებრალებინა, რომ ვერ ვნერ. ახლა კი ასეთი საბაბი არ მაქვს.

თითქმის ერთი თვეა ამ ბინაში ვცხოვრობ. აქამდე საჭმელი ჩემ მეგობარ გოგოს ამოჰქონდა ხოლმე, ახლა მასაც აუკურძალე მოსვლა. მოდის და მაცდენს, ან უაზროდ ლაპარაკობს, ან ვფიქრობთ.

პური აღარ მაქვს. მაცივარში რაღაც საჭმელი დევს, მაგრამ პური აღარ მაქვს. მინდა, რომ თავს რამე სანქციები დაუწესოსო და დავანერინო, თორემ ასე აღარ შეიძლება. ერთ კვირაში მევალებები მომადგებიან და ფულს მომთხოვენ. მე ფული არ მაქვს, სამაგიეროდ მქონდა იმედი, რომ მექნებოდა. ოცი გვერდი მაინც რომ დამწერა, გამომცემელს ჰონორარს დავსტყუებდი, ახლა კი არაფერი, ახლა აღარაფერი.

დეპრესია არ მაქვს. ეს სხვისი ტალღაა, მე უბრალოდ თვითმკვლელობაზე ვფიქრობ. ეს ყველაზე ადვილი გზაა გაექცე პასუხისმგებლობას, გაექცე შენს თავსაც და სხვებსაც, ყველას, ვინც გიყურებს და ელოდება, რას წერ.

არაფერსაც არ ვწერ, არაფერსაც არ ვაკეთებ. ზოგჯერ მინდა გამოვაცხადო — არაფერსაც არ ვაკეთებ. ფეხებზე მკიდია წერაც, კითხვაც, ფიქრიც და ყველაფერი მსგავსი სირობაც, მაგრამ ვერ ვბედავ, გაჩხერილი ვარ საკუთარ ამბიციებში.

საოცარი რამ არის ლიტერატურა. თვითონ ქმნის პროცესია საოცრება — წერ და შენს პერსონაჟში ჩანს, რა გტკივა და რა განუხებს, პერსონაჟზე დაკვირვება ერთგვარი ტესტია. აი, მე რომ ახლა რამე დამწერა, ჩემი გმირი აუცილებლად მწერალი იქნებოდა, ექნებოდა უამრავი ვალი, როგორც მე მაქვს, ეყოლებოდა მეგობარი გოგო, რომელიც მისგან ორსულადაა, თვითონ კი სულ სხვაზე იქნებოდა შეყვარებული. მე რომ ახლა ვინმეზე დავწერო, ეს ვინმეც ჩემსავით უნდა იყოს გამომწყვდეული სადაღაც ოთახში და თავს წერას აძალელებს, ან აიძულებდნენ ისევე, როგორც მე მაიძულებენ.

— დანერე რამე? — მეკითხებიან ნაცნობები და როცა ვუღიმი, ერთი სული მაქვს, ყელში წავავლო და დავახრჩო.

ნადით და ღმერთს ჰკითხეთ, აბა, ჰა, რა ქენი, შექმენი რამე ახალი? დანერე რამე? ადამიანი თუ ერთხელ მაინც ვერ გახდება გმირი, ის ვერასოდეს გახდება ადამი-

ანი. მე სამჯერ ვერ გახები გმირი, სამჯერ უარყავი ის, რაზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი და ახლა ვზივარ ძალიან ჩუმი უბნის მეშვიდე სართულზე, მშია და წერა მინდა, მაგრამ არ შემიძლია. გადავწყვიტე მანამდე არ შევქაჩო, სანამ რამეს არ დავწერ. ისიც არ ვიცი, რაზე დავწერო, მაგრამ ვიცი, რომ პერსონაჟი აუცილებლად მწერალი იქნება, მწერალი, რომელიც ვერ წერს.

ამ ბინიდან გზა ჩანს. ეს გზა ქალაქს გარშემო არტყია. აქ ტრანზიტული მანქანები დადიან. წუთში დაახლოებით ერთი ტრაილერი მაინც ჩაივლის ხოლმე. ბევრჯერ ვცადე მეტვალა, მაგრამ შუა თვლაში თვლა მავინწყდება, ფიქრი გამიბრბის.

კარგი რამეა ტრაილერის მძღოლობა. მთელი ცხოვრება გადის A ნერტილიდან B ნერტილამდე მისვლაში. ალბათ ამ მძღოლებს რომ ჰკითხო, ერთფეროვანი ცხოვრება აქვთ. არაფერი საინტერესო მათთან არ ხდება, სიცოცხლის ნახევარზე მეტს გზაში ატარებენ. გზაში ხდება ყველაფერი — სიმარტოვე, ფიქრი, სექსი, ოჯახის მონატრებაც. ამერიკულ კინოებში რომ არის ხოლმე — ვილაცა ტრაილერის მძღოლი უაზრო შარში გაეხვევა და შენ, მაყურებელი, ფიქრობ, რა უბედურია ეს კაცი, ვილაცა იდიოტი მკვლეელი გადაეკიდა და სიცოცხლე გაუშნარა. სინამდ-

გურამ მეგრელიშვილი

მოდელი 18/12

ფრაგმენტები რომანიდან



ვილემში ასე ხომ არ ხდება? სინამდვილე სულ სხვანაირია. რეალურად, კინოში საერთოდ არ ჩანს ქუმარიტება. ეს თვითონ რეჟისორებმაც კი არ იციან. ეს იციან მხოლოდ სცენარისტებმა.

ის „საგზაო მკვლელები“, ვინც მძღოლს მანქანა დაუმტვრია, ლამის მოკლა, ყველაფერი აურ-დაურია, სინამდვილეში კეთილი ანგელოზია, ისაა, ვინც ამ ჩვენი ტრაილერის მძღოლის ცხოვრებას რაღაც ფერი, ინტერესი და აზრი მისცა, ამოაგდო ერთფეროვნებიდან და მართალია ლამის მოკლა (ვთქვათ), სამაგიეროდ შეგვრძნებები და ემოციები აჩუქა.

მეც ხომ არ მომეკლა ვინმე? ვთქვათ, ის ჩემი მეგობარი გოგო, რამდენიმე დღე რომ არ ამოსულა. დაფურეკავ, ვითომ პური ან სექსი მინდა და მოვა. მოვა და როცა გაიხდის, ზუსტად მაშინ მოგვლავ. ამით ორ პრობლემას ერთბაშად მოვიშორებ — მოვიშორებ ბავშვს, რომელიც არ ვიცი, რატომ ჩაისახა და მოვიშორებ უსუსურობის შეგვრძნებას, რომ წერა აღარ შემიძლია. მაგარი სკანდალი კი ატყდება — როგორ მოკლა მწერალმა საცოლე! ისე, ეჭვი კი მეპარება მწერალი ასეცნონ, აი, საცოლეს

კი აუცილებლად გაუსვამენ ხაზს, თან ფეხმძიმე საცოლეს. ალბათ ისიც ბედნიერი იქნება რომ მოვკალი, ბოლო-ბოლო მიზანს მიადღწევს და ჩემში რაღაცა ემოციას გამოიწვევს, თუნდაც ეს ემოცია სიძულვილი იყოს.

რა მინდა ამ დამპალ ქვეყანაში, ამ დამპალ უბანში, ამ ფანჯარასთან? საერთოდ რა მინდა? ალბათ ამ წუთას ჩემნაირად ჩემისთანა ათასობით მწერალი დგას ფანჯარასთან თავიანთ მივარდნილ მეშვიდე სართულზე და თვითმკვლელობაზე ფიქრობს.

ხუთჯერ ვცადე აქედან გაქცევა, ხუთჯერ შევედი ამერიკის საკონსულოში ვიზის მისაღებად. ხუთივეჯერ ორაზროვანი უარი — „ამჯერად ვერ დავაკმაყოფილებთ თქვენს აპლიკაციას!“

რა არის ეს? ჩემნაირების მართვის ერთ-ერთი ხერხი? სამოთხეში გინდა? მიდი და სცადე. და დგახარ რიგში, აკვირდები სხვებს. ზოგი რას იბრალებს, ზოგიც რას — ოლონდ სამოთხეში მოხვდეს. სინამდვილეში კი გულის სიღრმეში იციან, რომ ეს ტყუილი ცდაა, სამსხვერპლოზე მიტანილი შესაწირია, რომელსაც დიდი გველეშაპი ყლაპავს. ეგაა ლატარიის პრინციპი — შეპირდე ადამიანს ბევრი და მისცე არაფერი, მხოლოდ იმედები, რომელთაც საბოლოოდ გაუცრუებ. მასაც ეცოდინე-

ვითომ კი ხარ ინდივიდი, სინამდვილეში ერთი გრძელი ჯაჭვის რიგითი რგოლი ხარ. გაგიფუჭდა მანქანა და ამოვარდი? კოლონა არ დაგიცდის.

მაგრად მშია. ხაჭაპურის ბიზნესის მეპატრონე, დაიპურე თავი!

მეზობლის ბინიდან ხმა ისმის. ეს „Barton Fink“-ია. სასაცილოა, სასაცილოა ეს ფილმიც და ისიც, რომ მე მესმის ახლა ის, რაც მესმის.

რატომ არ მივდივარ სამოთხის მფლობელებთან და არ ვეუბნები ვინც ვარ? გამარჯობა, მე ვარ მწერალი ესა და ეს, დიდი არაფერი მწერალი, მაგრამ ამბიცია მაქვს — იცოცხლე. თქვენ ხომ ასეთები მოგწონთ? ჰოდა, მინდა მოვხვდე სამოთხეში. კონკრეტულად თქვენს სამოთხეში რატომ? იმიტომ, რომ სხვა სამოთხეები მხოლოდ მიბაძვას თქვენი სამოთხის. წამიყვანეთ რა, წამიყვანეთ.

როგორც ფასკუნჯზე ამხედრებული ზღაპრის გმირი, ქვესკნელიდან ზესკნელში რომ ადის, ისე მოვაჯდები თვითმფრინავს და გავეფრინდები. ბორტგამცილებული შემოვა და იტყვის: „ბენზინი გვითავადება.“ მე კი მოვიჭრი ხელს და მივცემ. კიდევ შემოვა, მერე კიდევ მოვიჭრი ფეხს, ყურს, თვალს და სამოთხეში ასე ნახევარადამიანი ჩავფრინდები. იქ კი ფასკუნჯი მომისვამს ფრთას და გამამთელებს.

რატომ ვერ ვბედავ, რომ შევიდე საკონსულოში და ვილაც პირში ტრაკის სუნიან კონსულს ვუთხრა: „გამარჯობა, მე რიგითი მწერალი ესა და ეს ვარ და სამოთხეში მინდა!“

იმიტომ ვერ ვბედავ, რომ, ჯერ ერთი, წინა ხუთი შესვლისას ნათქვამი „მე ხაჭაპურის ბიზნესი მაქვს“ მარკოლეხს და მეორეც, მე მწერალი ვარ ხომ სალანდლავი სიტყვაა?! მე სერიოზული მკვლელი ვარ — შეიძლება, ჰომოსექსუალი ვარ და პატარა ბავშვები მიზიდავს — ესეც. ეს ერთგვარი რომანტიკაა, არაორდინალურობა, ნიშანი იმისა, რომ შენი ადვილი ამ ქვეყანაში არაა, აი, მე მწერალი ვარ კიდევ... როგორ? მწერალი ხართ? აჰა, მამ მწერალი ხართ... — ხმამაღლა გაიმეორებს და გვერდით მჯდომს გადახედავს, ის დაცვას გადახედავს და ჯერ ჩაიციხებენ, მერე კი შენ პასპორტში ლურჯი ფერის ბეჭდით, თუ შავით, თუ წითლით, თუ რა ფერიც იქნება, ჩაარტყამენ — სამოთხეში შესვლაზე სამუდამო უარი ეთქვას!

აი, ამის მეშინია. მირჩენია იმედი არ წამართვან და „აპლიკაცია დაბრუნებულია“ მომცენ, ვიდრე სამუდამო უარი მითხრან. ადამიანებს მოგვწონს თავის ტყუილად დაიმედება, ოლონდ რაღაცებში იმედი არ გაგვიცრუვდეს. მაგალითად, დედას ურჩევნია შვილის სიკვდილის გაგებას მთელი ცხოვრება გაურკვევლობაში ელოდოს და არკვიოს ცოცხალია თუ არა მისი ტყვედ ჩავარდნილი პირმშო (არადა ფსიქიკური კანონების მიხედვით, ადამიანის სტრესი სწორედ მაშინ იხსნება, როცა გაურკვეველ მდგომარეობას თავს აღწევს). ჩემი მეგობარი გოგოც ხომ ასეა? ურჩევნია თავი მოიტყუოს, რომ მოდესმე ცოლად მოვიყვან, ვიდრე თვალი გაუსწოროს იმ აზრს, რომ სინამდვილეში ისიც და მისი (ჩვენი) შვილიც სულ სირზე მკიდია. და ამ სირაქლემობაში თავს იბედნიერებს. დარწმუნებული ვარ, როცა სადმე ორ-სამ წიქსს დალევს ხოლმე, ცრემლებს ადვარდვარებს და გადაწყვეტს მიმატოვოს, მაგრამ ეს წამიერი ემოციაა, ცრუემოცია, სუროგატული გამირობა, რომელიც მისი სტრესის გაყურებას ხელს უწყობს „მე გადავწყვიტე, მე გადავდგი ნაბიჯი!“ სინამდვილეში კი, როგორც ყველა შეყვარებული ქალი, ისიც ნახმარი ტილოსავითაა, არანაირი ღირსება არ გააჩნია და არც რცხვენია აღიაროს, რომ მწერალთან დადის. (ხაზს ვუსვამ სიტყვას „მწერალი“) ჩემი, როგორც მწერლის აღიარობის რცხვენია მამაჩემს, დედაჩემს, ჩემ ძმას, რძალს და მეგობრებს, ჩემ გოგოს კი ნამდვილად არ რცხვენია. შეუძლია გამოვიდეს ქუჩაში და დაიყვიროს: — ჰეიი, ჰეი, მე მწერალი მტყნავს, იცით?

უბანში ჩამი-ჩუმი არ ისმის. ასეთი სინყნარე სოფლებშიც აღარაა. ნეტა ყველა ხომ არ დაიხოცა და უცბად ფილმის პერსონაჟად ხომ არ გადავიქცევი? ან უკვე ფილმის პერსონაჟი ვარ და ჯერაც არ ვიცი? ირგვლივ ყველა დაიხოცა, მე ვარ

ცოცხალი და ჩემი მისია ვიპოვო ვინმე მეორე ცოცხალი და გავმრავლდეთ. იცით რა? ფილმის სიუჟეტიდან გამომდინარე, წერის აღარც დროა და აღარც სურვილი — დედამინა ილუპება!

ეს ტრაილერები? ეს ტრაილერები სინამდვილეში ზომბებიათა სახეს და ჩემსკენ მოემართებიან — სისხლის სუნი იგრძნის და უნდათ, რომ გადაამყლაპონ.

წერე, წერე, წერე, წერე, წერე, წერე, წერე!

ან დაურეკე გოგოს, ამოიტანოს პური, გაიხადოს და ფეხები მხრებზე დაგანყოს. ეს მაინც გააკეთე, სანამ შეგიძლია!

თავი მეხუთე

სადაც ავტორი თამაშობს ბაერტოზა და მთავარი მოქმედი პირის შიქმანას ბანაბრობას

...თქმედი სამოთხე მართლა არსებობს, ჩემი და ჩემი თაობისათვის ის უბილეთოდ და უკონტროლოდ ღიაა. ჩვენმა მამებმა მოსეს ხალხივით იხეტიალეს ჩვენსავე ქვეყანაში და გაგვიზადეს ალტემული ქვეყნისკენ მიმავალი გზა.

ის თაობა ვართ, დანომრილი მარჯვენა ხელისგულებით რომ ვათენებდით პურის რიგებში და გვეშინოდა მელანი არ წაშლილიყო, რადგან მთელი ოჯახი უპუროდ რჩებოდა.

ის თაობა ვართ, რვა წლიდან რომ გამოვიდა ქუჩაში საჭმლის საშოვნელად და ნაადრევად გახდა დიდი. ჩვენ არ ვიცით რა არის ბავშვობა და ამიტომაც გვეზიზღება ბავშვები — თვითონ გვინდა პატარებად ვიქცეთ და თავიდან გავიაროთ ის, რაც არ გვქონია.

ის თაობა ვართ, სამოთხეში რომ გვსურს, რადგან ვიცით, რომ დავიმსახურეთ. ჩვენმა მამებმა თავიანთი კუთვნილი, ლიმიტად დადგენილი ორმოცი წელი იხეტიალეს უდაბნოში, ჩვენსავე ქვეყანაში და ახლა დროა, სამოთხისკენ გავნოთ ყველამ. სამოთხე კი დიდი ხანია გადაიკისო. მორჩა, მიღება დამთავრებულიაო, დიდი ხნის წინ გამოაცხადეს, მაგრამ არავინ უსმენს, არავის უნდა რომ გაიგოს, რომ მიღება დამთავრებულია! სამოთხეში ადამიანები აღარ სჭირდებოდათ, იქ თავიანთი ადამიანებიც ეყოფათ, ახლა სხვანაირადდა თუ შეაღწევ ალტემულ, თუ დათქმულ, თუ შეპირებულ მიწაზე.

გინდა სამოთხეში? ძალიან, ძალიან, გულით გინდა? მაშინ გადაიქციე ნივთად და ისე სცადე ბედი. ადამიანებმა გაავსეს და გადაავსეს სამოთხეები, ახლა კეთილმოწყობის დროა. ახლა დროა ჩვენ და ჩვენსაირები ნივთებად გადავიქცეთ და ისე ჩავდგეთ რიგში.

მე აუცილებლად უნდა გარდავისახო საბეჭდ მანქანად. ერთი საბეჭდი მანქანა როგორ არ დასჭირდებათ იმხელა სამოთხეში? ნურავინ მომბაძავს, სხვა როიალად, ფუნჯად, ან თუნდაც იმავე სკამად გადაიქცეს, რომელზეც ზის, მთავარია ჩვენ, ადამიანებმა უარი ვთქვათ ადამიანობაზე და ნივთებად გადავიქცეთ. აი, ესაა ერთადერთი გზა სრულყოფილებისაკენ. აი, რატომ ვარ მე იმისტი, რაც ვარ — ვერც ერთმა რელიგიამ ვერ მიაგნო ამ ჭეშმარიტებას, ისინი წარსულში ჩარჩნენ და იქიდან გვესაუბრებიან, რაღაცებს გვატყუებენ, უნდათ, რომ თავგზა აგვიზიონ, თვითონ იერარქებმა მოასწრონ ნივთებად ქცევა და ჩვენ თამაშგარე დავგვტოვონ — ვერ მოგართვით?! მე ვიქნები პირველი, ან შეიძლება მეათე, მეასე, თუ მეათასე ადამიანი, ვინც უარი თქვა ადამიანობაზე და ნივთად იქცა, მაგრამ მე პირველი საბეჭდი მანქანა გავხდები.

ველარ ვწერ და ეს არ არის ჩემი პირადი კრიზისი, ერთი მწერლის კრიზისი. გაიხედავ ირგვლივ და ველარავინ წერს იმიტომ, რომ ადამიანობამ საკუთარი თავი ამოწურა — სამოთხე კარგა ხანია გადაიკისო და აღარაა საჭირო წერო იმაზე, რაც აქტუალური აღარ არის. ახლა სხვა დრო და სხვა ეპოქაა, ახლა ნივთებმა უნდა დაიკავონ ადამიანების ადგილი და კაცობრიობის განვითარებაც ნივთებმა უნდა გააგრძელონ. განა კომპიუტერი პირველი განვითარებული ადამიანი არაა? დამალონ, დამალონ, მე კი კარგად ვიცი რა მოხდა

და როგორ მოხდა, როგორ იდგა კომპიუტერის გამომგონებელიც ჩემსავით მეშვიდე სართულის ფანჯარასთან და ფიქრობდა რა გამოეგონებინა ისეთი, რაც აქამდე არ გამოეგონებულა. იფიქრა, იფიქრა და როცა ძალიან დაიღალა, სწორედ მაშინ მიხვდა — დაჯდა იატაკზე ახალგაზრდა ბუდასავით, შეიკეცა ფეხები და კომპიუტერად გადაიქცა.

ჩემამდე უკვე ბევრი განვივდა, მაგრამ მათზე ხმას არავინ იღებს, ყველა ცდილობს კაცობრიობის დასაკავებელი ეს ახალი ნიშა დამალოს და ახლობლებს გადასცეს ფარული ცოდნა — სამოთხეში მოხვედრის ყველაზე რეალური გზა-მარეწვებელი. მამა შეიღს ასწავლის, შვილი — შვილებს, მე კი არც მამად მყავს მამა და არც შვილი მეყოლება, რადგან ჭირის დღესავით მეჯავრება ბავშვები, მე თვითონ ხომ არასოდეს ვყოფილვარ ბავშვი?

რატომ დავინყე წერა და რატომ გავაგრძელებ წერა? იმიტომ, რომ წარმოსახული ბავშვობა შემექმნა ჩემთვის, მქონოდა ის, რაზეც პურის რიგიდან შუალამეს მოსული და დილით სკოლაში წასვლამდე ვოცნებობდი.

ჩემი თაობა მთლიანად თავისი დროის გმირებს ვბაძავდით — ზოგი პოლიტიკოსს, ზოგი მომღერალს, ზოგი ეკლესიის იერარქებს და ზოგიც გიჟებს. ფული, სახელი, დიდება! ეს იყო სამი მცენება, რომელზეც მთელი თაობა ვიდევით და ეს იყო ის ტყუილიც, რასაც ბოროტი დიდი მამები გვპირდებოდნენ. ვბაძავდით მათ, ვინც სინამდვილეში მისაბაძი არ იყო, ისინი ადამიანობდნენ და ეს ფულიც, სახელიც, დიდებაც ადამიანებს სჭირდებოდათ, ადამიანების ადგილი კი რამდენი ხანია აღარ დარჩა სამოთხეში! სამოთხეში უკვე მხოლოდ ნივთები შევლენ. როგორც ცარიელ ბინაში შესული მდგმურები ინყებენ ოთახის მოწყობას, ისე დაინყებენ ახლა სამოთხის მოწყობასაც ჩვენით ანუ ნივთებით.

არანაირი ფული, პატივი, დიდება! ხშირად მიფიქრია, ხომ არ ნავიდე რომელიმე ხალხმრავალ ადგილას და ვიმთხვოვრ? ეს ორ დიდ საქმეს გამიკეთებს — გამიჩინდება მუდმივი შემოსავალი და ჩემი ადამიანობის დათმობის პირველ სწრაფ ნაბიჯებს გადავდგამ. მეცოდინება, რომ ვერავინ მამჩნევს, ვერავინ მხედავს, არავინ დამსდევს, არავინ მელაპარაკება. განა ასე არ არიან ნივთებიც? მათ მხოლოდ თუ გამოიყენებ, თორემ სად გინახავთ ნივთთან მოსაუბრე ადამიანები?!

ჰოდა, მივეგდები რომელიმე ხალხმრავალ ადგილას ჩემთვის წყნარად, შემოვიკეცავ ხელ-ფეხს, ან სულაც მოვიჭირი მათ და დაველოდები სასწაულს — როდის მოხდება ჩემი მეტამორფოზა, როდის გადავიქცევი საბეჭდ მანქანად, რომელიც წერს, წერს, წერს.

ამასწინათ რაღაც მაგარი წიგნი ვიპოვნე სახლში. ეს ჩემი შიმშილის მესამე დღეს დაემთხვა (ნივთად გადაქცევის მთავარი გზა კუჭზე კონტროლის დამყარებაა. ის ვინც კუჭს გააკონტროლებს, გულსაც გააკონტროლებს, ხოლო ვინც გულს გააკონტროლებს, თავის მომავალსაც შექმნის). ჰოდა, ჩემი შიმშილის მესამე დღეს კარადიდან გადმოვყარე წიგნები და ვიპოვნე. ამ წიგნს ყდა არ აქვს, ავტორი უცნობია ჩემთვის, მაგრამ ასეთ წიგნებს არც შეიძლება ავტორი ჰყავდეს, ასეთი მაღალი დონის წიგნებს ერთი კაცი ვერ წერს.

თავი მეოცე

რომელშიც ავტორი მოულოდნელად გაიბავს, რომ ერთ-ერთი მონაწილე უნაბურად მის დანარილ ტაქსტს აბრკილებს და თანაც კალიან კარგად

„ღაბებში შენი მომავალი, გააკეთე სწორი არჩევანი, შეიძინე ჩვენი კონტრაცეფცია!“

ამ გოგოს ხმა უკვე წერვებს მიშლის. იდიოტებმა რეკლამის გადაღებაც კი აღარ იციან.

„დაგეგმე შენი მომავალი!“ ასეთი რეკლამები ბავშვს უნდა გაახმოვანებინო, ენას რომ უჩქექს და სიმღერასავით ამბობს: „დაგეგმე ცენი მობამალი!“



დაგეგმე, დაგეგმე, დაგეგმე! გააკეთე ცხრილი, სადაც ყოველი ნუთი, საათი, დღე გათვლილი და განერილი გექნება. გადაიქციე კომპიუტერულ პროგრამად, რომელმაც იცის, რომ ოთხი წლის, სამი თვის, თოთხმეტი დღის, ოცი საათისა და ორმოცდარვა წუთის შემდეგ იჯდები სადაც იჯდები, ხელში კალამი გექჩირება და ასეთ წინადადებას დანერ: „QYGe1T290980MQ5-8-მა სამი ცალი მონეტა ჩაუშვა აპარატში და მონაცემთა ბაზაში აკრიფა:

ახლანდელი ასაკი — 28 წელი
სასურველი ასაკი — 24 წელი
სქესი — მამრობითი
სასურველი სქესი — მდედრობითი
თვალის ფერი — შავი
სასურველი თვალის ფერი — შავი
თმის ფერი — მწითური
სასურველი თმის ფერი — ღია ნაბლისფერი
სიმაღლე — 176 სმ
სასურველი სიმაღლე — 182 სმ
პროფესია — ფსიქიატრი
სასურველი პროფესია — მფრინავი
შემდეგ ღილაკს თითი დააჭირა და ეკრანზე წითელი დაფა გამოვიდა — „გთხოვთ, დაადასტუროთ აკრეფილი მონაცემები.“

დაადასტურა. „გთხოვთ, დაელოდით.“ დაელოდა.

კაბინიდან გამოვიდა e1T290980MQ5-8, მინი კაბა ოდნავ შეისწორა და გზა განაგრძო...“

ჩვენ ყველანი დაგეგმილი მომავლები ვართ. რაღაც დიდმა კომპიუტერულმა პროგრამამ გამოითვალა, რომ ერთხელაც უნდა დავბადებულყავით. წარმოიდგინეთ, დედამინაზე რამდენი მილიონი მამაკაცი კვდება უშვილოდ და რატომღაც ასეთებში არ იყო მამაჩვენი. ნუთუ ეს შემთხვევითობაა? კარგი, შემდეგ: — საშუალოდ რამდენ ასულს აქვს ატარებს ჯანმრთელი კაცი? რამდენჯერ ანძრევს? რამდენი მილიონი სპერმატოზოიდა ერთხელ ჩატარებულ აქტში და მაინც და მაინც ის ერთი შენ ხარ!

დაგეგმილები ვართ, ჩვენ ყველანი წინასწარ დაგეგმილები ვართ და მვიდოთ მონაწილეობა გლობალურ დაგეგმარებაში.

მე მყავდა ერთი რეპეტიტორი, რომელიც მიმტკიცებდა, რომ კაცობრიობა შეიძლება მიაღწიოს განვითარების იმ დონეს, რომ აღარ იარსებებს ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები. გინდა ხმა გასცე შენს მეგობარს კონტინენტს გადაღმა? — გაიფიქრებ და აი, გიპასუხა: — „რავი, ვაარ რა, შენ რაფა ხარ, შე ჩემა?“ იქნებ ნახვა გინდა? რა საჭიროა თვითმფრინავი, ჰოპ და გაქრი აქ, გაჩნდი იქ... არა, ამას არ ჰქვია გაქრი, უბრალოდ აქაც ხარ და იქაც — ყველგან ხარ.

მე სულ მეგონა, რომ გიჟი მასწავლიდა და მიხაროდა გიჟი რომ მასწავლიდა. ეს ნიშნავდა ორ რამეს — რომ მე თავად ვარ ჭკვიანი და რომ აუცილებლად ჩავიჭრები გამოცდაში. ჩემი მიზანი კი სწორედ ეს იყო — ჩავჭრილიყავი გამოცდაში, რადგან მე ხომ მწერლად დავიბადე?! თითქმის არაფერი მწერლად დავიბადე

და ვინც იცოდა, ისინი ხელს მიშლიდნენ. აი, ახლა მე მწერალი ვარ და დაზუსტებით ვიცი, რომ ჩემი რეპეტიტორი გენიოსი იყო. იქნებ ის საერთოდ არც იყო რეპეტიტორი, ან იქნებ ის არც არსებობდა? (არა, არსებობდა, რადგან ერთად გვაქვს სამი ფოტო გადაღებული) არსებობდა, მაგრამ გენიოსი იყო, ან სულაც უცხოპლანეტელი იყო და მოვა დრო, მე გავიფიქრებ და მასთან გავჩნდები.

„დაგეგმე შენი მომავალი, დაგეგმე შენი მომავალი ერთად.“

ყველა რეკლამაში დიდი სიბრძნეა. როგორც წესი, რეჟისორები იდიოტები არიან, მაგრამ სცენარისტი ხომ მიგზავნის საიდუმლო ინფორმაციას? ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ რჩეულთათვის.

დაგეგმე შენი მომავალი!

გგონიათ, ეს მართლა ბავშვებს ეხებათ? სისულელეა! ჯერ ერთი, ბავშვის თავიდან მოშორება სხვანაირადაც შეიძლება — ნავა და მოკლავს დედამისი, ერთი საათის ამბავია და მეორეც, ყველა ბავშვის დაბადება წინასწარაა გაანგარიშებული. ამდენ მილიონ ალბათობას გამოცილებული, თუ დასაბადებელია, დაიბადება.

რეკლამა კი სხვა რამეს გვეუბნება — დაგეგმე შენი მომავალი! თვითონ აირჩიე ვინ გინდა გახდე და როგორ და როდის. ჩანერე შენს ბლოკნოტში, რომ ოთხი წლისა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, შენ კალამი გექჩირება ხელში და დაწერ წინადადებას: „— QYGe1T290980MQ5-8 — მა სამი ცალი მონეტა ჩაუშვა აპარატში...“

ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ გახდე ის, რაც დაგეგმე, რასაც ყველაფერი შესწირე, რაც შენ ხარ.

ხელს მიშლის ტელევიზორი და გადავადე, ხელს მიშლიდა ოჯახი და გავცვალე, ხელს მიშლიან ჩემი ვნებები და მოვიშორებ. უნდა გადავიქცე სხვა, უკეთეს რამედ, ვიდრე ვარ.

დაგეგმე შენი მომავალი!

დაწევი ტახტზე, მოიკეცე ოთხად და გადაიქციე საბეჭდ მანქანად, რომელიც წელიწადში ორ რომანს, ოთხ მოთხრობას, ერთ პიესას და ერთ კინოსცენარს დაწერს. ამ პატარა ბინაში უნდა მოხდეს პირველი უდიდესი სასწაული — ადამიანისგან საბეჭდი მანქანის შექმნა.

შემოვა ჩემი მეგობარი გოგონა და აღარ დავხვდები. დახვდება პატარა საბეჭდი მანქანა, რომელსაც, შესაძლოა, ყურადღება არც კი მიაქციოს.

— გაიქცა ნაბიჭვარი! — იტყვის თავისთვის, მე კი ყველაფერი მესმის, მაგრამ არ მეცინება, მე ემოციები არ მაქვს. საბეჭდ მანქანას ემოციები არ აქვს.

მერე ბინის პატრონი სადმე მიმავდებს. შესაძლოა სხვენში, შეიძლება გადამისროლოს კიდეც, მაგრამ ეს არაა მთავარი, მთავარი მიზანია — მე ვწერ, ვწერ, ვწერ!

ყოველ წელს გამოდის ჩემი წიგნები. არავინ იცის, სად ვარ, სად ვცხოვრობ და რას ვსაქმიანობ. იციან, რომ ვწერ, ვწერ, ვწერ.

„წლის ბუკერი!“

წლის წიგნი!“

„და წარმოგიდგენთ წლევეანდელ ნობელის ლიტერატურაში...“

მე კი ეს ყველაფერი მკვიდა. ვწერ, ვწერ, ვწერ...



ნიკა ჯორჯანელი

* * *

როცა გულის რბილობს
შეცვლის სევდის თოში,
მე თავისში მიხმობს
შენი სახლი თოვლში.

შემომხვდები კრძალვით
სულთ, სულ მთლად შიშვლით,
და იფიქრებ წამით,
რომ მეორედ ვიშვით...

„სად მიდიხარ, საად?“ –
მკითხავს სახლი თოვლში,
სადაც კედლის საათს
კარში გასვლით მოვშლი.

ისრაელის მიწაზე

I. მიწა

თვითმფრინავის ილუმინატორიდან მიწის დანახვაზე:
„მიწა!“ – გულში ისე ყვიროდე,
თითქოს მანამდე ზღვაში ყოფილიყო სულ
ან ის მიწა, რომელზედაც დაგიბიჯებია,
სხვა ყოფილიყოს.

აქ სხეული იწყებს ნათლად შეგრძნობას იმის,
რომ მასში სულია, უფრო სწორად კი –
სული ამოსძახებს სხეულს ჩუმად დროგამოშვებით:
მე შენში ვარ, მე შენში ვარ.

II

...და სილურჯეში თავის მალეობი
თბილ ხმელთაშუა ტალღებთან ხვევნით.
გრძობდნენ მზის ჩასვლას მერე პალმები,
და, აღმოჩენილს პალმების ქვევით,
მზეს ასდიოდა ბოლო აღმური,
სანამ ქრებოდა დამაჯერებლად.
და ღამე ახლოაღმოსავლური
იწყებდა ციმციმს ცათამბჯენებით
სივრცის ეკრანზე, როგორც მიმცხრალი
ფსიქოდელით სავსე ვიდეო.
და იმას, რაც შენ მე არ მითხარი,
ზღვა მომძახოდა. არ ნახვიდეო.


III. მოღრუბლულობა იერუსალიმში

სიტყვა თავისი არსებობის სადაც მღეროდა
სიამყარავით, იმ ქალაქში ცხადად გივლია.
მას ვერც შენ აღწერ. ვერც ვერავინ. უაღწეროდაც
აღწერილია.

და იქაც შიშობ, რომ მცირეა ყოფნის ულუფა,
რომ მოკვდავისთვის სხვა იქნება ჯვარიც,
ლურსმანიც...

ახასიათებს სხვანაირი მოღრუბლულობა
იერუსალიმს.

და იმ შეგრძნებას, იმ სიმწარეს ნეტავ რა ჰქვია,
როდესაც იძრობ მზის წნულიდან წუხილის ხანჯალს,
წვეტი კი რჩება, რადგან თუმცა ღმერთი აქვია,
ის მაინც არ ჩანს.



* * *

ნუ ჭამ ჩემს მზეს.
ნუ იქნები მზისმჭამელი.
ნუ იქნები ღვთაებრივი ზვიგენი.
ნუ იქნები ცისფერი საშინელება.
ნუ იქნები არც კი ვიცი ვინ.
თითქოს გვერდზე მოგდებული შლაპით
ფეხის ფეხზე გადადებით იჯდე
და ნაყინს ჭამდე უკაცრიელ ღია კაფეში.
ნუ ჭამ ჩემს მზეს.
ლიმილში ოქრო გითუხტუხტებს.
შეფარვით იხედები გარშემო.
ტუჩებს ილოკავ.
ნუ ჭამ, ნუ ჭამ ჩემს მზეს!
ის ემორჩილება კოვზს, რომელიც გიკავია,
შენს კბილებს და ენას
და პირს არ გწვავს.
მაგრამ მოგწამლავს... ვერ გიშველი...
ნუ ჭამ... შეჩერდი.

* * *

შეგიძლია კინო ნახო,
სადაც ფრთებით თავმორთული ინდიელები
თავს ესხმიან და ძარცვავენ
თეთრკანიანთა დილიუანსებს.
შეგიძლია მეტროში სულ მარტო დარჩე
და ღამე ესკალატორის ძირში გაათიო.
შეგიძლია მესაფლავეს დაუამხანაგდე
და ცალ ყურში გაყრილი ყურსასმენით,
რომლიდანაც თავშეკავებით ჩაგძახებს მაილსის საყვირი,
რომ ცხოვრებას მიწის სუნი აქვს,
ხოლო სიყვარულს – ცხოვრების,
მასთან ერთად დალიო და მოუსმინო მეორე ყურით,
ხოლო შემდეგ, მინ მოსულმა,
ამ ყურშიაც გაიკეთო ყურსასმენი
და შამპუნის სურნელებას ჩაუღრმავდე.
შეგიძლია სთხოვო მეხანძრეებს,
ცეცხლის ჩაქრობას დაგასწრონ
და დაგანახონ თავიანთი ცეკვა შლანგებთან.
შეგიძლია აბსურდისგან წვნიანი გაიკეთო.
შეგიძლია გაიგო, რომ არაფერი არ გესმის.
შეგიძლია ვერ გაიგო, რომ ბევრი რამე გაგიგია.
შეგიძლია დღედაღამე იძახო „დღედაღამე“.
შეგიძლია დაამთავრო ყველა საქმე.
შეგიძლია ცხოვრებას დამთავრების საშუალება
არ მისცე.

* * *

ასე მთავრდება ცასთან თამაში.
თითქოს ვილაცას სისხლად გაუშური.
ვზივარ უშენოდ, როგორც საფლავში
ვერტიკალურში.
გარეთ ქარში კი, გარეთ ქარში კი
თითქოს დაფრინავს დამწვარ დავთრებად
უშენო ანწყო. ასე მთავრდება
ბედთან არშიყი.

დრო

დრო იაფფასიანი რამაა.
ყველა, ვინც საკუთარი ძალაუფლების
შეზღუდულობის შესახებ იცის,
ცდილობს ბორკილები დაგალოთ.
და დრო აქ არამცთუ არ წარმოადგენს
გამონაკლისს –
თავად დამწესებელია და წარმმართველი.

ვერც ერთი მეფე ვერ დაგადებთ საათებივით
მაგარ ბორკილებს.
ახლა კი მეფეთა მიკროსკოპულობა წარმოიდგინეთ,
თუ დროც კი საპნის ბუშტივითაა.

დრო იაფფასიანი რამაა.
ამქვეყნად ყველაზე მწუხარე ხმა საათის წიკნიკია,
ამხანაგებო,
და ყველაზე სამგლოვიარო სვლა – საათის სვლა.
საათები გვიკიდია მაჯებსა და კედლებზე.
საათები გვიცქერიან ვიტრინებიდან და
ტრაგედიებს აკუმულირებენ,
საათები – ამოების საცავეები.
დრო ცეკვავს ჩვენს საათებში,
როგორც ტანხმელი ბერიკაცი
უკაცრიელ დისკოთეკაზე.

ყველაზე არასაიმედო ყელსაბმელები
წუთების, დღეების, წლების აცემები გახლავთ.
დაიკიდეთ, ვისაც შეგიძლიათ, ბრილიანტები,
მარგალიტები,
ვისაც არა, აასხით მონეტები, დაპობილი ძვლები
და დაიკიდეთ ისინი,
ოღონდაც არ ენდოთ დროის მძივებს –
მათი განყდომა ყველაფერზე გარდაუვალია.
ნუ იხდით ასე ძვირს, ნუ იხდით ზედმეტს
სივრცის ამ მოსაწყენ და მდარე შოუზე დასასწრებად
სახელად დრო!

დრო იაფფასიანი რამაა.
რადგან თუნდაც რომ არასოდეს არსად დავიგვიანოთ,
მაინც აღმოვაჩენთ ბოლოს, რომ ვერსად მიგვისწრია.
ხოლო ეს აღმოჩენა, დროისგან განსხვავებით,
ერთ რამედ კი ღირს.

ჩვენ ვასწრებთ მხოლოდ ერთს,
ჩვენ ერთადერთს ვაკეთებთ, ასე ვთქვათ, დროულად:
კვდებით.
თუმცა ამაშიც ვილაცებისთვის
შესაძლოა ვაგვიანებდეთ.

დრო რომ იაფფასიანი რამაა,
იმიტომაც გვიტაცებს ასე ძალიან
მარადიულობაზე საუბარი.
ერთ მშვენიერ დღეს კი მაინც გვეჩვენება,
რომ გავფლანგეთ მთელი ჩვენი დრო და
უკვე მეტისმეტად გვიანაა.
ყველა ფლეიტაზე დაკრულა ამის შესახებ.
ჩვენ ვექცევით ამ ფიქრის გავლენის ქვეშ,
როგორც სპილოები ხვდებიან ორმოებში.
რა დასანანია!

ზოგჯერ დროის უბადრუკობა
იმდენად თვალშისაცემია,
რომ დამატებით დროს იგონებენ.
ეს ხდება ხოლმე დროსავით იაფფასიანი
სხვადასხვა შეჯიბრებისას,
როდესაც საქმეში ვილაცების
მერკანტილური ინტერესებია ჩართული.
აი დამატებითი დროის მთელი არსი.
ვერანაირი დამატებითი დრო
ვერ შეავსებს ძირითადი დროის ნაკლებობას.

ქუჩაში ჩქარ-ჩქარა მსვლელნო,
სად მიიქართ? უკელით ნაბიჯს!
ჩვეულებრივად ნადით, მშვიდად,
და სიჩქარით გამოწვეულ ქოშინსაც აირიდებთ,
იმის ალბათობაც შემცირდება, რომ წაიქცევით,
და უფრო მიმზიდველებიც
გახდებით ერთმანეთისთვის.
მას, ვინც მიახლო, არაფერი არ ხვდება მეტი
იმაზე, ვისაც დაუგვიანდა.

„ლიტერატურული გაზეთის“ 57-ე ნომერში დაიბეჭდა ბატონ როსტომ ჩხეიძის სტატია სათაურით „ეს უცნაური ედგარ პო, „ყორანის“ 21 ქართული ვერსია“. როსტომ ჩხეიძის ნარკვევი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მოიცავს ედგარ პოსა და ლირსახსოვარი ფრანგი სიმბოლისტების (შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმეს, პოლ ვალერის, ტომას ელიოტის) ლიტერატურულ და პიროვნულ ურთიერთობებს, რომელიც მიმართა როსტომ ჩხეიძის ცნობილი ესეის „დანყველილი პოეტის“ ბედის“ (იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1996 წლის მაისი, გვ. 4-5) ლოგიკურ გააძელებად თუ შევსებად. მეორე ნაწილი კი ეხება უშუალოდ „ყორანის“ ქართულად თარგმანსთან დაკავშირებულ საკითხებს და, გარკვეულწილად, რეცენზია ჩემი შედგენილი კრებულისა — ედგარ ალან პო, „ყორანი“, ერთი შედევრის 21 ქართული თარგმანი, (გამომცემლობა „ინტელექტი“).

თავად კრებულის შედგენილობა ასეთია: ანოტაცია, „ყორანი“ (დედანი), ლექსის 1906-2011 წლებში განხორციელებული და გამოქვეყნებული 21 ქართული თარგმანი (ყოველ მათგანს, საჭიროებისამებრ, ახლავს თარგმანთან და მთარგმნელთან დაკავშირებული მოკლე, ზოგჯერ კი შედარებით დანერგებითი შენიშვნები). ყველგან მითითებულია: როდის, რამდენჯერ ითარგმნა და სად დაიბეჭდა თარგმანები. ორიგინალიდან ითარგმნა, რუსულიდან თუ პნკარედის საშუალებით და სხვა.

კრებულს დართული აქვს გალაკტიონ ტაბიძის მიერ თარგმნილი „ყორანის“ სამი სრული და მეოთხე ნაკლული სტრიქონი, რომელიც მოგვანოდა პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ. ბოლოში კი მოთავსებულია პაატა და როსტომ ჩხეიძეების ინგლისურიდან ნათარგმნი ედგარ ალან პოს „ესეისტური აზროვნების შედევრი“ „კომპოზიციის ფილოსოფია“, რომელიც მთლიანად ეძღვნება „ყორანის“ შექმნის პრაქტიკულ საფუძვლებს. წიგნის გარეკანის პირველ გვერდს ამშვენებს გალაკტიონის მიერ შესრულებული პორტრეტი ედგარ პოსი, ხოლო მეოთხე გვერდს — ედუარდ მანეს ილუსტრაცია „ყორანისა“.

როგორც ცნობილია, გალაკტიონის ნახატს — პოს პორტრეტს — მიაკვლია ვახტანგ ჯავახიძემ და გამოაქვეყნა თავისი წიგნის („უცნობი“) პირველ გამოცემაში, შემდეგ, იგი გამოიყენა როსტომ ჩხეიძემ და დაურთო ზემოხსენებულ ესეის „დანყველილი პოეტის“ ბედი“. საბოლოოდ კი გალაკტიონის ნახატმა დაამშვენა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული კრებულის.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოება უკვე გაეცნო ჩვენს კრებულს. 9 ივნისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მოეწყო წიგნად გამოცემული „ყორანის“ წარდგინება-განხილვა, რომელსაც დაესწარნენ მისი მთარგმნელები — კონსტანტინე ზ. გამსახურდია, ბათუ დანელია, პორფირე იაშვილი, ჯემალ ინჯია... გარდაცვლილ მთარგმნელთა — ფილიპე ბერიძისა და გიორგი ნიშნიანიძის — ოჯახის წევრები, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ხაალ სამადაშვილი, მწერლები, ლიტერატორები, ახალგაზრდობა. მთარგმნელებმა მოინიშნეს კრებულის გამოცემის იდეა და წაგვიკითხეს თავ-თავიანთი თარგმანები, ისაუბრეს ედგარ პოს შემოქმედებაზე. ახლახან რადიო „თავისუფლებამ“-აც ამცნო საზოგადოებას „ყორანის“ კრებულად გამოცემა. რამდენიმე მკითხველის მადლობაც დავიმსახურეთ შემდგენელმა და გამომცემლობამ.

დავუბრუნდეთ ბატონ როსტომის პუბლიკაციას. მართალია, კრიტიკოსი სულ ოთხი სტრიქონით შემოიფარგლა ჩემთან მიმართებაში: კრებული „შეადგინა და შენიშვნები დაურთო გივი ბოჯგუამ. დავეძინო: გემოვნებით შედგენილი ბიბლიოგრაფიული ცნობები, საგულისხმო სურათს რომ აღადგენს“, მაგრამ მე მაინც კმაყოფილება დამეუფლა, რადგან ბატონი როსტომის განუხორციელებელი სურვილის გამგრძელებელ-აღმასრულებელი აღმოვჩნდი და ბოლომდე მივიყვანე მისი

ნაოცნებარი გამომცემლობა „ინტელექტის“ თავკაცის კახმეგ კუდავას შემოთავაზებისა და სულგრძელობის მეშვეობით.

ისიც, მახარებს, რომ ბატონი როსტომის პარალელურად, ამ ოციოდე წლის წინ, მეც მხიბლავდა იდეა — შექმნიდა და წიგნად წარმოემდგინა „ყორანის“ ყველა გამოქვეყნებული ქართული თარგმანი. აკი წინასწარმეტყველებდა როსტომ ჩხეიძე: „ისე როგორ იქნება, სხვასაც არ მოუვიდეს თავში ეს იდეა“. განსაკუთრებით გამახარა მის მიერ „ყორანთან“ დაკავშირებული საკითხებისათვის ყოველგვარი ფრჩხილებისა და კითხვის ნიშნების მოხსნამ. მას ხომ თავიდანვე მიაჩნდა, რომ „ღირდა შეკრებილიყო „ყორანის“ ყველა თარგმანი, ვაჟა-ფშაველას მცდელობით... სათავედადებული, დართვად, ეპოპოზიციის ფილოსოფიაც“ და ტომას ელიოტის ესეიც (იგულისხმება „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“. — გ.ბ.) და მცირე კრებულად

გივი ბოჯგუა

ისევ ქართული „ყორანი“ ედგარ პოსი

გამოცემულიყო“. სამწუხაროდ, ეს მაშინ ვერ მოხერხდა და ბოლოს ბედმა მე გამიღიმა. თითქმის ოცი წლის მანძილზე ვეძიებდი და ვაგროვებდი ყველა ქართულ თარგმანს „ყორანისა“. განსაკუთრებით გამიჭირდა გრიგოლ მეგრელიშვილის თარგმანის მოპოვება, რომელსაც, თითქმის უიმედო ძებნის შემდეგ, ქალბატონ ეთერ მგალობლიშვილის მეოხებით, მივაკვლიე იოსებ გრიშაშვილისეული სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკა-საცავში. აღმოჩნდა, რომ გრიგოლის თარგმანი 1918 წელს დაბეჭდილია გაზეთების — „რევოლუციონური ნობათისა“ და „შრომის“ ორკვირეულ სალიტერატურო დამატებაში „ლეგია“ (ბ, ანუ მეორე. სულ სამი ნომერი გამოსულა). ისიც გაირკვა, რომ მუშაობისას გრიგოლს გამოუყენებია კონსტანტინე ბალმონტის რუსული თარგმანი.



შეგროვილი მასალები განვალაგე მათი გამოქვეყნების თარიღის მკაცრი დაცვით და ამის მიხედვით დავნომრე კიდევ. დავნერე ვრცელი შესავალი წერილიცა და მოკლე კომენტარებიც, მაგრამ... რა დაგიკარგავს, რას ეძებ... არავინ გამომიწონდა დახმარების ხელი, არავინ შემეიქო გარჯილობა და არავინ დამიბეჭდა ნარუდუნევი გაზეთისა თუ ჟურნალში. პასუხი ყველგან გულსიმომწყვლელი იყო: მერე რა, რომ ამდენი თარგმანი გვექონია, რას აძლევს ეს მკითხველსო. ერთადერთი, ვინც მომიწონა სიბეჭითე, გახლდათ გაზეთ „თბილისის“ მაშინდელი რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე, რომელმაც არათუ საჭიროდ, არამედ აუცილებლადაც კი მიიჩნია საბეჭდად გამზადებული მთელი მასალის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება. მოვამზადეთ პირველი მასალა, ავანყვეთ სტამბაში, დავაკაბადონეთ, ანაბეჭდის კორექტურაც წავიკითხეთ... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გაირკვა, რომ სრულად, თუნდაც მცირე კომენტარებით, დაბეჭდვა წარმოუდგენლად ვრცელ ადგილს დაიჭირდა არალიტერატურულ საშუალო ფორმატის გაზეთში და ამის გამო საყვედური არ ასცდებოდა გაზეთის რედაქტორს... რას ვიზამდით, მოვუბოდიშეთ ერთმანეთს ხელმოცარვა და ხელიც ჩავიქინეთ...

ლელა ებრალიძის ნათარგმნ „ყორანს“ (გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 1-7 აგვისტო, 2003 წ.) ახლდა მოზრდილი მინანქრი „რედაქციისაგან“. აქ მრავალი საინტერესო ცნობა იყო გაცხადებული. ჩემთვის მაშინვე გახდა ცნობილი, რომ მინანქრის ავტორი როსტომ ჩხეიძე გახლდათ, მაგრამ, ვინაიდან თავად არ ისურვა გამხელა, მეც წყალი ჩავიგუბე პირში.

მაშინ მინანქრის ავტორმა ჩამოთვალა „ყორანის“ ექვსი ქართველი მთარგმნელი (ვაჟა-ფშაველა, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი, კონსტანტინე

ჭიჭინაძე, გიორგი ნიშნიანიძე და კონსტანტინე ზ. გამსახურდია). ამავე დროს გვამცნო, რომ, მისი მონაცემებით, ქართულ ენაზე თითქოს არსებობდა „ყორანის“ ოცამდე თარგმანი მაინც, თუმცა, ამჯერად მთარგმნელები არ დაუსახელებია. მე კი სწორედ მათი ვინაობა მაინტერესებდა.

მინანქრშივეა მოწოდებული აგრეთვე საგულისხმო ცნობა: „ამ ათი წლის წინათ (ე.ი. დაახლოებით 1993 წელს. — გ.ბ.) კრებულიც კი შედგა ედგარ პოს ამ ლექსის იმჟამად ცნობილ ყველა თარგმანს რომ უყრიდა თავს... აუხსნელი მიზეზის გამო კრებული გამოცემლობაში დაიკარგა და უთუოდ ხელახლა გახდება აღსადგენი და შესავსები — მას შემდეგ კიდევ გამოჩნდა რამდენიმე ვერსია“. ცხადია, ამ ფაქტის გაშიფრვა მჭირდებოდა უცილობლად. ასევე მჭირდებოდა — ვინ იყო დაკარგული კრებულის შემდგენელი, რომელ გამომ-



ცემლობაში და რა ვითარებაში დაიკარგა შედგენილი ხელნაწერის დედანი...

მესიამოვნა, როცა ყველა ამ კითხვას სწორედ ახლა, „ყორანის“ კრებულად გამოსვლის შემდეგ (რომელიც ჩემი დაბადების 80 წლისთავს დაემთხვა) გაეცა პასუხი „ლიტერატურულ გაზეთში“ როსტომ ჩხეიძის მონათხრობით.

ამრიგად, გაცხადდა შემდეგი: „ყორანის“ ქართული თარგმანების გამოცემის იდეა ბატონ როსტომს გაუზიარებია გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორის გივი ალხაზიშვილისთვის. სწორედ ამ გამოცემლობაში წარუდგენია კიდევ კრებულად შეკრული მასალა და „მერანშივე“ უგზოუკვლოდ გამქრალა მისი ნაშრომი. დაუიმედებიათ კი: ვერ ვპოულობთ, თორემ სადმე აუცილებლად იქნებო. „სადმე ეგებ ახლაც არის, — დასძენს როსტომ ჩხეიძე და განაგრძობს, — მეორე პირები არ გამაჩნდა, დაკარგვა ვერ წარმოვიდგინე და წინასწარ არ მიზრუნია, სახელდახელოდ კიდევ ერთხელ ვეღარ შევაგროვე, ამასობაში სხვა საქმეები დამანვა და... ის პროექტი ასე უიმედოდ მიმჩა. დანაწილები კი გავიხსენებდი და, ისიც მიფიქრია, ისე როგორ იქნება, სხვასაც არ მოუვიდეს თავში ეს იდეა და ადრე თუ გვიან „ყორანის“ ყველა ქართული თარგმანი ერთ წიგნად არ გამოჩნდეს-მეთქი“.

ის სხვა მე გამოვდექი. ბედმა მარგუნა — დამოუკიდებლად მემუშავა და ფრთები შემესხა ჩვენი ზიარი სურვილისათვის.

ისიც საინტერესოა, რომ ბატონმა როსტომმა „ლიტერატურულ გაზეთში“ ამჯერად დაასახელა „ყორანის“ თითხმეტი მთარგმნელი: ვაჟა-ფშაველა, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სანდრო (კორექტურა უნდა იყოს. — გ.ბ.) თუ ანდრო სიორიძე, ფილიპე ბერიძე, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ნიშნიანიძე, სტეფანე მხარგრ-

ძელი, ჯემალ ინჯია, პორფირე იაშვილი, სილოვან ნარიანიძე, ვაჟა შიუკაშვილი და კოტე ჯანდიერი.

ამ ჩამონათვალში ედგარ პოს „ყორანის“ მთარგმნელები დალაგებულია ზუსტად იმავე თანამიმდევრობით, როგორც ჩემს კრებულში და, რასაკვირველია, ყველა ცნობილი იყო ჩემთვის, გარდა ანდრო სიორიძისა. ბატონი როსტომის ცნობით, ანდრო სიორიძეს ოთარ ჩხეიძისთვის უჩუქნია „ყორანის“ მისეული თარგმანის ხელნაწერი და დაურთავს: ისე ვერ გავჩაღხე, გამოქვეყნება რომ შეიძლებოდა, ამიტომ სახსოვრად გქონდესო. ამით მნიშვნელოვანი ნიუანსი გავვიძიხლა მისმა ავტორმა და დასძინა: სიორიძის „თარგმანი არ ყოფილა ურიგო, თუმცა ალაგ-ალაგ დახვეწა უთუოდ სჭირდებოდა, და ოთარ ჩხეიძემ საბოლოო რედაქციისთვის გადასცა მეგობარ პოეტს ლადო სულაბერიძეს, ვინც შესაფერისი ცვლილებანი შეიტანა ტექსტში და მისი გამოქვეყნება უკვე თავისუფლად შეიძლებოდა“.

რაც შეეხება ანდრო სიორიძეს, მის პოეტურ შემოქმედებას მაშინ გავეცანი პირველად, როცა ვმუშაობდი „მსოფლიოს ხალხთა რჩეული იგავ-არაკების“ შედგენასა და რედაქტირებაზე (წიგნი 2009 წელს გამოსცა „შემეცნებამ“ 346 გვერდის მოცულობით; იდეისა და პროექტის ავტორი ლია შალვაშვილი). ამ კრებულში შევიტანე ანდრია (ყველა დაბეჭდილ მასალაში პოეტი ანდრიად მოიხსენიება) სიორიძის 18 ორიგინალური და 5 ლექსად ნათარგმნი იგავი (ი. კრილოვის, ს. მიხალკოვის, ალ. ბეზიმენსკის, ნ. ლაბკოვისა და ა. ჰაჯიევის). როგორც ცნობილია, ანდრია სიორიძე ძირითადად იგავ-არაკებს წერდა და სხვა მიგავებთა ნაწარმოებებსაც თარგმნიდა კვალიფიციურად. მაშინ გავეცანი აგრეთვე ანდრია სიორიძის იგავების კრებულებს „მეზობელი“ და „იგავ-არაკები“, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ბათუმელი მიგავე „ყორანის“ მთარგმნელიც გახლდათ. ამასთან დაკავშირებით ხელახლა მოვიძიე მასალები მის შესახებ, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე გიორგი ლეონიძის სახელობის მწერალთა მუზეუმშიც კი. მაშინ მივმართე აჭარაში გამოძავალ ჟურნალ-გაზეთებს „ლიტერატურული აჭარა“ და „საბჭოთა აჭარა“, იქაც მხოლოდ ჩემთვის ცნობილ მის იგავ-არაკებს წავანყდი. ცნობები თავად ავტორის შესახებ კი არსად შემხვდა. ალბათ, საჭირო იქნება მისეული „ყორანის“ შესახებ მასალის მოპოვება ბათუმში, რაც მომავლის საქმეა. საერთოდ კი გულდასაწყვეტი და დასანანია ანდრია სიორიძის თარგმანის გაუჩინარება, თუკი იგი მართლაც არ იყო ურიგო.

რაც შეეხება ბატონი როსტომის შენიშვნას: „ასეა თუ ისე, ჯერჯერობით 21 თარგმანი კი არ მოგვეპოვება, არამედ — 22“-ო, მთლად ზუსტად არ უნდა იყოს, ვინაიდან მოგვეპოვება მხოლოდ ცნობა ოცდამეორე თარგმანის დაკარგული ხელნაწერის ოდესღაც არსებობის შესახებ და არა თვით თარგმანი. მეტიც, ადვილი შესაძლებელია, კიდევ მოიპოვებოდეს „ყორანის“ არაერთი სხვა, დღემდე უცნობი თუ გამოუქვეყნებელი თარგმანი (მათს აღმოჩენასა და გამომზადებას ვფიქრობ, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ჩვენი გამოცემა). ანდრია სიორიძის თარგმანი კი, კიდევ რომ ხელთ მქონოდა, მაინც ვერ ჩავრთავდი ახალგამოცემულ კრებულში გამოქვეყნებლობის მიზეზით.

ერთი პანია რეპლიკაც. 14 მთარგმნელს შორის ბატონ როსტომს ნახსენები ჰყავს კოტე ჯანდიერიც. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კოტე ჯანდიერის თარგმანი 2000 წელს არის შექმნილ-გამოქვეყნებული და იგი არ უნდა მოხვედრილიყო ზემოხსენებულ ნაშრომში.

სავსებით მისაღებად მიმართა კრიტიკოსის მოწოდება, რომ „დაინეროს მონოგრაფია ან სულაც სადისერტაციო ნაშრომი ამ თემაზე „ყორანის“ ქართული თარგმანები“.

სასიამოვნოდ მესახება ისიც, რომ მე გავხდი ბატონ როსტომის უიღბლოდ ნამოწყებული საქმის გამგრძელებელი და დამავირგვინებელი. ისიც მახარებს, რომ მისი პუბლიკაციის საშუალებით გავარკვიე ჩემთვის და მკითხველისთვისაც საგულისხმო მრავალი საკითხი.

მთავარი უკვე გაკეთდა, ვნახოთ, რას გვიქადის მომავალი.

თავდახრილები მაინც, იდგნენ. მერე ნოემ ჯერ ასნია თავი, კვლავ ჩაქინდრა და, უთხრა: — მე აღარ მინდა პადრეობა, თ. და ხომ თითქოსდა ძალიანაც მოსალოდნელი იყო თს რომ ეთქვა „აბა რას ამბობ შენს მაგივრად ხომ სხვა, ალბათი ცოდვების რიქმა გაპადრედედა და მთლად დაიქცევა ატლანტიდა“ო მაგრამ თმ, უთხრა:

— ძალიან კარგი. სწორი ხარ. რადგან მრავალნი ყოფილან ვითო-პირველებთან ჩამოუკანასკნელებულნი და, ჩამოქვეითებულნი კი აღუმაღლებია, ნოე.

— ვის... — მერე გეტყვი.

და რიქმამაკი რომ მოისმინა კუშტად მზირალი ნოესი ეს გადაწყვეტილება, იმან მართლაც და მრავლად უთხრა, თავიდან ვითომც გულამოფსკვნილმა შეიცხადა: „რას ამბობ პადრე და პადრეს შვილო ღირსეულო, რას შვრები, გვლუპაამ?“, „ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა სხვა უკეთესსა სად ვიშოვით ძაანაც ბევრი როვედით“ო და ამისთანების მაგრამ მერე რომ ძალიან ფრთხილად რომ დაეკითხა — „და ვის შეგვარჩევ“,

მოისმინა, — „შენ“, და რალაც უცხოისტიყვაცა თქვა — „კარგი“, — იმან მუხიკა ანუ გრძლად განვლილი ასოები იცოდა, კი, და მამინათვე იქვე დიდის მოლოდინით დაეკითხა: — როდისაა, ეეე!!?

— დღესვე.

...

— და, შეიძლება რომ სახელად საშაშაც დავიმატო?

— კარგი, საშაშავ.

— არა, შენა საშაშასი თქუმაი ვით შეგშუენის (აკი გამოთქმებიცა ისე-იცოდა როო? — ახალისაცკი ძველიცა, კი), არამედ პირდაპირ შაშა დამიძახე.

და თუმც ეს ჯერ არ მომხდარიყო — იქამდის ყველა, ყოველი პადრე პადრედ კვდებოდა მაგრამ წინდახედული-კონსტიტუციით (ისემც,) ესაც კი იყო გათვალისწინებული და თვითაც დიდი-პოსეიდონის (ისემც!) ტაძრადნოდებულში როგორა-დიდად წაყამაინა და მისთანანობებია და ნახებიან-ბუმბერაზებიანა რალათქუაუნდა საიაუგურაციოდ თუ როგორ ქვია ნოემ იაშაკა-იშმა-საშაშას თუმც ნაძალადევი მაგრამ თავზიანობითურულობითა ხელისაგანვით რომ შესთავაზა ტაძრისადამაგვარში-ვითომ, შესვლა — ესაც კი იყო გათვალისწინებული „ნარსულ-გამოცდილებებზე დაყრდნობით მომავალისაც-ეგებებისჭვრეტით“ გათვალისწინებული კონსტიტუციით-იმ, და, იგივე კანსტიტუციით თუნდაც ამ მთლად პირველად-მომხდარი ასეთი გაპადრეების — თავად „მთავარმა-ქურუმმა“ც რომ გააინაუგურაციო თუ რას ეძახიან დაამტკიცა ცეცხლებ-ნთებითა და შიშინური მამხალბით, ეს, და აყვირდა ხალხი, ატლანტიდებით, მთელი: — რიქმაა, რიქმააააა, — ყვირილში ორ „შ“-ს ვერ გამოთქვამდნენ, და ვერც გრძლად-სახელებს, და ამიტომაც გაიძახოდნენ კიარა და, მთლადც ჰლრიალებდნენ ბუმბერაზებიც და ნილბოსნები რომელთაც ამა-ზეიმისათვის სახეზე მატყლისაცა და სელის ნილბებიც ერთდროულათე, ჩამოეცოთ, ნაზები ნაზად მაგრამაც მთელის-სინაზითა სწორეულბდნენ თვალშილულნი — რიქმააჰ, რიქმააააჰჰ, — ხოლო ყვირილით ძაან ჰყვიროდნენ ანიჩქა, კინტირიკიო — რადგან განაზბულისობისა გარდაცა ხომ ბუმბერაზიც, იყო, ყვრილაობდენ ცქვიტებითება და კუკუს ოჯახი ფინლანდიან-პოპკუნაინა, ნეკებათითებ ჩაჭიდებულბით ალთა და ბალთა, ქურდები, ჩარჩები, ოხრები და ასე შემდეგ, ერთი ჩალხანადალხანა ყირილსა ჰქამდნენ ზომიერსა, და, კონსტიტუციის ურყევი ნესით-მომავალურის, ნოეს პირველს რომ უნდ-მიელოცნა ძაან პირისპირ გაპადრეება ახალ-პადრესათვის, თითან იშაკა-რიქმა-იშმა-საშაშასათვის და, შეთანხმებისამებრ, ნოემ რომ უთხრა, უკვე პადრეს,

— გილოცავ, შაშა,

იშაკამ ერთი კიგახედა და,:

— ვინაა შენი შაშადაკოლა არამედ როგორც სუყველამ უნდა მიწოდო — პატივცემული სიამაყე სრულიადორის ატლანტიდასიე უმფროს-იშაკა-იშმა-რიქმა-საშაშა ხომ გაიგევი ასე უნდა მომმართო თვით მე სულსუ ყოველთვის ჩემამდე თუკი მოგასუნინებენ, ბიჭო...

ვაითუ, სწორი იყო, თ: —

„მთლად დააქცევსო“...

...

ისევეც თსთან მიბრუნდა, ნოე, იმან კი, უთხრა:

— ყველა ისინი ის ყველაფერი დღეს რომ შეგემთხვა იმდენი ნალმად უკულმართობა, მთლად უკულმართი ანუ, აი ისენიც კი არ იყო მთლად უკიდურესი, გადახვევები. მეტიც კი, გველის, — ასე თქვა, — „გველის“.

თავი XII

მერე და მერე, მერეღამერე... — უკიდურესი გადახვევაი კი არა და, მთლად ჩაპარდნაი გინდ შეყალყული...

იშმა-იშაკა-რიქმა-საშაშას ერთს ვერ დავუკარგავთ: ზეენერგიული აღმოჩნდა ისეთი როომ? — მართლაც ავისას, მართლაცდა მტრისას...

„მიმოსვლობია უყვარდა იყო თუ რა სიტყვა, მოკლეთ, — ძალიან სჩვეოდა გრძელს-გზებზედ დგომა ოლონდ ადგილზე რახან ძაანაც ბუქსაობდა (ალბათ სიტყვიდამ „ბუქსირი - 1. გემი, რომელიც სხვა გემს (ტივს, კარჭაპს...) ენევა, მიერთრეს. 2. გამოსაბმელი ბაგირი, რომლითაც გემი ეხმარება სხვა გემს და მისთ. ბუქსირზე აიყვანს — (საუბ.) ჩამორჩენილს დაეხმარება“ — ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1968 წ., გვ. 65, III სვეტი) — ჰა, ესაც მე ვარ?) ოლონდაც ძლიერ ბუქსირულ ენით? — „ჩამორჩენილებს ეხმარებოდა“ და უკვირდა ყველას — ასეთი დაბალი და, ასეთი ჯანიო? — თან, დახმარებისეულ დაპირებებსაც აღარ იკითხავთ? ენა ება როომ... — „ენაგრძელი სულმოკლე იქნებაო“ — ნეტა თუ იყო ატლანტიდამი ანდაზა-ესი, და გინდაც ყოფილიყო, ვინ გაბედავდა მის გამო-ენოვანებას, რომელი ენაზე ხელაღებული გინდაც განზე და რაგინდაც ჩუმათე, —

რადგან ძაანვე უფრო ძალიან ძლიერ მომრავლდნენა ნილბოსანები, კი.

უკიდურესად ფრიად.

და ვერცაც იმას იტყოდნენ რომ „გველი გარედან არის ჭრელი, კაცი — შიგნიდანო“, —

ორმაგ-სიტყრელის ჭრელაურად გამომგანებელიც, იყო.

და თუ ეს როგორ? —

ყელსაკიდი თუ ყელსაბმელი თუ როგორა ჰქვიან... მოკლედ, როგორიცაა ყელსაკიდი-რამ მატყლ-მატყლებსა ძალიანაც ჭრელი: ჩამოსაკიდებლად მოიგონა ხალხისა გულისა მოსაგებად — აჰათ, ჩაავლეთ ამასა ხელი და მიმსახურეთ, წამიყვანეთ ამ საბელითა საცა გინდათ და საითქენაც გსურთ და სადაც გნებავთ, თქვენი ხელი და ჩემი ჩამოსაკიდიო,

უცნაურია ძაან, ცხოვრება, მისი გულისითი რალა არ თქმულა, არ ჩადენილა და —

კარგა-ბევრულა გამონა-გონთაგან (ანუ გონთაგან-გამონაჟურებები) ჰალსტუხისისი ნინაპარიც სწორედაც რომც სწორედ იშაკამ... სხვათაშორისე, ერთიც თავისი სახეზოდება, ესი „იშაკა“ „ჯორ-იშაკა“ თი შეიცვალავა და თავმდაბლობით კი არ მოსვლია, ეს — „ჯორ“ ჯიშინსა აკი ნიშნავდა ატლანტიდურად,და შუბლსაკიდურად საკიდებიც მოიგონავა და განა ერთი და განა ორი არამედ ბევრად უამრავი — დღეში რამტელჯელ იცვლიდა, კაცოო, და ბევრიც სხვაც რამც ძაანც თავთსაჭრელურებს (— თანდისთანობით, ვნახამთ) ასე რომ ჯორ-იშაკა და ტვირთულად რიქმა-რეფორმატორი? — შიგანსა გარდა გარედანაცაც რა ჭრელი, იყო, ხოლო იმ საბელს კიდევ(ე) იშაკა იყენებდა, რო, განათლებულად-პინტილიგენტი ვაარ, ვაარო, თუ არა გვერამსთ ავერ ანიჩქა აქვე არაა? — იმას ჰკითხეთა და ვერ იტყვისა თუ აბა, რაო, —

დაეკითხებოდნენ... კი... თვით ვირ-იშაკაზე რა იყო და, ჯორ-იშაკაზე, რამეს... დაეკითხებოდნენ კიარა და, მერე და მერე ვერც გაბედავდნენ გაფიქრებასაც კი, ამის:

ისევე როგორც კედლებსა თუ ხეთ, და სულ-ყველაფერს კიტრიკიკოსი ყურები ება, და ანიჩქასი თვალბე ესხა. კი.

და, ისევე როგორც შუბლ-საბელისა აგრეთვე ბუზიკებისისინ... ეე, მუსსიკისა კარქულათ-მცოდნემ? — არამცთუ სიტყვებს არამედ სიტყვების ბგერებსაც კი



უნყო ჩხრეკა და რაც მართლია მართალია ჯერ სუ-თავიდან საკუთარსა ანუ თვისს თავსა მიადგა, კი,:

იშმა-ში ორი შ რა შაჭიროა, რა მჭირს აბადა საამისოო, ერთიც მკმარაო, —

არ უნდოდა რომ, ერთ დროს მდიდარი ცოლისიხათრით ახლა მას, მზითვით იმთავიდანვეც კარგა ნელმაგარს ისევეც ისე ძველებური „იშმა“ რქმეოდა, „იშმა“ საესე-ბით საკმარისია შ-ების განხრითაო, და, თანაცა მე-ხო უმბრალო ხალხის ქომაგი ვაარ და თუკილ ძაან იქნებინა დამჯერები, აი მეკი იმათი აიიმათი შეშენ და მსხენელი ხომ ისედაცა ხოლო ვაარ და მომთინოებისაო,ო,ო, და ისე კი არ უნდა იყოს რომა „შვილი ჩემია, ჭკუა კი თავისი აქვსო“ არამედ ისე უნდა იყოს რომ „შვილი ჩემია და ჭკუაც ჩემი ანუ შშ-სი ანუ შეშისა უნდა ჰქონდესო“ ვაჰ, შეშა გვინდოდა კიდევ, ჩვენა? შუმერლები ხუარა ვართო, ეე... ჭკუა მთლადაც-რო შეშა განზე იყოს და მთლადაც გაყინული უნდა ჰქონდეს ი-მომავალი კაგებური ესკიმოსავითაო და ესკიმოს-ს კი რა ჭკობიან შესაჭმელურად, ეე — სანოვავედ, განსაკუთრებით ცხელს ზაფხულშია და ზამთრობითაც გემრიელია და მე-ხო აკი მკაცრი ვაარ მაგრამ როგორიც სამართლიანი ეე, ჰო, კრავივითაო ხოლო „ყველა მგლად ეჩვენებოდა იკურდელსაო შაშინებულსა შიშითაო“, — ფუჰ! — არ დაეინახო აღარავისი არავითარი შ, ამას გებნევით მე, საშაშა-ო, დაა, ააო-გავიგევითააო-ს თვალსაზრისით სულ თავებისა სწრაფ-კანტურითა გრძლათ თქვესა ესა აა, აა-ო ანიჩქამა და კინტირიკიკომა, — „აიი სადა სძევს სწორედც ნაამდვილი მთლად უ-შ-უებო დემოკრატია“,ო — ეს — კიტრიკიკომ, მეორემა კი... არა, — იმათში პირველმა და არა პადრესეულ ატლანტიდამი: „დემონკრატისი ნჭირიმეცა და ნსულიც მეცა“,ო, —

მაგრამ საქმენი ანიჩქასი ჯერა თითქოსდა შეუმჩნევლად მაგრამაც მერე თუმცა ნელინელ და მაინც

სულ უკან-უკან ნავიდა თუმც ჯერჯერობით დამაფიქრველი იყო მისი ნათქვამი წარსულური თუ მომავალისადამიერი, ეგებ - ეს „ნჭირიმეცა და ნსულიცმეცა“ — მაინც რა ჭირი-მეცა და ავისული-მეტაკა იყო ნეტა ესა გამონათქვამში ამ-ამ ანიჩქასისისა მაგრამ იშაკას ცალფად შ-იანს აქა მაინცად ცხადლივ რომ კი-სიამუ-ვნობდა გამონათქვამები მთლიანად-ესი და განსაკუთრებით კი „დემონკრატია“ — აშკარა იყო თუმც შენიღბული მაგრამ ანიჩქა მაინც გრძნობდა კან-ტყავითაც რომ მის უკუ-სვლას რომ გასაბრძოლებლად რო სჭირდებოდა ძალიანაც-რომ ხერხი-ახალი (ახლა „ხ“-ებმა წამოყვეს თავი, სუხ-ები და მედვედევეები პუტინურები, გვაკლდა), და მოახერხა და გაახერხა (— ა! —

კიდო, კიდო,) და მუახერხა (— ვაჰხხ!):

ნილბოსანებს, როგორც ადრეც კარგა-სჩვეოდათ და მოდღღებულად? — მთლადც უმიზეზოდც გაახშირებინა ატლანტიდელეების დასჯა, სულ თხის კუდების მწარედ-მწვავევე მათრახით არ-ტყმევიენებინებოდა დამქაშთ-უკრინტოდ-დამყოლებსა ხოლოკი ჯორ-იშაკასა ასე ეუბნევიოდა კიტრადკიკოი რომ: იმათ მემგონი მთელის თავიანთი ძალლონით ჯეროვნად არა-უყვარხართო დიდო ჰადრეყო თქვენ რო ამასწინათე ყლორტები შჭამეთ... არა — მიირთვითაო ყლორტიჭამითვი ჯეროვნად არა-გიკრავდნენ ტაშტაშებსაო, და ესა თუკიმ მეჩვენებოდეს მე არა-ვიყო ანიჩქასი მუადგილო,

და, თუმც,

დუმდა იშაკა, კმაყოფილი იმისა და მიუხედავად აიიმისა რომ მლიქვნელური სულსწრაფობით კიტრიკიკოსა მთლადც გამოჰრჩა ანიჩქასეული „ნ“-წნი, „ჩვენწნი პადრეო“ კიარ უთხრა არამედ ცალფად „ჩვენო“ უნოდა, ისევე როგორც ესა ცალი ნ და აგრეთვე „მე არა ვიყო ა-ნ-იჩქასი მუადგილო“ო — არა ვიყო — დასწინაურულს გადახტომას უყრიდა ფუძეს, ანიჩქაზედა, და ამით იერთგვარინყალი შეუყენავა, ემ (იმ) ანიჩქასა,

ხოლოკი თუკილ ვინმე გაკუდული (სიტყვებიდანა „ხარის კუდითა გაროზგილი, გამოლტილი, დარხეული“ და ასე შემდეგ) პირველ ხანებში იმ უსამართლო გაკუდვის ამბავს თვით ანიჩქასთან თუ ირივებდა? — ანიჩქა არც კი ახედ-დახედავდა და, —

„კარგი ცხენი მათრახს... ეე კუდს არ დაირტყამსო“ — რატომღაც კვლავაც არა-ჩიქორთული ატლანტიდურით იტყოდა ასე ამას ასეე და ახლა ხარის კუდისი მათრახითა თავისი ხელით ათ-ათჯელ მაინცა ჰსცემდა მომჩივანსა ჩვენა როვიცით იქ, იიქ, იიიქ და, დააყოლებდა:

„ნკაცმა ნრო ინცოდეს ნსად დაეცე-მალქ, აიმ ადგილას ქეჩას დაიგებს ეე, არამედ — ნქეჩას ნდაიგებსოლქსო“, ო, ოო, ოოოვლქ — გადამდებია, ცუდ-მაგალითი, ჩემ თავსზეც, ვიცო,

და ასე რომ, ხარის თაობაზე (გაკუდობა-ზედ) ანიჩქასთან(ა) მერე და მერე აღარ ჩიოდნენ, აღარ მიჰყავდათ მძლავრ-ბუღებისა კუდებამდისინ, საქმე, —

მერედამერე.

მაგრამ? ანიჩქა აკი ასე კობტურათ-მარჯვედ იღვწოდა და მაგრამ, მაინც, გაგვიგონია, სულსუყველასე — „მჯობნის მჯობნი არ დაილევო“, და,

მაგრამაც მზარდმა კინტირიკიკომ ერთიცა სხარტი გამონაგონით ძლიერ აჯობა, რადგან, ერთი ისეთი წესი-რამ ერთი, გამოიგონავა, —

მერე და მერე;

გაგრძელება მე-9 გვერდზე



კატო ჯავახიშვილი

გაცრილი ძვიზა

გამოვიდნენ და სჯეროდათ.
 ქალაქებივით ხმაურობდნენ.
 ქუჩებივით ღმუოდნენ.
 დასაზეთი კარებივითი ჭრიალებდნენ.
 ალაგ-ალაგ ნემსიყლაპიებად იქცეოდნენ ხოლმე —
 ცათამბჯენებს ეხეთქებოდნენ ფრთებით.
 გამოვიდნენ და სჯეროდათ.
 ძირგახვერტილ ქვაბებს მოაჩხარუნებდნენ.
 გამურულ ხელებს გულზე იბრაგუნებდნენ.
 გალურჯებულ ტუჩებს ნითელ ღვინოში ანობდნენ —
 გადასარჩენად.
 გამოვიდნენ და სჯეროდათ,
 რომ ხმის ჩახლეჩვამდე შეეძლოთ დაემარცვლათ სიტყვა:
 — ს ა მ შ ო ბ ლ ო .
 გოგო მივიდა და ჭადი მისცა.
 არ ჭამეს.
 ქადა-ნაზუქს ელოდნენ.

ეს როგორც ჭადის ჩამოტეხვა. ხის ძველი გობი.
 როგორც მზე თავზე — ბერიკაცი ძვლებს რომ ითბობდა.
 ეგონათ, სახლებს ჩასჭიდებდნენ ერთმანეთს, როგორც
 სახელებს. გვარებს. მოგონებებს. ყანებს. სათიბებს.
 კადრი — ბავშვობით მოტანილი ყურძენი. გოდრით
 და ფელამუშით ამოთხვრილი თითი. „ათივე“.
 ეს როგორც ერთი საგარეო შარვალი, ისიც
 დაჭრილი. ნაკერაცდენილი ნაჭერი. თუნდაც.
 სამშობლო — ვინრო, თხელ ტუჩებზე პომადას ისვამს,
 აქ წვეთ-წვეთობით უმონებენ სისავსეს თუნგებს
 და როგორც შენი ქალაქი და უბრალოდ ნიშან-
 დობლივი განწყობა.
 თვალი ნყალს გიმღვრევს.

იდგნენ და ელოდნენ.
 ხელ-ფეხი ციებთანვით უკანკალებდათ.
 ცხვირ-ხახა მტვრიანი ნაწილაკებით დახშობოდათ.
 ძვალ-სახსარში ნიკრისის ქარს დაედო ბინა.
 თვალეში ბათქაში ეყრებოდათ.
 გარღვეულ შოვებში ჟონავდა
 — ნკაპ. ნკუპ.
 წვიმა.
 ისევ იდგნენ და ელოდნენ.
 ტყლაპივით წაგრძელებული ენებით.
 ჭუჭყისგან გაზეთილი თმით.
 უომრად მოპოვებული დამარცხებებით
 და ამ დამარცხებებს შორის
 ტორტის ნაჭერივით ჩამოჭრილი მემკვიდრეობით.
 ერთმანეთზე გადაბმული ჭიპებით იდგნენ და
 ალაგ-ალაგ ამოოხვრებს შორის,
 გეგონება მუცელზე დააჭირაო ნიხლი ვინმემ,
 სამშობლოს კნაოდნენ.
 (სძულდათ).
 გოგო მივიდა და ჭადი მისცა.
 ლოლნიდნენ.

ეს მაშინ როცა, ჩამოგაჭრეს ხელი ან ფეხი.
 მერე მის ნაცვლად მოგაკერეს. ნიფელი. მუხა.
 როცა თეთრ ფურცელს კალენდრიდან ვიდაც ამოხევეს
 და შენ ვერაფრით ვერ მოასწრებ —
 „ჰოპლა“. ჩამუხლვას.
 ეს მაშინ, როცა „ბეტეკის“ ქვეშ არ გიჩანს სახე
 და გამოცანის პირობა უკვე ამოხსნა.
 და ხდება ასე — უკაცობით იცრება ქვიშა
 და ხდება ასე — ხეიბარი, მახინჯი კაცი
 სამშობლო — ჩვენი საქათმიდან ფრინველებს იქმევეს
 და „ჰაუ“, „ჰაუ“ აბრეშუმის პერანგებს იცვამს

და „ჰერი, ჰერი“ პოლიგონზე ელიან მაშველს
 ჩვენთან ხომ ისევ წვიმებია — კანარი. ნიცა.

დაილაღნენ.
 ფარფლები გამოიბეს და გაცურეს.
 საბურავები ამოიცივეს და გზა მოკეცეს.
 ფრთები დაიბრუნეს და გაფრინდნენ.
 ერთმანეთი დაიმოკლეს და
 სახელოებში წყალი წურწურით ჩასდიოდათ.
 კისერწაგრძელებული იდგა გოგო
 „აინები, მაინები,
 ჭიქები, საინები“ -
 ჭექა-ქუხილმა ჭიქის კედლები დაბზარა.
 კისერი მოკეცა და გააგრძელა
 „ნემსები, მახათები,
 პაპირუსის ქალაღები“ —
 შეზანზარდა.
 „ნარმა, მიტკალი,
 რა რა რა რა გინდა, მითხარი“.
 — არაფერი.
 ჩამოსძახეს.
 გაჩუმდა.

და ის, რაც დარჩა. ჩვენგან ერთი რიყის ქვა, ანდა
 მაკეტი როგორც. ფარღალაღა წისქვილი. გზაზე.
 იქნებ რაც დაგვრჩა და ვერაფრით ვერავის ვანდეთ,
 (კვერცხის ნაჭუჭის გამომტვრევა), ასე დავზარდეთ
 წინილებივით, შემოდგომამ გამოჰკრა ქამანდს
 და მარყუჟივით შემოველო საჩვენო ადგილს.
 ვთვალეთ, ვთვალეთ და ვერ დავთვალეთ.
 და რადგან, უფრო მეტი იყო. ნარჩენი. ნამჯა..
 ხელები ზურგზე. და გადანვა სათიბის უცებ.
 და რადგან პური ვერ გატეხეს. ვერაფრით დასხდნენ
 ერთად და შემდგომ გაზაფხულებს ვერ დაუციდნენ.
 სამშობლო — როგორც მიტოვება. მაგიდა. უჯრის
 ჩაკეცვა. მლაშე სინანული. გადასვლა ხიდზე.

წავიდნენ.
 ტანსაცმელი დაიფრთხეს.
 ხურდები ააჩხრიალეს.
 ქუდი დაიხურეს და
 წავიდნენ.
 „გზაზე მიდის სამი კაცი.
 — რათა სამი?
 — მაშ რამდენი?
 — ორი.
 — რათა ორი?
 — მაშ რამდენი?“
 ...
 ჩუ..
 ჩუ.
 არცერთი.
 გოგომ კისერი მოკეცა და დაიძინა.
 ჩამოატარა მდინარემ გვამები და არავინ იყო.
 ჩამოატარა მდინარემ გვამები და ვერ დამარხა.
 ჩამოატარა მდინარემ გვამები და...
 ჩამო ატარა.

და რადგან წესი არის ასე — დამარხოს მკვდარი
 თავისი ყველამ. დღეს დამარხოს. ხვალემ თქვას ხვალის.
 და რადგან წესი არის ასე, საკუთარ კარებს
 მოარგოს ყველამ გასაღები, თუნდ ხეიბარი
 კაცი ეგდოს და დამწვარ სულზე სდიოდეს კვამლი,
 თავის მინდორში ყველამ თავის მინა დაბაროს.
 რომ ყველა, ვინც კი მოადგება აკრძალულ საზღვარს,
 რომ ყველა, ვისაც მოენატრა თავშლის აქნევა

და ყველა, ვისაც უნდა თავი იქ შემოსაზღვროს,
 სადაც იწყება თავდაღმართი გზები და ქვევით
 ბუზივით მოსჩანს ეს ქვეყანა — ელოდონ ზღაპარს,
 „ჭირი იქა და ლხინი აქა“ — აივსოს ქვევრი.

დგანან ისევ.
 სხეულჩამოჭრილები.
 დაცემულები.
 ცარიელი ხურჯინებივით დგანან და
 სიპის ქვევს ერთმანეთის თვალებში ეძებენ.
 მოუშუშებელ ჭიპებზე დაძველებულ კირს იყრიან —
 ფუფხს კი, არა და არ იკეთებს.
 ალაგ-ალაგ ნემსიყლაპიებად იქცევიან ხოლმე —
 ცათამბჯენებს ეხეთქებიან ფრთებით.
 გადაყლაპულ ნემსებში გაყრილი მოგონებებივით მუნჯები
 დგანან და
 ერთმანეთის ფულუროებს კორტნიან.
 დგანან და
 გაცრუებული მოლოდინით,
 გავეშებული სისხლნაკულულობით,
 დათხრილი თვალებით
 ტირიან სამშობლოს.
 გოგო ნახეს. ეძინა.
 ჯვარი დაასვეს.

ეს იქნებ უფრო. ამოთხრილი თვალები ვარცლში.
 და ღამე ვარცლში. და დაკრეფა ხელების. მიძიმედ.
 ეს იქნებ, რადგან უსიტყვობა თითებზე ვმარცვლეთ,
 ა-დან ჰაე-მდე ვკვდებით ცოცხლად. ანდა ვიძინებთ.
 და როცა გეტყვი, ზუსტად მაშინ ფქვილივით გაცრი
 ჭურჭურტანებით ფიჭასავით სავსე მანძილებს.
 „როცა გეტყვი ი — მაშინ გამოდი“.
 „როცა გეტყვი ე — არ გამოხვიდე“.
 გვითხრეს.
 ედგავართ და ველით.
 ედგავართ და ველით.

შვილს

იცო, ეს რა ჰგავს?..
 შენს ენაზე რომ დაგინერო,
 გაკვეთილზე რომ მთელი ძალით სილა გაგანწას
 გეოგრაფიის მასწავლებელმა,
 რადგან რუკაზე ვერ იპოვე შენი სამშობლო
 და შერცხვნილი იდგე მთელი კლასის წინაშე
 ყლაპავდე ცრემლებს —
 ლოყიდან კი არ ქრებოდეს ნათითურები.
 ნარმოიდგინე, ზაფხულია, ცურავ და უცებ
 ტალღებმა შენს წინ დიდი ბურთი აატივტივა,
 შენ რომ ყოველთვის ოცნებობდი, ზუსტად ისეთი,
 აღმოაჩინო — გაგიტყუა, შუა ზღვაში ხარ,
 აღარც კი იცი, დაბრუნება გიღირს, თუ არა.
 ანდა, ქუჩაში მიდიოდე, ფეხი დაადა
 პატარა ლეკვს და შეგეცოდოს, შინ მოიყვანო.
 სანოვარაში რძე ჩაუსხა,
 „პლედი“ გაშალო,
 ის ავზნიანი გამოგადგეს
 და ყოველ ღამით ფეხსაცმელებს ლანჩებს უღრღნიდეს.
 ღამით, ქუჩაში უპატრონოდ როცა მიაგდებ —
 არ დაგავინყდეს —
 დაბადების დღის საჩუქრად ლეკვი გინდოდა.

ჩემს ენაზე კი, ეს ასეა. უცებ — ავსება.
 მშვიდი პიანო. სტოკატო და მერე პაუზა.
 კურარეს შხამით გაჟღენთილი გზები. ისრები.
 ვზივარ და თეფშზე მისი გული. მშვიდად ვსაუზმობ.
 ავსება ისევ. ტანში ზღვა და შავი ტალღები.
 გადაყვლეფილი მუხლებიდან სისხლი. თქრიალით.
 გასაღებების აცმა ხელში — კარი გაიღო.
 ბენვის ხიდი და. გაშლა ფრთების. კლდეა. ფრიალო.
 სინამდვილეში კი ასეა. იწყებ მზერიდან.
 მერე ხვდები, რომ თვალებს ითხრი. ყნოსვას იმდაფრებ.
 სინამდვილეში ასე ხდება. სიტყვას ბზარავ და
 დუმილს მოხსნილი თავშალივით კიდებ სამაგრზე.
 იცი, ეს რა ჰგავს?.. შემთხვევით რომ ხელი გაგეჭრას.
 არადა, ხორცი ნამოაცვა, როგორც ნალამზე.
 უცებ რომ გახდეს რაღაც ნივთი მეტად საჭირო,
 ვიდრე აქამდე. ანუ ამით, — თავს ინამლავდე.
 სინამდვილეში როგორ არის, იცი? — ომია.
 აქეთ და იქით, დაზღვეული ტერიტორია.
 ზავი — ეს ანუ, სიყვარული მშვიდად მოგიხდეს.
 ომი — ეს ანუ, ნადირივით მინას ტორავდე.

აღამიანებს როცა სცივათ — მაშინ ხვდებიან
 და თუ მოისმენ:
 — არ მინდოდა, სულ არ ველოდი,
 შემთხვევით მოხდა,
 მე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი,
 — ტყუილს. იცოდე.
 შემთხვევითი არაფერია,
 და როცა გული მომლოდინე რეჟიმში ცხოვრობს,
 რადგან მოსწყინდა ალგორითმი მექანიკური,
 როცა შიგნიდან სხეულს უჭამს სიცარიელე,
 ნიშნავს მოსვლისთვის სამზადისი დაწყებულია
 და ქარიშხალიც ისეთივე გარდაუვალი,
 როგორც ჩვენ ვიცით,
 დილით რვაზე, რომ გვაქვს საუზმე,

მერე შენ სკოლა,
 მე – რა ვიცი,
 სრული დომხალი.
 იცი, ეს რა ჰგავს?..
 ჩვენ რომ სახლში მუდამ ვბრუნდებით,
 იმას, კი არა..
 გადაფრენას.
 ნეროებივით.

დღეს ხომ ყველაფერს ინიშნავენ.
 შეხვედრებს, ზარებს, დაბადების დღეებს, ქორნილებს.
 უბის წიგნაკში, მობილურში, ნეტში, ან სადმე...
 შენც ჩაინიშნე, რომ გიყვარდა.
 არ დაგავინყდეს.

ჯარისკაცები

ჯარისკაცები დგებიან ადრე.
 რეზინის ჩექმებს ისწორებენ.
 ხელებს იფშენენ.
 მორყეულ, უშნო მაგიდებთან უხმოდ სხდებიან.
 სიცარიელთ ამოვსებულ რკინის ჯამიდან
 მოლოდინს თქვლეფენ.
 ეს რა თქმა უნდა, რომ არ არის ნაყინი-ბრიული,
 არც ბრინჯის ფლოვი, ცუკატებით და ქიშიშებით.
 ჰორიზონტს იქით, გამოგონილ და შორ ქალაქში
 მათი ქალები ფლოვს კენკავენ და...
 შიმშილობენ.
 ზნედაცემული ოცნებებით ივსებენ სხეულს,
 გარეთ ნყვილები სეირნობენ მშვიდად ხელკავით.
 ჯარისკაცები წვებიან ადრე.
 თვლებს ხუჭავენ და მოსასვლელ
 ბილიკს ხერგავენ.

დღეს რომ დაიღალოს ღამე.
 როგორც ჰოსპიტალში მედდა.
 იდგე. იქ არავინ იყოს. თვალში იგროვებდე თითბერს.
 უცებ განყვეტილი მძივი — კართან უპატრონოდ ედგოს,
 შენ კი, კრიალოსანს ტყვიის მასრებივით თვლიდე.
 მერე რა თქმა უნდა ისევ, ისევ ჩვეულებრივ. მთვრალი.
 მერე რა თქმა უნდა ისევ, ისევ უჩვეულოდ. მძიმედ.
 მერე ძლივს იცვალე გვერდი. მაინც გეჩვენება ფართო.
 მერე მიიკუნტე სადღაც. ისევ კედლის მხარეს გინავს.
 დღეს რომ დაბრუნება აღარ. აღარ გამოვიდეს. რიგი
 უცებ გაინელოს პურის. ქარი შემოუდგეს კარებს.
 ყოველ დაძინებას ახლა, უკვე უშენობით ვიგებ.
 ყოველ გაღვიძებას ალბათ, უკვე უშენობით – არა!..
 დღეს რომ მხარი გამკრას ვინმემ. ფეხი ამერიოს სადმე.
 შენ კი მშვიდად ხდიდე ნამუსს.

სადღაც მტრის ბანაკში სხვა ქალს.
 მერე მოგონება ისევ, ველარ პოულობდეს ადგილს.
 მერე არაფერი. კარი. თითქოს არაფერი. ნახვალ.

მათი ქალები დგებიან გვიან.
 უძილობისგან დაღლილ სახეზე ისვამენ „პუდრას“
 და სარკეებს თვალს არიდებენ.
 ნითელი ლაქით იფარავენ დამტვრეულ ფრჩხილებს
 და მაგიდასთან, მოვერცხლილი პატარა კოვზით —
 ფლოვს მიირთმევენ.
 მიირთმევენ და შიმშილობენ,
 ზნედაცემული ოცნებებით ივსებენ სხეულს,
 მათი ქალები წვებიან გვიან,
 მტრის ბანაკში კი მზერას ხრიან ჯარისკაცები.
 ეს რა თქმა უნდა, სულ არ არის ლოდინი უხმოდ,
 არც ბრინჯის ფლოვი, ცუკატებით და ქიშიშებით.

ტუსალი

როცა, დაღლილი, ფეხბატრევიტ სახლში ვბრუნდები,
 გრძელი დღის შემდეგ, ქუჩა-ქუჩა ნანანალები
 და ამ კარს იქით მოლოდინით შემომყურებენ
 ჩემი ნივთები, რიყის ქვები, სამოვარიდან
 ორთქლი ისე მოიპარება,
 თითქოს ხელები ამაფარა დედამ თვალებზე,
 ვხვდები, რომ შინ ვარ
 და დავბრუნდი.
 ან დაგიბრუნდი,
 გამოვალნიე
 ამ ცხოვრების გისოსებიდან,
 თუმცა, ნითელია ეს დაღამება.
 მე — შეუკრავად პყრობილი ვარ.

*კიდევ რამდენჯერ უნდა იძრას მინა, რომ მივხვდეთ,
 სადაც ჩვენ გვიყვარს, იქ ყოველთვის სასაკლაოა.*

ბანალურად კი:

მე ახლა არყოფნას ვაგროვებ ყოფაში.
 გგონია, შენამდე.
 ვინ იცის, ჩემამდეც..
 და სველი პერანგის სრულ შემოხვევამდე,
 მარტივად, ვვარდები
 გულალმა ორმოში.
 მოყინულ გზებზე რომ ბარბაცი მასწავლეს,
 შეგრძნებებს ვაბიჯებ —
 არეულს ქარივით.
 და მერე ნაპრალებს ვიგონებ გზადაგზა,
 რომ ტვირთი დავდო და
 ცოტა ხნით შევჩერდე.
 მარხულმა ვილოცე გუმინდამ მეჩეთში.
 ნოემბრის სუსხია...
 და მგონი დაზამთრდა
 ქალაქში,
 რომელშიც ცოტაა პალიტრა.
 ქალაქში,
 რომელმაც უფეროდ დამხატა.
 დაღლამდე აქ მხოლოდ ერთი ნაბიჯი და
 ერთი გადახედვა —
 ხიდიდან — მიწამდე.
 მე ახლა არყოფნის სახვევებს მიცვლიან —
 სრულ უარყოფამდე.

*კიდევ რამდენჯერ უნდა იძრას მინა, რომ მივხვდეთ,
 სადაც ჩვენ გვიყვარს, იქ ყოველთვის სასაკლაოა.*

გისოსებს აქეთ ჩვენ ვბრუნდებით.
 ნითელია ეს დაღამება.
 მანამ წაგვიღეს სანაპიროს წყალდიდობებმა,
 მაჯები მლაშე მოლოდინით გადავიბანე,
 ბორკილებისგან გახეხილი გზები-გველები
 წყალს ვავაყოლე —
 სუფთა ვარ ახლა,
 სამყარო ორი ნაწილია:
 გარეთ და შიგნით.
 გარეთ და შიგნით.
 გარეთ და
 აქ ვარ!..

**გურამ დოჩანაშვილი
 კაცი, სახელად ნოე**

გაგრძელება

მაგრამაც ჯერე დავინწყით იმით, რომ,
 აი, შ შეკვეცილი ჯორ-დამაინციშაკა და აქამდისი-
 ნაც შ შეკვეცილი პროსტა-იშაკა აკი ძალიან ხშირად და
 მალ-მალ თავის მუსიკალურათ-ლინგვისტიკურის კარქ-
 ენებითა ძაანაც ხშირა გაიძახოდა:

„პადრე კი ვაარ, ნომერ ერთ-ერთი ეე არამედ ახლა
 ნუმერ პირველი და ერთადერთი, ოპუსურადა (ოპუს –
 ნანარმოები; ხოლო მუზიკალური გაგებითა ნანარმოე-
 ბები სწორედ ოპუს ესა და ეს რიგით ნუმერ-მეამდენეო,
 მთლად ნოტთა თავში ინერებოდა მაგრამ ეს – შემდგომ;
 და მაინც სიღამ უნდა ჰსცოდნიყო, ეს, ჯორ-ვირშაკასა,
 ამ... ჩვენა, პადრეებს რას გაუგებთ; გინდაცა ვიყვნეთ
 დიდ-გამჭრიახნი...) მაგრამ აგრეთვეც სუპირველ რიგში
 მუზიკანტი ვაარ პიოტრ ილიჩივითა (ა ეტოტ პიოტრ ილიჩ-
 პაზიტორამ ი ოტკუდა ზნაეტე ეტოტ დჟორ-იშაკ ეტო... –
 რუს.), და ამისათვი ვილწვი ასე გუდ-ურა-თაო (არა, გუ-
 დურა კი არა, — არა, არამედ გუდ-ადაო... ეე, და არცაც
 გუდა-დ... არამედ „გუდ“-ი, ინგლისურათე, მომავალში(ა)
 ანუ ჩვენს დროშიც „კარგ“-ს აღნიშნამდა და ამიტომ ამ ემ
 ჯორადრიქმასი ესი „გუდ“-ი ასე უნდა მივილოთა ატლან-
 ტიდურათ რომე ვითაარც „მე კარქი მინდა თქვენთვისინა
 და ვაარ მეა ერთიც თქვენიცა და ძაან კარგი და კარქე-
 ბიო და ზედაც გვარშიგასათხოვრები“–ო...) და ამიტო-
 მაც დამფასებლურად შექებაურებ-შეფასებები ძაანძლი-
 მერა ძლიერ უყვარდა ვირიშაკასა რა იყო და, — ჯორ-
 იშაკასა ანუ გონიერს ვირსა-ამას, და, კიტრიკიკოშაც
 თავისის მხრიდამ თავისივე მახვილჭკუევითა და ზედაცკ-
 იდე თავისიხელით აი ასეთი რა ნაღდი წესი და როგორ-
 რარიგ განწესება ერთსაც გზაზედა (– ბევრნაირია), დას-
 ადგომად? – გამაიგონა (გამ-ო-იგონა, ვა):

თავდაპირველად თავის იმასთან (რა იმასთან და –
 თავის იმასთან, აკი-მეთქი...; თავისსახელით როარ ვამ-
 ბოფ საჯდომი-სასი ერთ-ერთ სინონიმს თუ რას ეძახიან,
 ამ ამა-ამბის მოყოლა ისე ძალიან აღარ მერიდებდა) მიი-
 ტანა ექსპორტულ-ფისით (– ნაღვერიდანა?! კარგა-სა-
 სურვად ააღებული მაშხლა, და, თუმცაღა ისი-თავისი
 ავტო-ადგილი არ გამოუწვამს ავტორულადა – მოშორე-
 ბითე ჰქონდა, უკანა, და მაინც ატეხა ისე ძაანა ფორტე-
 ული (ფორტე: ხმამაღლა, ძლიერად – მუზიკ-ალური
 გაგებითა;) დიდძალ-ძახილზახილი უშველებელი: „მიშ-
 ველეე რიქშაა!, გვიშველე შენხალს ჩვენო ჯორსაშააა!!!“,
 რითაც, გენაცვათ, იმ ჯორჯორობით რა იყო და ჯერჯერ-
 ობითე ძალიანაც დააბნიავა მისი ბრძანებით შემოკრე-
 ბილად-შექურული ხალხი რაღა თქმა უნდა იმდროინდე-
 ლი, და იმდროინდელივ-იმადროისი ჰინტელიგენტები-
 ანაც კი ანუ ვისაც ქალაქის ცენტრში ანდაც პრესტიჟულს
 გარეუბანში აქვენდათ ბინები ყოველსა სულზე ორ-ორ
 უსულო მაგრამ ფეხისალაგებიანა და,
 მერეკილა?

იქავე მდგარსა რომელიცა რიგით ატლანტიდელს
 (სახელი არ მახსოვს; რომელს არა გვაქვთ თითოც ნაკლი-
 ვერიცოდნა; კი; – აკი) მართლა აძგერა ხელ-ფისიანი მაშხ-
 ალაი აი იქა და, კარქქაც გამოსწო ისიადგილი, ანუღა, –
 ტრაკი (- უბრალო რიგით-ატლანტიდელზედ შაიძლებაა,
 კიი, ესი სიტყვა; ვაჰ, ძლივ არა ვთქვი – თუ, კიც-ვთქვი, –
 სწორადა?) და იმანა კი, იმა-ადგილის (ვიცი თუკვე-ხომ,
 ზუსტად, რა-რომელიცა ადგილია, ის!) სუ ზედმინეენით
 გამამწვარამა? მართლაც იბღავლა ისე ძალიან გულწრ-
 ფელადა და ნატურალურაათ – ნატურალობა არა მარა
 გულწრფელობა კი სუ უშედეგოდ სანთლით საძებნსა იშ-
 ვიათობას ნარმაადგენდა ატლანტიდაში და არა ნატუ-
 რალიზმიც... თუმც... რა იცი, კაცო, ეგება მძაფრი ნატუ-
 რალიზმიც ანუ ნუდიზმი (ანუ მთლადაც შიმვლად შესე-
 ლაი გინდაც დღევანდელ საჯარო ბიბლიოთეკასა თუ
 აგრეთვ-საჯარო ოპერისა თუ დრამ.-თეატრის ოლონდ
 სცენაზე კი არა, – არა, არამედ ლოყებ-და-პარტერებ-
 და-ქანდარებზე-ში;)... რაღაცას ვამბობდი... მაგრამ
 ნუდიზმიმა გამიტაცა... გამტაცველია... კი... ჰო! –

ეგება ესაც გულწრფელობაა თავისებური (– თავის
 კი არა, ტრაკისებური...), და, ბოლო იმა აბღავლებულს
 ბღავლით: „ვააი, ვაახხხხ!! ვაი დედიჯაან!!!“ – ხოლო აქა
 კი, ამ კონკრეტულსა (ანუ საჯდომისადა აკვამლებულს)
 შემთხვევაში კიტრიკიკომა შაიბრაღა, აბოლებულ-აბღავ-
 ლებული და, მინამ იმის იქიდან (უკანალიდამ, რაღა,)
 მოაცილებდა ალგზნებულობით ჰაზარტში შესულ მაშხ-
 ალასა, ისა კი, აწხე ჰხხხხხხხ: „ვაახხ მკლამხ კიდევხხ
 კინტრიკიკოვხხ!!! ოხრაღხ მიტოვეფხხ იმტელ ბან-
 ანსაახხხ?!?!-!“ და, ურჩია ანგრე, ჯერჯერობითე მთლად
 ანიჩქასი, მუადგილემა (კეთილი იყო, კიტრიკიკო, კი, მამ
 ტყუილად ხვარ ეწყებოდათ ერთი ასოთი – ოლონდ მხ-
 ოლოდ წერიტი და წარმოთქმითი ასოთა – კ-ეთილსა და
 მას, კ-ინტრიკიკოს, „კ“, ზე, სიტყვები) და დაარიგა-ვაა,
 აყმუვლებულ-და-აჩხავლებული აიი, ასე:

„შეჩემანალა, მე რო მენვოდა ეს ჩემი დუმა, ჩემი ტანისა
 დეპარტამენტის აგრე ფაქიზი დუნდულია, აკი ჯორ-რიქ-
 შას შაეჭღალადე გადარჩენა და, ნახე, რარიგ მრთელია“,
 ო და, მრგვლური ნუდიზმიც ჩაიტარა იმ რამდენ-
 ჯერთქმული, სხვადასხვაგვარადი ი-ადგილისა დაა, იმანა-
 ცა, თავისი იმა-ადგილითინა?:
 „ჯორროოო, იშაკააა!!“ –
 მაგრამაც აქა კიტრიკიკომ კვლავ დააშინა მაშხალი-
 თა და, მიუტანავა ისეცა:
 „სრული თხოვნაი!“


გაგრძელება შემდეგ ნომერში



მიხობ
მოსულიშვილი

სა- ლა- მან- დრა

ნოველა ოფორტებად,
მსგავსად ფრანსისკო
გოიას სერიისა:
Los Desastres de la Guerra —
„ომის უბედურებანი“



სულში ჩაღვრილი ცრემლი

სალამანდრა უშუალოდ სახლში იჯდა, გამურულშუიან ლამბასთან და სიგარეტს ენეოდა. ბოლო ლიტრი ნავთი წინა დღეს გაუთავდა და ახლა სიბნელეში იჯდა — მძიერი და გაყინული. თავად გაუძღვებდა როგორმე, მაგრამ ბავშვები და ცოლიც რომ ამ დღეში იყვნენ?

ნანობდა — ნეტავ, მეც ჯუგოსთან, შავოსთან, ლეკოსთან ვყოფილიყავი, სადაც არიან და როგორც არიანო. ნავიდნენ და მე კიდევ ამ თახსირ ცხოვრებას შემატოვენ-სო.

სიმწრისგან ეტირებოდა, ვერ ტიროდა და ცრემლები სულში ეღვრებოდა. ძილიც მშფოთვარე ჰქონდა — ხშირად ზღვაში ატივტივებული გვამები ესიზმრებოდა, რომლებსაც კაციჭამია ღორები უდარაჯებდნენ, რომ ნაპირზე გაეთრიათ და იქ შეეთქვილიათ.

ყაზარმის სუნი

ამ ახლად ჩამოყალიბებულ სამხედრო ორგანიზაციაში სამსახური რომ დაიწყო, ერთი ჩვეულებრივი, ნაომარი კაცი იყო. ოღონდ ნერვებაშლილი და განანებული — ცალკე თავისი ქვეყნის უბედურებით და ცალკე გამუდმებული გაჭირვებით, შიმშილითა და ამის გამო ოჯახში აყალმაყალით. ოფიცრის გოდება უმადლესი სასწავლებლიდან ჰქონდა.

ჰოდა, მთავარ სამმართველოში შეუდგა უმცროს ოფიცრად, ლეიტენანტად სამსახურში. აქ იყვნენ ყოფილი იმპერიის სამხედრო ძალებში ნამსახური ოფიცრებიც და ასევე მთლად არაოფიცრებიც — „ქუჩის პოლკოვნიკები“, მაგარი ბიჭების შემადგენლობიდან, ომში რომ მოხვედრილიყვნენ და ნოდებების მიღება პირდაპირ მაიორობიდან დაეწყათ.

ღამ-ღამობით მორიგეობა უნევდა ხოლმე რომელიმე უფროს ოფიცერთან ერთად შენობის დასაცავად და ეცინებოდა, ცოლი რომ ეუბნებოდა, ყაზარმის სუნი გიღისო.

ფორმა რომ ეცვა, როგორღაც იაპონელი სამურაები ახსენებოდა. განსაკუთრებით ისინი, აკირა კუროსავას „ჯარისკაცის ჩრდილი“ რომ არიან გამოყვანილი.

კვიტიანი

ერთხელ კვირა დღეს მორიგეობდა სამსახურში. თავის უფროსს, ჭლარათმიან გამოცდილ ოფიცერს ელაპარაკებოდა, რომელიც რამდენიმე ომში იყო ნაომარი და უცებ აფეთქების მჭახე ხმა გაისმა.

დერეფანში გამოვარდნენ და მოპირდაპირე ოთახში შევარდნენ. ახალგაზრდა კაპიტანი იჯდა მაგიდასთან, ცალ ხელში სახრახნისი ეჭირა და ის ხელი უკანკალედა. უცახცახებდა მეორე ხელიც, რომელიც ასაფეთქებელი მოწყობილობა ბოლავდა.

— ჩემმა უფროსმა ეს ნაღმი მომცა, დაშალე და გაიგი, როგორ არის გაკეთებულიო. ამოვაცალე საათიანი ასაფეთქე-

ბელი მექანიზმი, მოვხსენი სადენებიც და ის იყო, მექანიზმი უნდა შემეღწია, რომ იფეთქა. თვითგანადგურების მექანიზმი ამუშავდა. ნაღმებს უყენებენ ამისთანა მექანიზმებს, რათა იმათი აგებულება ვერ შეისწავლონ სხვებმა.

კაცი ბრტყელ, მომრგვალებულ ნაღმს უყურებდა. შუაშუა დანაყოფიანი მექანიზმი იყო. თურმე, იმას რომ მოატრიალებ, ნებისმიერ ადგილზე ჩერდება, მაგრამ საერთო დრო ორსაათ-ნახევარი აქვს. შენ რა დროზეც დააყენებ, იმას სხვა ვერავინ გაიგებს და სწორედ იმ დროს აფეთქდება.

თურმე, ამ კაპიტნის უფროსის შვილი გამნაღმავე ყოფილა ზღვისპირეთის ომში. სწორედ ასეთი ნაღმი ჩამოუგდიათ თვითმფრინავიდან და ნასულან. ეს ბიჭი თავისი ჯგუფით მისულა ამ აუფეთქებელ ნაღმთან. უფიქრია, რაკი თავიდან არ აფეთქდა, საშიში აღარ იქნებო და, სწორედ მაშინ უფეთქია და ნაფლეთებად უქცევია ის ბიჭი.

— თავი დაანებე, ხომ ხედავ, თვითგანადგურების მექანიზმი აქვს, ვერაფერს გახდები, — ურჩია სალამანდრამ.

— არა! სულ ერთია, მაინც ვიპოვი! — დაიქადა კაპიტანმა. დიდი ჩხორკედელა ვილადა ჩანდა, ფარული შიშისაგან თითქოსდა ჩამოგრძელებული სახე ნელ-ნელა ჩვეულ ზომებს უბრუნდებოდა.

იმისი ოთახიდან რომ გამოვიდა, ერთ-ერთი მორიგეობის ღამე გაახსენდა. მაშინ მთელი ღამე არ უძინია — ამ კაპიტნის უფროსი, ტანდაბალი და მელოტი, დღისით უზიარითი პოლკოვნიკი მორიგეობდა იმ დროს, ოთახში ჩაკეტილიყო და „დათო, შვილო, დათო...“, — ხმაბალლა მოთქვამდა.

ჩიზუსა

მოდო, მაგარ ამბავს მოგიყვებიო და უამბო, თუ როგორ იწვა თავის მეორეობთან ერთად ჭაობებში ამოსულ ეკლებზე და ტყვიების წვიმაში წინ მიხობავდა. რამდენიმე მეტრი რომ გაიარა, ხელი მოაფათურა და, თავისი „პარაბელუმი“ დაჰკარგოდა. გაბრუნდა უკან, ისევ იმ ეკლებზე და, როგორც იქნა, ტალახში იპოვა — ისევ ტყვიების წვიმაში იხობა და ერთი ტყვიაც არ მოხვედრია. მჯეროდა, რომ ყველა ტყვია ამცდებოდაო...

ის „პარაბელუმი“ თავისი მეგობრის ნაჩუქარი ყოფილა, რომელმაც „ლიმონკა“ აიფეთქა მკერდზე, ცოცხლად რომ არ ჩაბარებოდა მტერს.

მეხვარაპი

თურმე, დაზვერვიდან ბრუნდებოდა, სიმინდის ყანა უნდა გაეველო და უცებ მტერს გადაანყდა. სამი თანამებრძოლი ამას ჰყავდა, იმას — ორი. შემართეს იარაღი და, — მოიცა, არ ისროლოო, — იმას უთქვია.

მაშინ იარაღი მინაზე დაანყვეთო, — შეუთავაზებია ამას.

თქვენცო! — მიუგია იმას. ასეც მოქცეულან. იმათ არაყი მიჰქონდათ ნაწილში და ხორცის კონსერვები. ამათ პური აღმოაჩნდათ. დასხდნენ, ჭამეს და სვეს. სიმინდის ყანას რომ გასცდნენ აქეთ — ესენი და იქით — ისინი, ჰაერში ისროლეს — სამშვიდობოს ვართო.

ზღვისპირეთიდან ლტოლვილი მხატვარი

სამსახურის შენობის ერთ კიდეში, პატარა ოთახში ზღვისპირეთიდან ლტოლვილი მხატვარი ცხოვრობდა. უფასოდ აჭმევდნენ სასადილოში ჯარისკაცის ულუფას - დილით ჩაისა და ჯემს, შუადღისას - წვნიანს და მაკარონს, საღამოს — ისევ ჩაისა და ჯემს.

მხატვარი უკვე ვეღარ ხედავდა ცალი თვალიდან, მაინც მოლბერტი ედგა და ხატავდა.

სალამანდრას უამბობდა, თუ რა მდიდარი სახელოსნო დატოვა ზღვისპირა ქალაქში. როგორ კარგად ცხოვრობდა იქ აფხაზ ცოლთან, რომელიც აქეთ არ გამოჰყოლია, იქ დარჩა.

მხატვარი ადრე პარტიზანი ყოფილა ბელორუსიაში. სანამ ქვეყანა აირეოდა, ჩადიოდა ხოლმე იქ. თავის პარტიზანულ ცხოვრებაზე უყვებოდა სალამანდრას. ტყუილსა და მართალს. უყვებოდა ზღვისპირა ქალაქზეც, რომელიც სალამანდრასაც ძალიან უყვარდა. თავის სამუშაოზე, აჩვენებდა ბელორუსულ გაზეთებს, რომლებშიც მისი სურათები იყო დაბეჭდილი, სწყევლიდა საბჭოთა კავშირის დამშლელებს, ლტოლვილების ყოფას, აგინებდა სეპარატისტების ლიდერებს და ბოლოს უმწეობისაგან ქვითინი აუვარდებოდა ხოლმე. წვრილი ხმით მოთქვამდა.

ქუსლი

სალამანდრასთან მუშაობდა ერთი ოფიცერი, რომელიც, სანამ სამმართველოში გადმოვიდა, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდა. ძალიან მოსწონდა კომუნისმი, ბაქოს პარტიული სკოლა დაემთავრებინა (ჰქონდათ კომუნისტებს ეგეთი სასწავლებლებიც) და ხშირად ჩიოდა — ის ძველი წყობა რომ ყოფილიყო, ჩემ კაბინეტში ქელესური კაკუნი უნდა შემოსულიყავით, ისე კი ნუ მიყურებთო და მე კიდევ, ან მიგიღებდით, ან არაო.

ომისას, სანამ ზღვისპირეთი დაეცემოდა და უამრავი ლტოლვილით გაივსებოდა ქვეყანა, ომში მომინია ყოფნაო — მოჰკვებდა.

მერეო? — ჰკითხა სალამანდრამ. მერე დავიჭერი, ჩემო მანდრაო, — დალონდა ის.

როგორ? როგორ და, ზარბაზნიდან გადმოვარდნილ, ახლადგასროლილ დიდ ვაზნას, „სანარიადს“ დავადგი ფეხი ჩემდაუნებურად, ჩემმა ამომინვა და ქუსლმა შიშინი დაიწყო. მერე ისე გამისივდა, ისე, რომ ვეღარ დავდიოდი, ძლივს გადამარჩინესო. ქუსლი გადავირჩინესო? ჰო, ქუსლი, რა გაცივებთ, ესეც ხომ დაჭრა იყოო...

ზიზენა

სალამანდრას უამბობდა, მე ფეხბურთის გუნდში შვიდ ნომრად ვთამაშობდი და ეს „ზიზენა“ იმიტომ მქვიაო. ომამდე ნაკრებს ვავარჯიშებდიო. თურმე, სამმართველოდან შინ მიდიოდა ორი წლის წინ აქ, ქალაქში და მაშინ უსვრიათ, თავში დაუჭრიათ. კი, ვეცადე, რომ „მაკაროვი“ ამომელო და მეც სროლით მეპასუხა, მაგრამ გონი დავკარგეო. სულ სისხლში ვცურავდიო.

ენა ებმოდა ზიზენას. ზღვისპირეთში ომისას კრიმინალთა რაზმს შეუპყრია ზიზენა — ეს კომენდანტია აქ, ჩვენებს იჭერსო და თურმე, ფეხების სიახლოვეს ესროდნენ ტყვიებს. ეს მაღლა-მაღლა ხტოდა. მერე იმ კრიმინალების უფროსს უგინებია თავისები და ეგრე გადაურჩენია ზიზენა.

საფლავიდან გამოცხადებული კუკუზა

მთელი დასავლეთ საქართველო რომ მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოს ასაღებად, აიმ ძმათამკვლელ ომში მომახვედრესო, უყვებოდა სალამანდრას.

მეო, ბიჭო, გუგუის ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილ სტუდენტს, აინშტაინისა და ნილს ბორის ძმას და მეგობარს, დიუკ ელინგტონის და ჯონ ლენონის მსმენელს

— მე უნდა მესროლა ჩემიანებისთვისო?!. უფროსობა მიიმალ-მოიმალა, ზოგს ყელი ასტკივდა და სასწრაფოდ დედაქალაქში დაბრუნდა სამკურნალოდ, ზოგსაც — ტრაკიო.

ჩაგვაბარეს სამ ბიჭს ერთი იარაღის საწყობი და ბევრიც არ დაუხანებიათ, წამოვიდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები შეტევაზე ჯავშანტრანსპორტიორითო. ბიჭებს იარაღი დაეაყრევიან, გავიხადეთ ფორმა და, ჩვენი გამოსვლა იყო იმ საწყობის შენობიდან და რო ბუთქეს, ცაში აფრინდა მთელი სახლიო.

მერე გამოვრბოდი სიმინდებში, ჯავშანტრანსპორტიორი მომდევდა და ტყვიები თავზე წულით გადამდიოდაო. არა, განა ვერ დამბრუნდებდნენ, მაგრამ, ალბათ, არ გამიმეტეს, რა ვიცოო... და ზვიადისტები ეძახე შენო.

აქ, თბილისში მკვდარი ვეგონე ჩემიანებს და სახლის კარი რომ შევალე, საფლავიდან ხომ არ გამოგვეცხადეო — ამას მეკითხებოდნენო.

იჩქარა და კაპოტა

იჩქარა მაიორი იყო, კაპოტა — პოლკოვნიკი.

ავი ენები ამბობდნენ, რომ კაპოტა ნებისმიერ მანქანაში სწორედ კაპოტებიდან აღწევდა უხმაურად, აკუმულატორის სადენებს მარნუხით ჭრიდა და მერე ის მოპარული მანქანები იჩქერასთან მიჰყავდა. იჩქერა იმ მანქანებს ნაწილებად შლიდა და ბაზრობებზე ურიგებდა სანდო გამყიდველებს.

მერე მოხვდნენ ომში. ნარკოტიკის რეგულარულად მომხმარებელი ანტენა, საბრძოლო მასალის საწყობი რომ ებარა, იმ თავისი საწყობიანად ააფეთქეს კაპოტამ და იჩქერამ — ნამალი არ მისცათ ნისიად და ამას აპატიებდნენ?..

თუმცა კაპოტა იჩხირავდა, მაგრამ ისე მხეცად იბრძოდა, პოლკოვნიკი გახდა.

იჩქერაც კარგი მეომარი გამოდგა, ოღონდ დაუნდობელი — ხელში ჩავარდნილ მტერს ცოცხალს არ გაუშვებდა, სხვადასხვა მეთოდით მოკლავდა და იმათგან ნაალაფარი მოჭრილი ყურებისგან გაკეთებული და სუნდაცემული მძივი კაი ხანს ეკიდა ყელზე.

ომიდან ორივე ცოცხალი დაბრუნდა, სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი ჩამოაყალიბეს.

იმ ომიდან იჩქერამ ერთი თემოგანიერი და ქერათმიანი ქალი ჩამოიყვანა, სნაიპერია ესო და ნაწილივე ჰყავდა მეთოდისტინსტრუქტორად გაფორმებულთ.

ესენი ვინ ყოფილან, კაცოო, — ხელებს შლიდა სალამანდრა, როცა შემოწმებაზე მისული თანამშრომელი ტანკისტი ტყუილურალოდ გალახა მთელმა იმ სადესანტე-მოიერიშე ბატალიონმა — ამ ჩვენი მეთოდისტი სნაიპერისკენ ცუდად იყურებოდო... ისე სცემეს, რომ ტვინის შერყევა მიიღო. ყოფილმა კრიმინალმა სარდალმაც იმათ დააფარა ხელი — ჩემთან ერთად იომეს და ტყუილს არ იტყობდნენ, არ გვინდა ჩივილი და დავიდარაბაო.

მერე, სანამ ეს ტანკისტი საავადმყოფოში იწვა, იჩქერა დაიჭირეს — იმ თავის მეთოდისტ-სნაიპერთან მწოლარე კაპოტას შეუსწრო და ხელი არ აკანკალეობია, ისე ჩაცხრილა ორივე ლოგინშივე.

ფუტკარი საფლავი

სალამანდრა საფლავთან იდგა. აქ ჯუგო იყო დამარხული, იმისი მეგობარი.

მთელი ცხოვრება წვალობდა ჯუგო, ძლივს არჩენდა სამშვილიან ოჯახს და მოხუც დედას. მერე რაღაც ფორმა დააარსა მეგობრებთან ერთად, მუშაობაც დაიწყო, კარგად ნაუვიდათ საქმე და დიდ სიკეთეს ჰპირდებოდა ახლობლებს. მაგრამ ომის დაწყებიდან მალევე, როცა სალამანდრა ქალაქიდან გასული იყო, ის თავისი სანარმო მიაციდა, აიყოლია სამი უზნელი, იყიდა ავტომატები, ხელყუმბარები, პისტოლეტები, ვაზნები; კბილებამდე შეაირაღდნენ, ჩასხდნენ თვითმფრინავში და ზღვისპირა ქალაქისკენ გაფრინდნენ.

აეროპორტს მიახლოებული სამგზავრო თვითმფრინავი მტერმა ჩამოაგდო და ერთი-ორი იღბლიანი მგზავრის გარდა, ყველა დაინვა, ვინც იმ თვითმფრინავში იყო.

გვამები რომ ჩამოასვენეს ქალაქში, ცოლმა ჯუგო ვერ ამოიცნო დამწვარ-დასახინრებულ გვამებში. მერე ქამრის ბალთასთან ჩადებული სამხედრო ნიგნაკით იცნეს...

ჯუგოს ტორტი უყვარდა. სადმე, მაგარ

ქვიფში რომ მოხვდებოდა, ერთ ან ორ ნაჭერს ტორტს შეჭამდა და მერე დილაზე შეედლო ექვიფა — აღარ ვთვრებო.

სალამანდრას მოტანილ ტორტს ფუტკარი დააჯდა თავისებური ზუზუნით და ნესტრით სიტკბოს ამოღება დაიწყო.

აი, ესეც ჯუგოს სული მოვიდაო, — ფიქრობდა სალამანდრა.

ზღვისპირულად მოხარული ყავა დოხტურისთვის

დოხტური თავში დაუჭრიათ ომში და სასწრაფოდ წამოუყვანიათ თბილისში.

თურმე, აივანზე იდგა, სახლს ყუმბარა რომ დაეცა და აფეთქების ძალამ აივანიდან ძირს ისროლა და მთელ მოსაფალტებულ ქუჩაში მინცდამინც იმ ადგილზე დასცა თავით, სადაც მინა იყო დატოვებული ყვავილების მოსაყვანად. თან ბედად, კისერიც კი არ მოსტეხია.

ამ ნაამბობზე სულ ეცინებოდა სალამანდრას და სხვანაირი მოყოლისა უფრო სჯეროდა — მეომრებთან ერთად სააფთაქო სპირტით მაგრად გამომთვრალი დოხტური მოსაშარდად აპირებდა გარეთ გამოსვლას, ჯერ კარადას მიადგა. მანდ არა, მანდ არაო! — თანამეინახებმა რომ უყვირეს, მერე უმოაჯირო აივანზე გადმოდგა და სწორედ იქ ველარ დაიცვა წონასწორობაო.

სააფთაქო სპირტს სამსახურშიც სვამდნენ, დოხტურის კაბინეტში ჩაკეტილები.

მერე დოხტური ფიქრობდა ხოლმე, რომ ისევე ზღვისპირეთის ქალაქში იყვნენ, ჯერ ზღვის ტალღების ტყლაშუნი მოეყურებოდა, მერე თოლიების ჩხავილი და უჩინარი მომტანისაგან ყავას ითხოვდა, ზღვისპირულად მოხარულ ყავას.

ქალი ჩაღისფარი თმით

სალამანდრას ხშირად უწევდა განყოფილების გამგის მისაღებში შესვლა და საქმის მწარმოებელი ოფიცერი ქალი, ჩაღისფერი თმითა და დიდი თვალებით სანამ ყავას არ დაალევიებდა, არ გამოუშვებდა ხოლმე.

მონონხარო, უმტკიცებდა მეგობარი.

ქალმა ერთხელ მოახერხა და შესჩივლა, ჩემი ქმარი სმას არის გადაყოლილიო... და ნეტავი, ვინმეს მინც მოვეწონო.

ერთ ღამეს, როცა სალამანდრა მორიგე იყო, ქალი მოვიდა, საქმელი და კონიაკის ბოთლი მოიტანა...

უხ, შენი ყველაფერიო, — საკუთარ თავს აგინებდა მეორე დღეს სალამანდრა, შხაპქვეშ იდგა აბაზანაში და იმ ქალის ოფლის მძაფრი სუნის ჩამოცილებას ამოოდ ცდილობდა.

ამფსონება

აღარ შეეძლო სალამანდრას სამხედროობა. ომის მოგონებები ტანჯავდნენ, თავისი და სხვებისა. მკვდრების სუნი მოსდიოდა წარა-მარა...

ეგებ ამფსონების ბრალიც იყო და, სმა დაიწყო გონის დაკარგვამდე. სახლში როგორ მიდიოდა, მეორე დღეს აღარ ახსოვდა.

„ჩიბუხას“ სანყოფი ებარა და ის ამარაგებდათ აირინალებით, რესპირატორებით — გადიოდნენ და ბაზრობაზე ჰყიდდნენ, დოხტურიც ეხმარებოდათ და იმ ფულით ნახევარლიტიან არაყს, წერილ თევზს, ხახვსა და „სალას“ ყიდულობდნენ.

ჩაუსხდებოდნენ და ჭკუაზე აღარ იყო არც ერთი.

მერე გარეთ დაეცლებოდნენ: სალამანდრა იყო, ჩიბუხა, ზიბენა და კუკუშა. სულ დედ-მამის სულს უტრიალებდნენ ბაზრობის ვაჭრებს, არბევდნენ კიოსკებს, აკივლებდნენ ქალებს; იბღვირებოდნენ კაცთა გამყიდველები, მაგრამ ვერაფერს უბედავდნენ, შუბლზე პისტოლეტები ჰქონდათ მიბჯენილი.

ერთ დღესაც სალამანდრამ გამოიღვიძა და საწოლთან დადგმულ ტუმბოზე დაყრილი ოცდაათი ათასი მანეთი რუსული ფული, ორი ქილა ლუდი „ფეფს-პილსენი“, ორი-სამი მუჭა საღებავი რეზინი და სხვადასხვა შოკოლადები დაინახა და ცოლს გაკვირვებულმა ჰკითხა — ესენი ვინ მოგვიტანაო?

და ცოლი ატირდა — ვინ იცის, სად რა ჩაიდინე, მოგკლავს ვინმე ან ციხეში ამოგალოპებენო...

იხსენა, იხსენა და რაღაც ბრჭყვილა კაფე, ბარი და რაღაც ამგვარი ოხრობა მოაგონდა. გამყიდველებს ეჩხუბებოდა, ძვირად რატომ ჰყიდო, თქვენიო... მოაგონდა ვიღაც მალალი კაცი, რომელმაც იმ ბარიდან გაიყვანა, რაკი შიგნით ვერ გააჩერა, აჩვენა უშიშროების სამინისტროს წიგნაკი და შეეხვეწა — ამ წიგნაკის ჩვენების

უფლება არ მქონდა, კარგი რა, წადი აქედან, ოპერაცია ხომ არ უნდა ჩამიშალოო.

ერთი შენი და შენი ოპერაციისაცო, — ამან უთხრა.

ჩავული ამ ოპერაციას და შენ კი ციხეში ამოგალოპებ, იცოდეთო! — ის დაემუქრა. ახლავე დაგარჩენ საჭურისადო! — დაუღრინა ამან, პისტოლეტი გაუძრო და ფეხებს შუა მიაბჯინა. იმას ქვედა ყბა აუკანკალდა, მიხვდა, რომ ეს მსროლელი იყო...

მერე რა მოხდა, აღარაფერი ახსოვდა. პისტოლეტი გასინჯა, ნასროლი არ იყო — ესე იგი, არავისთვის უსვრია. მადლობა ღმერთსო, გაიფიქრა.

„რაჰა ხარ, იუზგარ?“

ჯუგო რომ თვითმფრინავში დაინვა, იმის მეორე წელს შავო ჩაცხრილეს, კუკუშას ძმა, საკუთარ „ნისან-პატრულში“.

შავო აქ არ მუშაობდა, სხვადასხვა ქალაქებიდან მოატანინებდა ხოლმე კუთვნილ თუ უკუთვნილ ნიღს ვიღაცებს. აანყო ცხოვრება: ბინა იყიდა უკეთეს ადგილზე, უცხოური ჯიბი და ავარაკიც ზღვაზე; თან ახლობლებსაც ეხმარებოდა



ხოლმე.

ერთ დღესაც ვორონცოვის ხიდზე იმის „ნისან-პატრულს“ წინ შავი „მერსედესი“ გადაელობა, უკნიდანაც მეორე მოადგა, ისიც შავი „მერსედესი“.

ორ-ორი მუხამატე გადმოხტა მანქანებიდან და საკვირველი ის იყო, რომ უნიღბებოდ იყვნენ.

შავოს თავისი საყვარელი ორივე პისტოლეტი: „სმიტი და ვესონი“ და იტალიური „ბერეტა“ შინ ჰქონდა შენახული, იარაღის ტარებაზე როგორ დაეაჭერინო ამათ თავიო.

„დაგვზოცავენ, იუზგარ, ეს შობელ-ძალებიო“, — ამის თქმალა მოასწრო.

თურმე, მთელი თხუთმეტი წუთი იდგა ოთხი უნიღბო ჯეელი და დიდი მონდობებით ესროდა „ნისან-პატრულს“ და უცნაური იყო, მანქანა როგორ არ დაინვა.

ბოლოს მსროლელები დაცხრილულ „ნისან-პატრულთან“ მივიდნენ, კარები გამოგლიჯეს და, შავოსაც და იმის მძლოლსაც საკონტროლო ტყვიები დაახალეს შუბლებში. მერე აუჩქარებლად ჩახსდნენ თავ-თავიანთ „მერსედესებში“ და წაღმა-უკულმა წავიდნენ-წამოვიდნენ...

სალამანდრას აღარ შეეძლო შავოს საფლავზე მისვლა, ხსოვნას გაუბოდა. ქალაქშიც რომ დადიოდა, სულ ეგონა, რომ უცებ „ნისან-პატრული“ გაჩერდებოდა, ფანჯრიდან შავო გამოყოფდა თავს და ისევე შეეკითხებოდა: „რაჰა ხარ, იუზგარ?“

სათვალის მინაში აციმციმავალი ალაზი

ნაცემი და გონდაკარგული სალამანდრა ეგდო ერთი პოეტის ძეგლთან, თავი ქვის ბორდიურზე ედო და კეფა სტკიოდა.

ვიღაცა სათვალისანი დახრილიყო, სალამანდრას ხელი ეჭირა და სათვალის ორივე შუშაში პატარა ალი მოუჩანდა — სანთებელათი თითებს შორის ცეცხლს უკიდებდა.

რას შვრები, შე ჩემა, მწვავო?! — გადაირია გონზე მოსული სალამანდრა და ქვემოდან გაუქანა ყბაში.

ცეცხლის წამკიდებელი გადაყირავდა ძირს დაეცა.

უცებ წამომხტარმა სალამანდრამ ერთი-ორი წიხლიც მიაყოლა და თან აგინებდა — რატომ მწვავდი, შენი ყველაფერიო?

კი არ გწვავდი, გონზე რომ მომეყვანე, ცეცხლს გიკიდებდი თითებსშუა, რადგან მანდ მგრძნობიარე ადგილები არისო. ვიცოდი, რომ ახლა მე მცემდი და მინც შენ გადარჩენაზე ვწალიჩობდიო.

ვინ იყვნენ, ვინც გამოთქეს, საით წავიდნენო?

დააიძახეს, სიგარეტის მოკიდება გთხოვეს და უკანიდან ჩაგარტყეს რაღაცაო. და რომ წაიქციე, ბორდიურს დაარტყი თავი და მაგიტომ გაითიშეთ.

საით წავიდნენ და ვინ იყვნენ თავდამსხმელები, ცეცხლის მოკიდებელმა არ იცოდა და მართალია, ჩამქრალი სანთებელა ეჭირა ხელში, თუმცა სათვალის მინებში მინც უცემციმებდა ორი პატარა ალი...

თავდაკარგული

გადაღლილმა და ნერვებდანყვეტილმა რამდენიმე დღით სამსახურიდან პატ-

არა თანხის საფასურად უზნის ექიმის მიერ დანერილი ბიულეტენით გაითავისუფლა თავი.

გადახედა იმ წიგნებს, ადრე რომ უყვარდა — არც ერთი აღარ იკითხებოდა.

მოუსმინა საყვარელ დისკებს, მოძებნა თავისი მხატვრების ალბომებიც — აღარც ესენი მოსწონდა.

ბავშვობის მოგონებებში დაბორილობდა და ცდილობდა, საკუთარ თავს დაბრუნებოდა, მაგრამ ვიღაც უცხო, თავზეხელაღებული ხულიგანი უშლიდა ხელს, რომლადაც გადაქცეულიყო და თავს ვერ იხსნიდა იმისგან...

საკუთარი თავი ეზიზღებოდა.

და ის უკვირდა, რომ ამდენ უბედურებაში ხვდებოდა და არა კვდებოდა — ეს რა სასჯელი ჰქონდა დადებულნი?..

რამდენჯერმე სცადა პისტოლეტით თავის მოკვლა, მაგრამ ვერ შეძლო...

გამჭირვალე კაცი

ერთ ღამეს სიზმარი ნახა: რატომღაც ბაზრობაზე აღმოჩნდა. დოხტური, ჩიბუხა, ზიბენა, კუკუშა და სხვებიც, ცოცხლებიც და მკვდრებიც იქ იყვნენ. იდგნენ და ვაჭრობდნენ შოკოლადებით, ლუდის ქილებით, საღებავ რეზინებით, სიგარეტით, არყით, სალათი და წვრილი თევზით...

სალამანდრას შოკოლადი უნდოდა.

შავტანსაცმლიანი ქაჯები დადიოდნენ დახლებს შორის და ზოგიერთ ვაჭარს აქრობდნენ. რაკი იმათ დახლებთან აღარავინ იდგა, სალამანდრამ შეძლო ერთი „სნიკერსის“ მოპარვა. ძალიან კი უნდოდა, მაგრამ თან შიშით იყო გათანგული — მეც არ გამაქრონ ამ ქაჯებმაო. სხვების გაქრობას რომ დაინახავდა, უხაროდა, თავად რომ გადარჩა...

მერე განათებულმა და გამჭვირვალე კაცმა ბაზრობიდან წაიყვანა და გრძელი დერეფანი აჩვენა, სადაც სალამანდრა მომავლისკენ ზურგშექცევით იდგა და უკან თავის ბაცად ნაცრისფერ ცხოვრებას ხედავდა...

მერე წინ გაიხედა და უფრო ნათელი გარემო დაინახა — განათებული ქალაქები, სახლები, ხეები, ადამიანები, თოლიები და ზღვა...

„აი, აქ წავიდნენ შენი მეგობრებიო!“ — უთხრა იმ გამჭვირვალე კაცმა.

საგანა

სალამანდრას ერთი ბავშვობის მეგობარი ჰყავდა — საგანა, და უცხოეთიდან დროებით ჩამოსულმა შინ მიაკითხა, გამოიყვანა სახლიდან და სანამ მეტეხის ძირში, მტკვრის თოლიების ჭყვივლში, ქალაქის ყრუ გუგუნში სალამანდრა თავის ამბავს მოუყვებოდა, მაგრად სცემა — შენ ვინ ყოფილხარ, შე ახვარო, ბაზრის ქალღმერთი რომ ანიოკებ, მიდი, აბა, მეც შემომიბრუნე ხელი, მიდი, მესროლე, თუ მაგარი ხარო...

სამი კვირის მერე, სალამანდრას დალუჯებული თვალი და გახეთქილი ტური რომ მოურჩა, ერთი მომცრო ეკლესიისკენ ამავალ ქუჩაბანდს ერთად დაადგნენ ორივენი — საგანას თავის მოღძვართან მიჰყავდა აღსარების სათქმელად...

ეკლესიის საკმლიდან მზის სხივი ჩამოდიოდა, პირდაპირ მოძვარს ეცემოდა და სალამანდრა ფიქრობდა, რომ, ალბათ, ეგეთ ნათელში თუ იყო თავისი და საგანას სკოლის მეგობარი, ლეკო — იმან ხომ სიკვდილამდე სამი ზიარება მიიღო...

რაო, რა გითხრა მოძღვარმაო? — საგანა შეეკითხა, თან სამშობლოდან გასაფრენ თვითმფრინავის ბილეთებს დაჰყურებდა — სალამანდრაც თან უნდა წაეყვანა...

უდაბნოს მონასტერში წადი და იქ იცხოვრებ ბერებთან ერთადო, — მიუგო სალამანდრამ და მერე საგანამაც დაუნებლად ჩააბარა უკან ის მეორე ბილეთი, თუმცა გამომშვიდობებისას დაუბარა, — მანდრა, მანდრა, სალამანდრა, შე სალახანა, ერთი წამითაც კი არ გაიფიქრო, რომ აქ აღარ ჩამოვალო...

უდაბნოს მონასტრისკენ მიმავალი სალამანდრა გრძნობდა, რომ მძიმე ტვირთი მოხსნოდა და ადრე თუ იმისი ცოდვებით დამძიმებული სულის ჯოჯოხეთში წასაყვანად ვერტმფრენი დასჭირდებოდათ, ახლა — ალბათ, აღარ...

ზღვაში ატივტივებული გვამები მინც აღარ დაესიზმრებოდა, რომლებსაც კაცობრივად ღირსი უდარაჯებდნენ, რომ წაპირზე გაეთრიათ და იქ შეეთქელიყათ.

გაღლის ძვა

მონასტერში რამდენიმეთვიანი ცხოვრების შემდეგ სალამანდრა სიზმარში ხედავდა მამა დავით გარეჯელს, რომელიც მომლოცველებთან ერთად იერუსალიმს უახლოვდებოდა, მაგრამ არ შედიოდა ქალაქში, თანამგზავრებს ეუბნებოდა: თქვენ წადით და ილოცეთ ჩემი ცოდვებისთვისაც. მე ვერ გაბედავ სიარულს იმ ადგილებზე, სადაც ჩემმა შემოქმედმა გაიარაო.

მომლოცველების წასვლის მერე, დავით გარეჯელი დიდხანს ლოცულობდა თვალცრემლიანი და მუხლმოდრეკილი, მერე იმ ადგილიდან იღებდა სამ ქვას და თავის მალაკში, წნელებით მონულ პატარა კალათში ინახავდა და უკან, გარეჯის უდაბნოსაკენ დაადგებოდა გზას.

სწორედ იმ ღამით იერუსალიმის პატრიარქს უფლის ანგელოზი გამოეცხადებოდა და უბრძანებდა: იერუსალიმამდე მოვიდა მონა ჩემი დავით და თავისი სარწმუნოების ძალით თან მიაქვს იერუსალიმის მთელი მადლი. დაადგენე მალე მსობოლი. შემოსილია დაბეჭდილი სამოსით და ხელში ძველი მალაკი უჭირავს, სადაც სამი ქვა დევს. ორი ქვა უკან მოიტანონ, ერთი თან გაატანონ და უთხრან: ამას გიბრძანებს შენი უფალი — შენი სარწმუნოებისათვის მიგიფიცა მადლი წმინდა ქალაქის, იერუსალიმისა. მნებავს, ორი ნაწილი უკანვე დავაბრუნო, ერთი კი შენთვის მიბოძებია უდაბნოში წასაღებადო.

იერუსალიმის პატრიარქი ალასრულულად ყოველივე ამას.

და წმინდა დავით გარეჯელი შინ ბრუნდებოდა თავისი მადლის ქვით, რომელიც თავისი ზეგარდმო მადლით ალაგვებდა გარეჯის უდაბნოსა და იქ დაყუდებულ ბერებს...

არს სალამანდრა ცხელი ერთი...

„სალამანდრა — (მძრომელი) არს სალამანდრა ცხოველი ერთი, რომელი ჰაერით შთამოვიდების, მსგავსი მცირისა კორკოდისოსი, რომელ არს ხვითი, ცეცხლსა შინა შევალს, თვით არა დაინვის და ცეცხლი დაშრტების“, — სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“.

მთარგმნელი

ქეთი ქანთარია

მისი მთარგმნელობითი გზის დასაწყისი მისივე თარგმნილი ავტორის, დიბისი პიერის ხმაურიან დებიუტს, „ვერნონ გენიოს ლითოს“ უკავშირდება. ავსტრალიელი მწერალი, რომლის პირველმა ნიგნმა პრესტიჟული „ბუკერის“ პრემია დაიმსახურა, ქეთი ქანთარიამ 2006 წელს გადმოაქართულა და 2007 წლის „საბაც“ მოიპოვა. შემდეგ იყო პოლ ოსტერი და მისი ცნობილი რომანი „ნიუ-იორკული ტრილოგია“, რომელმაც ლიტერატურის კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ახლახან გამოიცა ამერიკელი მწერლისა და მოაზროვნის, ჰენრი დევიდ თოროს საეტაპო ნაწარმოები „უოლდენი, ანუ ტყეში ცხოვრება“ — ტექსტი, რომელმაც არაერთი ადამიანის ცნობიერება შეცვალა. ამ ნიგნზე თითქმის სამ წელიწადს მუშაობდა. მიიჩნევს, რომ ფინანსური ხელშეწყობის პირობებში გაცილებით ნაყოფიერი იქნებოდა, თუმცა ეს მხოლოდ მისი პრობლემა არ არის. დღეს მთარგმნელებს მეტად რთულ პირობებში უწევთ მუშაობა და რა გასაკვირია, რომ ამ სფეროდან ბევრი მიდის. ყველაფრის მიუხედავად, მისთვის ეს პროფესია იმდენად მნიშვნელოვანია, მზად არის, ბევრ დამოკიდებულებას დატოვოს, თუმცა არის საკითხები, რაზეც დუმილი უჭირს. მთარგმნელთა პრობლემებზე, ქართულ საგამომცემლო სივრცეში არსებულ ვითარებასა და მის მიერ თარგმნილ ნიგნებზე მთარგმნელი ქეთი ქანთარია გვესაუბრება.

— მხატვრული თარგმანი ისე დავიწყე, ამ სფეროში გამოცდილება საერთოდ არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ერთ თავს ჩესლავ მილოშის ნიგნიდან „ჩემი ვეროპა“, რომელიც პოლონურიდან ვთარგმნე. მანამდე წლების განმავლობაში ვმუშაობდი ამერიკის საელჩოსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. ეს იყო 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც ქართული საგამომცემლობები ფეხს ახლად იდგამდა. იმ პერიოდში მათთან პირადი შეხება არ მქონია, მაგრამ გამოცა ანაზღაურებამ, რომელსაც მთარგმნელებს სთავაზობდნენ. ეს იყო იმაზე დაახლოებით 25-ჯერ ნაკლები, რასაც მე ვიღებდი.

— ამ ვითარებაში რამ გადაგანწყვეტინათ, მხატვრული თარგმანისთვის მოგეკიდებინათ ხელი?

— გამოდის, რომ ვითარებები. 2005 წელს ბრიტანეთის საბჭოს ჰქონდა გამოცხადებული გრანტი მხატვრული თარგმანისთვის. გამახსენდა ავსტრალიელი მწერალი დიბისი პიერი, რომელსაც ახალი ალბომი ჰქონდა „ბუკერი“ და ძალიან საინტერესო ავტორად მივიჩნიე, იმის მიუხედავად, რომ იმ დროისთვის ნაკითხული არ მქონდა. არც შევძენარე. ნიგნმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— რით დაგაინტერესათ ამ ახლადგამომცხვარმა ავტორმა?

— უპირველესად, ბიოგრაფიით. საერთოდ, ავანტიურისტი ადამიანები და, მით უფრო, მწერლები მიყვარს. დიბისი პიერი არ არის მწერალი ამ სიტყვის კლასიკური გაგებით — ამ ხელობის არჩევამდე არაერთი საქმიანობა მოსინჯა, იყო ნარკომანი, შეხება ჰქონდა დამნაშავეთა სამყაროსთან. მართალია, ძალიან შეძლებულ და მეგობრულ ოჯახში დაიბადა და ბავშვობაც უზრუნველი ჰქონდა, მაგრამ ორმოცი წლისთვის აფიორებში გახვეული, თითქოს სრულიად უპერსპექტივო კაცი იყო, რომელსაც „ვერნონ გენიოს ლითოს“ გახმაურებულმა დებიუტმა ცხოვრება თავიდან დააწყებინა. ამ ფაქტებით ჩამოჩა მესხიერებაში. დავიწყე თარგმნა და არც ვნანობ, რადგან მუშაობის პროცესი ძალიან სასიამოვნო იყო. ორიგინალური, გამორჩეული იუმორის პატრონია და ეს განსაკუთრებულად თარგმნისას იგრძნობა, როცა ავტორთან გაცილებით უფრო

მჭიდრო კონტაქტი გიმყარდება, ვიდრე ჩვეულებრივ, კითხვისას. ხედავ, რაზე ფიქრობს კონკრეტულ მომენტში, გრძნობ, რა ასოციაციები უჩნდება, სად ყოფნდება, რომელ ეპიზოდებს წერს ყველაზე შთაგონებულად. დიბისი პიერის შემთხ-



ვევაშიც, და მერეც, ბევრჯერ მქონია განცდა, რომ ავტორი სადღაც აქ არის, ძალიან ახლოს, თითქოს კულისებში, ან უხილავი სარკის უკან, დროდადრო რეალურად ამიანებზე უკეთ გრძნობ მის არებობას.


— იქნებ იმიტომ, რომ პირველი ნიგნი იყო, რომლის თარგმნაც მოგიწიათ?

— არა. თავად ტექსტია ასეთი. შეიძლება გენიალური ნაწარმოები თარგმნო, საეტაპო მნიშვნელობის, მაგრამ მსგავსი ნიჭის ავტორი ბევრი არ შეგხვდეს. დიბისი პიერისნაირად არავის გავუერთივარ. კარგად მახსოვს, ბოლო ფურცელი რომ დავამთავრე, ნიგნს ხელიდან ვერ ვუშვებდი, მგონი რაღაც დეპრესიისმაგვარი დამემართა. ვფიქრობდი, ასეთს ვერასდროს ვერაფერს ვთარგმნი-მეთქი. რაღაც თვალსაზრისით, ასეცაა. ესაა მწერალი, რომელმაც, როცა ჟურნალისტებმა, ტელევიზიებმა, სხვადასხვა „ივენტების“ მომწყობებმა პოპულარობის პიკში ყურადღებით ძალიან შეაწახსოვეს, თქვა: „ისტაბლიშმენტში მოხვედრისთვის მზად არ ვარ.“ ესეც მომწონს. არ მესმის, რატომ უნდათ მწერლებს მეტი სოციალური აქტიურობა.

რალაც ძალიან მდარეს ვხედავ ამაში. — ამის მიუხედავად, ეს ნიგნი საქართველოში მაინცდამაინც პოპულარული ვერ გახდა.

— ეს გამომცემლობის პრობლემაა. გამომცემლები არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თავიანთი პროდუქტი მკითხველამდე მიიტანონ. ნიგნს, ისევე, როგორც ფილმს, სჭირდება ანონსი, რეკლამა, მინოდება. ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა არსებობდეს სატელევიზიო მიმოხილვა — მთელი გადაცემა, გნებავთ თოქ-შოუ, რომელიც ამ თემატიკას მიეძღვნება. ტელეეთერი ძალზე მნიშვნელოვანია, მარტო ბეჭდური მედია ამას ვერ უშველის. ნახეთ, რა კარგი გადაცემებია უცხოურ, თუნდაც რუსულ, ფრანგულ არხებზე, დაახლოებით ისეთი თოქ-შოუები, როგორსაც ჩვენ მიჩვეული ვართ პოლიტიკურ თემაზე. რატომ არ შეიძლება მსგავსი რამ აქაც გაკეთდეს?

— მართლაც, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, მით უმეტეს ახალი ავტორების შემთხვევაში, რომლებიც პირველად შემოდინან ქართულ ბაზარზე და რომელთა შესახებაც მკითხველს



წარმოდგენა არა აქვს, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ ისევ თქვენს თარგმანებს მივუბრუნდეთ. დიბისი პიერის შემდეგ თარგმნეთ პოლ ოსტერი, სრულიად განსხვავებული მწერალი. საინტერესოა, როგორ არჩევთ ავტორებს?

— დავიტრბახებ, რომ ავტორებს თავად ვარჩევ და გამომცემლობებსაც თავად მივმართავ, როცა რაღაცის თარგმნა მინდა ან ეს საქმე უკვე დაწყებული მაქვს. ოსტერს რაც შეეხება, უბრალოდ, მიყვარს, ზუსტად შეესაბამება ჩემს შინაგან რიტმს. მე თვითონ რომ ვწერდი, ალბათ ასე დაწერდი. ოდესღაც ასეთივე განცდა მქონდა ოთარ თხილაძის ლექსების მიმართ. ოსტერის ცხოვრების რიტმი, მდინარეა ჩემთვის ძალიან ბუნებრივი. საერთოდ, ოსტერი განსაკუთრებული მთხრობელია. მის შესახებ ბევრნაირი აზრი გამოიჭია. მკითხველთა ნაწილს ნიგნის დასრულების შემდეგ დაუკმაყოფილებლობის განცდა უჩნდება, თუმცა მისი შემოქმედების მოყვარულიც ბევრია. ბეჭეტს აქვს ნათქვამი, რომ იქნება ახალი სტილი ხელოვნებაში, სრულიად განსხვავებული იმისგან, რაც იყო ადრე. უკანა პლანზე გადადის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ანუ კლასიკური რომანის ფორმა იცვლება და ამაში არაფერია უჩვეულო. ოსტერი მის მიერ შექმნილ ჟანრს საფუძვლად ბეჭეტის ამ სიტყვებს უდებს. ალბათ, აქედან მოდის ნაწარმოების აგების მისეული მანერა, ირაციონალიზმი, სიმწყობრის დაკარგვა, თუმცა, ეს ზოგადად XX საუკუნის პროზისთვისაცაა დამახასიათებელი.

— როდის აღმოაჩინეთ ეს ავტორი?

— ძალიან დიდი ხნის წინათ. 1996 წელს პოლონეთში სრულიად შემთხვევით ვნახე ოსტერის ერთ-ერთი მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი — „ბოლი“, რომელიც მერე ძალიან დიდხანს მახსოვდა. რამდენიმე წელი გავიდა და უცებ დაფიქრდი: რატომ შეიძლება მოგეწონოს ფილმი? ერთ-ერთი მიზეზი — კარგი სცენარია, არა? მაშინ, ვარშავაში, კინოთეატრიდან რომ გამოვედი, შემცირებული ფორმატის აფიშა შევიძინე და თბილისში წამოვიღე. მოვებენე ეს აფიშა.

სცენარი პოლ ოსტერის იყო, მისივე მოთხრობის („ოგი რენის საშობაო ამბავი“) მიხედვით დაწერილი. ავიღე და ეს მოთხრობა ქართულად ვთარგმნე. მერე მისი ნიგნები გამოვიწერე. პოლ ოსტერი ალბათ მაინც არ არის იმ უდიდეს მწერალთაგანი, ვინც საუკუნის პროზას თავის ნიშანს ასვამს, მაგრამ რაღაც თავისი ხიბლი აქვს, რომელითაც მისი ნაწარმოების წამკითხველს თავს აყვარებს.

— მანამდე, მგონი, მისი „ილუზიების ნიგნი“ თარგმნეთ?

— ნაწილი ვთარგმნე და გავჩერდი, რადგან გამოცემა არავის აინტერესებდა. დავასრულე, მაგრამ ვერ ვიცლი. „ნიუ-იორკული ტრილოგიის“ გამოცემა კი იმდენად მინდოდა, რომ თარგმანი გამომცემლობას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვაჩუქე. ახლა ისევ ოსტერს ვთარგმნი, „მისინს ღამეს“ ამჯერად „დიოგენეს“ დაკვეთით. „დიოგენე“ ჩემთვის ახალი გამომცემლობაა, როგორც მითხრეს, დიდი გეგმები აქვთ მთარგმნელობით სფეროში. ეს ის გამოცემაა, როცა ჩემი და გამომცემლობის სურვილი დაემთხვა. 2008-ში დავიწყე მუშაობა ჰენრი დევიდ თოროზე, რომელიც უფინანსობის გამო მხოლოდ წელს დავამთავრე. მხატვრული თარგმანი ხომ კერძო ინიციატივებზეა მინდობილი, ღირებული მწერლების დიდი ნაწილი ქართულ გამომცემლობებს სულ არ აინტერესებთ. მთარგმნელის და გამომცემლობის ურთიერთობის პრობლემა თუ არ მოგვარდა, ჩათვალეთ, რომ ეს სფერო თავის ხელობაზე შეყვარებულ კონკრეტულ ადამიანებზე იქნება დამოკიდებული, რომელთაც დროთა განმავლობაში თარგმნის ხალისს დააკარგვინებენ. ინგლისურიდან მთარგმნელების საქმე უკეთესადაა, რადგან მათ კერძო შეკვეთებიც აქვთ, მაგრამ ბევრი სხვა ენის შემთხვევაში ვერც წარმომიდგენია, რით არსებობენ. ვფიქრობ, მთარგმნელებმა თავად უნდა შექმნან ორგანიზაცია, რომელიც მათ უფლებებს დაიცავს. კერძო საუბრებში თითქოს წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ რეალურად თავის მობმა არ ხერხდება. ეს იმის ბრალია, რომ ყველა, ვინც თარგმნის და ამავე დროს, ბევრი სხვა რამის კეთებაც უხდება, თავს პროფესიონალ მთარგმნელად ვერ აღიქვამს.

განსაკუთრებით რთულადაა საქმე საავტორო უფლებებთან მიმართებაში. რამდენადაც ვიცი, მათ დაცვას ვეროკავშირი ითხოვს და დეკლარირებულად ასეც არის, მაგრამ პრაქტიკაში საწინააღმდეგო ვითარებაა. ძალიან დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ თოროს თარგმანზე საავტორო უფლება დამეცვა. ეს ნიგნი კულტურის სამინისტროს ნიგნის პროექტის ხელშეწყობით გამოიცა (თარგმანის ნაწილი „სოროსმა“ დააფინანსა) და „სიესტამ“ დასტამბა. ჩვენში საავტორო უფლება გამომცემლობას ეკუთვნის, თუმცა სხვა ქვეყნებში პრიორიტეტი მთარგმნელს ენიჭება. გადაშალეთ ნებისმიერი რუსული გამოცემა — საავტორო უფლება 95%-ში მთარგმნელისაა. საქართველოში პირიქით — დარჩენილი 5% მოდის, ისიც, გრანტის გამოცემა უცხოური ორგანიზაციების დაფინანსებით მოთხოვნილი.


— ეს საქმე მართლაც მოსაწინააღმდეგებელია. მიუხედავად იმისა, რომ საგამომცემლო საქმე მეტ-ნაკლებად აქვს, საავტორო უფლებების თემა, ისევე, როგორც ბევრ სხვა სფეროში, პრობლემად რჩება.

— საგამომცემლო საქმე გამომცემლებმა სათავისოდ აიწყვეს, რადგან მარტო ავტორის კი არა, რედაქტორის უფლებებიც ირღვევა, ამიტომაცაა, რომ კარგი რედაქტორი სათვლითაა საძებნი. ძალიან დიდი ბრძოლა გინევს, რომ მათ ტექსტი არ დაამახინჯონ. რასაკვირველია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ძირითადად ასეთი ვითარებაა. ამ სფეროსაც სჭირდება ხელშეწყობა-წახალისება და კარგი რედაქტორებიც გაჩნდებიან. ჯერჯერობით მათი რიცხვი ძალიან მცირეა.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, დღეს მთარგმნელობით სფეროს არ ულხინს?

— ულხინთ მხოლოდ გამომცემლებს. გასაგებია, რომ მათი პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია მომგებიანი. გამომცემლებს უფრო მეტი, ცნობილ რეჟისორებს მიბაძონ, რომლებიც არაკომერციული კინოსთვის სახსრებს ხანდახან რეკლამის ან კომერციული პროექტების წყალობით შოულობენ. ამას კარნახიც არ სჭირდება. თუ სურვილი გაქვს და ვერ წარმოგიდგენია, როგორ უნდა

დასასრული მე-14 გვერდზე



კრიტიკოსი

ანდრო ბედუკაძე

8 ნოემბერს, ილიას დაბადების დღეს, საგურამოში, მწერლის სახლ-მუზეუმში ლიტერატურული პრემია „საგურამოს“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. უკვე მეცხრე წელია ლიტერატორებისაგან შემდგარი ყოფილი მწერლებს, პოეტებს, მთარგმნელებსა და კრიტიკოსებს ამ საპატიო ჯილდოს გადასცემს. ოთხი წლის წინ ჩამონათვალს ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება დაეძღვა. გაიცემა ილიას მედალიც, რომელიც ქართული სულიერებისა და კულტურის წინაშე ღვაწლმოსილ პიროვნებას გამოარჩევენ. ამ პრემიის დაარსების იდეა წლების წინ ილიას სახლ-მუზეუმის დირექტორს, ანდრო ბედუკაძეს გაუჩნდა. „საგურამოს“ ისტორიაზე, ზოგადად კონკურსებსა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებზე სწორედ მას ვესაუბრებით.

— მიუხედავად პრემიის პრესტიჟულობისა, რასაც ილია ჭავჭავაძის სახელი განაპირობებს, „საგურამო“ სხვებთან შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

— არადა, ის და „საბა“ თანატოლი არიან — ორივე 9 წლის წინ დაარსდა. 2003 წლის 8 ნოემბერს საგურამოში ეკურთხა ილია მართლის ტაძარი, რომელიც სამშენებლო კომპანია „კალასმა“ ააგო. უკვე რესტავრირებული იყო ილიას მუზეუმიც. ამ დღის კიდევ უფრო გამოსარჩევად კომპანიის წარმომადგენლებს ლიტერატურული პრემიის დაარსება შეეთავაზა. საქმეში ჩაერთო ილიას ფონდიც და დავაარსეთ პრემია, რომელსაც „საგურამო“ დავარქვით. აქედან მოყოლებული ყოველწლიურად გავცემთ. დავანესეთ ილიას მედალიც, რომელიც პიროვნებას ქართული სულიერებისა და კულტურის წინაშე განწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის ენიჭება. იმ წელს მედალი პატრიარქს გადავეცით. „საგურამოს“ პირველი ლაურეატები იყვნენ: ნუგზარ შატაიძე, ბესიკ ხარანაული, ბაჩანა ბრეგვაძე, ანდრო ბუაჩიძე. წელსაც არ იყო ურიგო შემადგენლობა. ილიას მედალი გადავეცით ვია ყანჩელს, პრემია პროზაში — რეზო ჭეიშვილს, პოეზიაში — თემურ ჩალაბაშვილს და მეუფე თადეოსს, კრიტიკაში — ნოდარ გრიგალაშვილს, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში — ეთნოგრაფსა და ისტორიკოს ელდარ ნადირაძეს, ხელოვნებაში — მურმან ჯინორიას. გაისადა პრემიას 10 წელი უსრულდება, თან საიუბილეო თარიღია: ილიას დაბადებიდან — 175, გარდაცვალებიდან — 105 წელი და გვინდა, ღირსეულად აღვნიშნოთ. ფორმას და შინაარსს რაც შეეხება, თავიდანვე გადავწყვიტეთ, აკადემიური გზა აგვეჩივია. ნომინაციებიც კლასიკურია: პოეზია, პროზა, კრიტიკა, თარგმანი, ჰუმანიტარული მეცნიერებანი. პრემიები ერთმანეთს არ უნდა დაემსგავსოს და არც ჰგავს: „საბა“ და „გალაც“ განსხვავდება ნომინაციებითაც და პრინციპებითაც.

— თქვენი პრიორიტეტი რა არის?
— ძირითადად ღვაწლმოსილ ადამიანებს ვაჯილდოვებთ. თავად ცერემონიალიც აკადემიურ სტილში იმართება, არც პიარსა და რეკლამას ვაკეთებთ, თუმცა საზოგადოებამ იცის „საგურამოს“ შესახებ. ილიას სახელთან დაკავშირებული პრემია თავისთავად საამაყო და მნიშვნელოვანია. კარგია, როდესაც ლიტერატურულ პრემიას სოლიდური ფულადი ფონდიც ახლავს, მაგრამ არც უამისობაა დიდი ტრაგედია. გონკურების კონკურსის გამარჯვებულს სიმბოლურად 1 ფრანკს გადასცემდნენ, თუმცა ამას მისი პრესტიჟულობისთვის ხელი არ შეუშლია და არც დღეს უშლის. ამ ტიპის პრემიებისადმი ინტერესს ტრადიცია განაპირობებს. ვფიქრობ, წლების შემდეგ „საგურამოც“ მათ რიცხვში იდგება.

— სხვა პრემიებისგან განსხვავებაზე საუბრობდით. უფრო კონკრეტულად, რა გამოარჩევს „საგურამოს“ მათგან?

— თუნდაც ის, რომ თუ ადამიანი ერთხელ გახდა ლაურეატი პროზაში, ვერასოდეს მიიღებს მას თუნდაც პოეზიაში. პრემიის წრეზე ტარების მომხრე არ ვარ. ასეთი დამოკიდებულება მის გაუფასურებას გამოიწვევს. ამას გარდა, არ შეიძლება ადამიანი ერთხელად დატოვოს იყოს პოეზიაშიც, პროზაშიც, კრიტიკაშიც. კიდევ ერთი მომენტია — ვცდილობთ, დებიუტანტები არ გვყავდეს. არსებობს კონკურსები, რომელთაც ეს ნომინაცია აქვთ, ჩვენს შემთხვევაში კი ცოტა უადგილოდ მეჩვენება, გამოიმდინარე იქედან, რომ ნომინანტებს მათი შემოქმედების საერთო ფონის გათვალისწინებით ვირჩევთ. გვქონდა შემთხვევა, როდესაც პრემია თამარ კოტრიკაძეს გადავეცით ქრისტიანულ ღვაწლის პოეზიის თარგმნისთვის. ეს ადამიანი ჯილდოს ნამდვილად იმსახურებდა, მაგრამ დებიუტან-

ტებს მაინც ვერიდებით. არ არის სწორი, როდესაც რეზო ჭეიშვილს არა აქვს პრემია და აჯილდოვებ ავტორს, რომელმაც გუშინ გამოაქვეყნა ორი მოთხრობა. შარშან „საგურამო“ ოტია იოსელიანს გადავეცით, წელს — რეზო ჭეიშვილს. კიდევ ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანია ქართულ მწერლობაში, ვისი შრომაც დასაფასებელია.

წლებიდანელ ლაურეატთა შორის გვყავდა სასულიერო პირი, რომელიც ლექსებს წერს. წლების განმავლობაში

ლიტერატურა სუბიექტური ფაქტორია

საერო და სასულიერო მწერლობა მკვეთრად იყო გამოიჯნული, არადა, ქართული ლიტერატურა სასულიერო პირთა მიერაა შექმნილი, ამ საფუძველზე დგას. ვინ დაამტკიცებს, რომ რუსთაველი სასულიერო მოღვაწე არ იყო? „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე აგებული ნაწარმოებია. ბევრს ჰგონია, რომ ამ ტიპის ტექსტში აუცილებლად პირველისწერა უნდა ფიგურირებდეს. არ არის ასე, თუმცა ეს სხვა თემაა. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვინდოდა ქართულ სამწერლო სივრცეში შემოგვეყვანა სასულიერო პირი, რომელიც მშვენიერ ლექსებს წერს და ის არ არის მარტო. რამდენიმე საეკლესიო მოღვაწე ვიცო, რომელთა ლექსის სისადავე და დახვეწილი ენა ბევრი ცნობილი პოეტისას სავსებია. გვინდა ყურადღება მივაქციოთ ამ მხარეს.

— ჟიურის შესახებ რას იტყვიან?

— ჟიური ძირითადად კრიტიკოსებით არის დაკომპლექტებული. თითოეულს შეუძლია ნომინანტის კანდიდატურა დაასახელოს. ვფიქრობ, ურიგოდ არ მუშაობს და ღირსეულ კანდიდატებს არ ჩვენ. რასაკვირველია, ყველაფერი შედარებითაა და შეიძლება 40-50 წლის შემდეგ ჩვენს მიერ გაცემული პრემიები მომავალი თაობისთვის აღარ იყოს აქტუალური, მაგრამ დღევანდელი გადასახელები და ადამიანები ამას იმსახურებენ. რაც შეეხება ობიექტურობას, ნამდვილად არის საკამათო საკითხი. არ მჯერა, ჟიურის ობიექტურობას რომ ამტკიცებენ ხოლმე, რადგან შეუძლებელია ლიტერატურაზე ობიექტურად ილაპარაკო. ეს არის სუბიექტური ფაქტორი, სულიერი და სუბიექტური. სხვა არის, შეფასებაში იყო ჭეშმარიტი და ის თქვა, რაც სწორად მიგანია. შენს პრინციპს არ უნდა გადაუხვიო. ამაში გამოიხატება ობიექტურობა.

— რამდენიმე წლის წინ თქვენი ინიციატივით განაწესდა მუშაობა ძალიან მნიშვნელოვან პროექტზე — ილიას ოცტომეულზე, რომელიც გასული საუკუნის 90-იანების ბოლოს შეჩერდა. დღეს რა ვითარებაა?

— უცნაური ბედი აქვს ილიას ტომებს და საერთოდ, ილიას გამოცემას. მის სიცოცხლეში მხოლოდ ოთხი ტომი დაიბე-

ჭდა. 1914 წელს გამოვიდა ერთ-ერთი უნიკალური გამოცემა, რომელიც ტექსტების გარდა ილიას პირველ ბიოგრაფიას, ცნობილი პოლონელი მხატვრის, ჰრინევისკის მიერ გაკეთებულ გრაფიურებს და ილუსტრაციებს მოიცავდა. სამწუხაროდ, გაგრძელების გარეშე. ამის შემდეგ პავლე ინგოროვამ გამოცემა ილიას 10-ტომეული, თუმცა მწერლის შემოქმედება სრულად ვერც მან მოიცვა. 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავთან დაკავშირებით დაიწყო მუშაობა მის ოცტომეულზე. პირველი 5 ტომი გამოიცა, მაგრამ პოლიტიკური ვითარების დაძაბვასთან ერთად ეს ნაშრომები შეჩერდა. მოგვიანებით ილიას ფონდმა გადაწყვიტა პროექტის დასრულება და ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად ვაგრძელებთ ამ საქმეს. ერთ-ერთი ყველაზე სრული გამოცემა იქნება, რაც ილიას შესახებ გამოსულა. იბეჭდება ყველაფერი, რაც მის მიერ დაწერილია — შენიშვნები, ნიგუნის არშიებზე გაკეთებული მინაწერები, პატარა დეპეშებიც კი. ეს არის ყოველისმომცველი ილია. ახალი თარგმანი აღმოჩნდა, რომელსაც XVI ტომში ვბეჭდავთ. რაც



მთავარია, სრულად ვუყრით თავს ილიას პუბლიცისტიკას, რომელიც ძალიან იყო გაბნეული. ბევრი რამ ვერცერთ გამოცემაში ვერ მოხდა: ზოგის ავტორობა არ იყო დადგენილი, ზოგი — კონიუნქტურის გამო. მაგალითად, სომხურ თემატიკასთან დაკავშირებული, ასევე რუსულად დაწერილი წერილები. ჩვენ ამას ვბეჭდავთ. ახლა XVI ტომზე ვმუშაობთ. ცოტა გავგვირძელებ, რადგან დიდი მასალაა. წლის ბოლომდე შეიძლება XVII ტომიც მოესწროს.

— თქვენ ფილოლოგი, კრიტიკოსი ბრძანდებით. დღეს ეს სფერო ნამდვილად არ არის სახარბიელო მდგომარეობაში. კრიტიკა თითო-ორი ადამიანის ნიჭისა და მონდომების ამარაა დარჩენილი. რისი ბრალია ეს?

— კრიტიკის თემა ახალი არ არის. საქართველოში ეს განსაკუთრებით ჭირს. შოთა ნიშნიანიძემ თქვა, ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ, ამიტომ ერთმანეთზე წერა ძალიან ძნელია. საბჭოთა პერიოდში კრიტიკას დასჯის მექანიზმად იყენებდნენ. კრიტიკოსი იყო დამსჯელი და არა განმსჯელი, როგორც ილიას მიაჩნდა. განსჯის, შეფასებისა და დაფასების ფუნქცია დაიკარგა. გასული საუკუნის 70-იან წლებში სერგი მესხი ამბობდა, ერთ კარგ კრიტიკოსში მთელ ქართულ ლიტერატურას მივცემო, იმიტომ, რომ არ იყენენ კრიტიკოსებში. ძალიან ბევრმა ფაქტორმა ითამაშა უარყოფითი როლი. პირველი ირემი, ჩაკეტილი სივრცე. დღეს კრიტიკა ვინცო გაგებით ესმით და ერთი კონკრეტული ნაწარმოების შეფასება ჰგონიათ, არადა, ძალიან ფართო ცნებაა და სხვადასხვა ეპოქისა და მხატვრული ტექსტის ანალიზს მოიცავს. ეს უნდა ემყარებოდეს გარკვეულ სისტემას, კრიტერიუმს, კონცეფციას, მსოფლმხედველობას... რა კონცეფციაზე შეიძლება ლაპარაკი საბჭოთა კავშირში, სადაც ქვეყნის გარედან შემოსული ყველა ინფორმაცია კონტროლდებოდა? ყველაფრის მიუხედავად, იმ პერიოდში გვყავდა ძალიან კარგი კრიტიკოსები — გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, მოგვიანებით — აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი; დღესაც არიან არანაკლებ საინტერესო — ლევან ბრეგვაძე, თემურ დოიაშვილი, თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი...

— თუმცა ნების თუ უნებლიეთ ეს ადამიანები ნაკლებად ჩანან და მაინცდამაინც ვერც პროცესებს განსაზღვრავენ.

— იმიტომ, რომ ამას დიდი ენერჯია და შემართება სჭირდება. კრიტიკოსობა ზოგს ადვილი საქმე ჰგონია, არადა, კრიტიკოსს დიდი მომზადება სჭირდება — ნიჭთან ერთად უზარმაზარი განათლება, ერუდიციაა საჭირო. მერე გამოვა რომელიღაც განაწყენებული მწერალი და აგდებით იტყვიან — ეგ ვინ არის, კრიტიკოსიაო. დღეს საქართველოში კრიტიკოსობა თავგანწირვაა. თუ რომელიმე ავტორზე გულწრფელად დაწერ, დაქირავებულის იარღილს განებებენ. ეს მენტალური ვერ მოვიშორეთ. ვითარებას ისიც ართულებს, რომ ავტორები კონკრეტულ გამოცემებთან არიან დაახლოებული. ამ გამოცემაში მათ შესახებ დაწერილ კრიტიკულ წერილს ან არ დაბეჭდავენ, ან — პრობლემას შეგიქმნია. თუ მაინც მოხდა და დაბეჭდეს, თავად მწერალი და მთელი მისი შთამომავლობა გადაგვიკიდება. ამიტომ, რომ ბოლო წლებში თანამედროვე ავტორებზე წერის სურვილი საერთოდ გამოქრა, თუმცა იმდენი რამაა დასაწერი!

— კონკრეტულ შემთხვევას ხომ ვერ დასახელებდით?

— კარგი საქმე აქვს ნაშრომები გამოცემლობა „პალიტრა L“-ს, ვგულისხმობ ქართველ მწერალთა ტომეულებს და სხვა საინტერესო პროექტებს, მაგრამ არის დეტალები, რომელიც აუცილებლად უნდა ითქვას. პირველ რიგში, არაპროფესიონალიზმი და ავტორული დამოკიდებულება მკითხველისადმი. წინასიტყვაობაში იმდენ ფაქტობრივ შეცდომას აწყობენ, გაცდები. არადა, რა დააშავა მკითხველმა? ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრს აქვს ასეთი სერია — „100 ადამიანი, რომელთაც შეცვალეს სამყარო.“ მასში შედის მარკესი, ვაჟა-ფშაველა და ასე შემდეგ. არ უნდა დაწერო ასე. სჯობდა დაერქვათ — „100 გამოჩენილი ადამიანი“, „გენიოსი“ ან რამე სხვა. როდის იყო მწერალი სამყაროს ცვლილება? ვაჟამ რა სამყარო შეცვალა, ან ილიამ? უბრალოდ, იბრძოლა და იქამდე მივიდა, რომ მოკლეს. მწერლის ხვედრი სხვაა — სიყვარული თეოსოს, უკეთესობისკენ უბიძგოს ადამიანს. შეიძლება ბარიკადაზეც ავიდეს, მაგრამ როგორც პიროვნება და არა მწერალი. ძალიან კარგია, თუ 10 ადამიანს მაინც გახდი ცოტათი უკეთესს, მაგრამ სამყარო გაცილებით დიდია და ერთი მწერალი, თუნდაც ძალიან კარგი, თავისი ნაწილით მის შეცვლას ვერ შეძლებს.

კონკრეტულ ავტორებს რაც შეეხება, ზაზა ბურჭულაძეზე უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. ჩემთვის მიუღებელია ისე წერა, როგორც ილია. წერა ნებისმიერ თემაზე შეიძლება, მაგრამ როდესაც ეს სისტემა იქცევა და ვერ ხვდები, რისთვის აკეთებს ამას ავტორი, უკვე სხვა საქმეა. თან გეუბნება, მიზანი რატომ უნდა დაგინახო, ეს ხომ თავისთავად არსებობს? მინდა გითხრა, რომ ლიტერატურაში თავისთავად არაფერი არსებობს, ყველაფერს აქვს მიზანი, ამოცანა, მათ შორის, სტილურ ხერხსაც. სხვაგვარად ლიტერატურა არ აღიქმება. ბილწისიტყვაობის არ იყოს, თვითმიზნად ქცეული უკვე გამაღიზიანებელია. ამასაც თავისი ფორმა აქვს. ასეთი გამოთქმები ლამაზ ბულაძესთანაც არის, მაგრამ არ გაღიზიანებს, რადგან ნიჭიერადაა გაკეთებული. მერე კიდევ, რაღაცებს სხვებისგან ინერს. ისეთი პასაჟები აქვს აღებული ედუარდ ლიმონოვისაგან, გავლენას აღარ ჰგავს.

კარგი მწერალია თამარი ფხაკაძე, თუმცა ამას ნინო პლაგიატი მასთანაც დავიჭირე — შიო არაგვისპირელიც ერთი მოთხრობა ზუსტად აქვს გადაღებული — თავისი სიუჟეტით, დასკვნებით და ა.შ. უსიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა. ასეთი ფაქტების დაფიქსირება კრიტიკის საქმეა. არაჩვეულებრივი მოთხრობაა მისი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, მაგრამ გაცილებით მეტს მოიგებდა, პირველი ვარიანტი რომ დაეტოვებინა, გაგრძელების გარეშე. ესეც კრიტიკის საქმეა და ამას ხელი უნდა შეუწყონ უურნალ-გაზეთებმა. ლიტერატურულმა გაზეთმა ცოცხალი პროცესი უნდა ასახოს, ეს კი კრიტიკული

მთარგმნელი

ქეთი ქანთარია:

„ავტორებს თავად პარჩევ“

დასასრული

შესთავაზო ავტორს სასაცილო ჰონორარი, საამისო გზასაც გამოიხატა. გამოცემელმა, რომელსაც სახელმძღვანელოების ბიზნესი აქვს, ერთი წიგნის დაფინანსებაზე არ უნდა ინუნუნოს და თუ ასე არ მოხდება, სახელმწიფომ მაინც მიხედოს ამ სფეროს, რადგან აქ უბრალოდ ველური სიტუაციაა. პირველ რიგში, შრომის უფლებები დასაცავი. როცა დამქირავებელს კანონი არ მისცემს საშუალებას, ადამიანი მისთვის დამამცირებელი კაბალური პირობებით დაიქირავოს, ბევრი პრობლემა თავისით მოგვარდება. თუმცა ერთი საშიშროება არსებობს: გამომცემლები თარგმნელ ლიტერატურას კიდევ უფრო ნაკლებად გამოსცემენ, ან უპირატესობას შედარებით დაბალი ხარისხის კომერციულ ლიტერატურას მიანიჭებენ. ერთი სიტყვით, თუ ამ სფეროს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ლოგიკით მივუდგებით, თუ სახელმწიფო ჩარევა არ იქნა, საქმე ძალიან ცუდად იქნება.

— როგორც ჩანს, პრობლემა ბევრია, თუმცა მეორე მხრივ, ახალი თარგმანები კეთდება, მათ შორის, ბევრია კარგი. თითქოს ნათელი წერტილიც ჩანს.

— ეს თავისთავად მოხდა, რადგან თარგმნის გამოცდილება დაგროვდა. როდესაც პოტენციური მთარგმნელი კარგ ქართულ თარგმანს კითხულობ, მენი ენის რწმენა გიმტკიცდება. ჩვენ ხომ ეს რწმენა დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონდა? მახსოვს, როგორ ვხარხარებდით სკოლაში ქართულად თარგმნილი ევროპული ლიტერატურის კითხვისას. საოცარი ფრაზები იყო. ახლა კი ვხედავ, რომ ენა ნელ-ნელა ცოცხდება, მოქნილი ხდება და ორიგინალივით იკითხება. აქედან გამომდინარე, თარგმნის სურვილიც სულ უფრო მეტს უჩნდება. ვფიქრობ, ეს დარგი გაცილებით მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობისა და თვითშეფასების ამაღლებისათვის და უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფილოლოგიური პრობლემა, მით უმეტეს, რომ ამ კუთხით მდიდარი გამოცდილება გვაქვს.

მოგხსენებთ, თანამედროვე ევროპული აზროვნება განმანათლებლების იდეებსა და ნაშრომებზეა დაფუძნებული. რომ შეადაროთ, როდის ითარგმნა მათი ნაწარები რუსეთში და როდის — საქართველოში, ნახავთ, რომ ერთსადაიმთავრე პერიოდში. მეტიც, კონკრეტული ნაშრომები ჩვენში მცირე წინსწრებითაც კია თარგმნილი, რაც ნიშნავს, რომ საქართველო სრულიად გახსნილი იყო ევროპული იდეებისათვის. თუ რუსეთს პეტრე ამას იძულებით ახვევდა თავს, ჩვენთან ბუნებრივად ხდებოდა. თანაც, ითარგმნებოდა თითქმის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, რადგან იმის მიხედვით, რა ითარგმნება და როდის, ზუსტად შეიძლება ქვეყნის განვითარების მაჩვენებლის დადგენა. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით

უფრო მცირეა დროის შუალედი ორიგინალსა და თარგმანს შორის.

— ბევრი რამ არ არის გადმოქართულებული, თუნდაც ჰენრი დევიდ თორო, რომელიც არაა ხელნაწილის ავტორი და მხოლოდ ამდენი წლის შემდეგ ითარგმნა.

— არათუ ხელნაწილის ავტორია, ძალიან მნიშვნელოვანი ავტორია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამ თარგმანის არსებობა ქართული სინამდვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. ბოლო ოცი წელია საქართველოში ველური კაპიტალიზმი დამკვიდრდა, რომელიც მგლური კანონებით მოქმედებს და ადამიანებს შრომის მონობისაკენ უბიძგებს. თორო სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდიოდა. არ გაგვიცინოთ, მაგრამ მისი აზრი ამ საკითხზე ერთიერთზე ემთხვევა რუსთაველის შეხედულებას, რომ სულიერება მოითხოვს მოცალებას. არ შეიძლება 24 საათი მუშაობდე, გარკვეული დრო დასვენებისა და შემეცნებისთვისაც უნდა მოიტოვო. თავად თორო ასე ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობდა და მათ შორის, ფიზიკურადაც, რაღაც დროს ყოველთვის იმისთვის იტოვებდა, რასაც თავად აღმოსავლურ მჭვრეტელობას უწოდებდნენ, რადგან მიანდა, რომ უამისოდ ადამიანი მანქანა ხდება. ცოტა მოდუნდით, გალადითო, გვეუბნება. რაღაც კუთხით, თოროს აზროვნება პარადოქსულია. ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს ავითარებს, მერე აზრს ისე შემოაბრუნებს, რომ იძულებული ხდები, დაფიქრდე. სწორედ ამ პარადოქსულობაშია მისი ხიბლი.

თორო ეკოლოგიური აზროვნების ერთერთ მამამთავრად ითვლება. ეკოლოგიური აზროვნების განვითარებისადმი სწრაფვა თანამედროვე სამყაროს მთავარი ნიშანია. ამ მხრივ საქართველოს არათუ ქალაქებში, სოფლებშიც საშინელი მდგომარეობაა. ვხედავ, როგორ ებრძვის ქართველი ბუნებრიობის ნებისმიერ გამოვლინებას, თუნდაც ძირს ლამაზად დაყრილი ფოთლებს. ეს ალბათ ცნობიერების დეგრადაციის კიდევ ერთი ნიშანია. თოროსთვის ბუნება თავშესაფარია, მისი იმედი ადამიანის ბუნებრიობისა და თავისუფლების გადარჩენად. და კიდევ ერთი: წიგნის დასაწყისში თორო განმარტავს, რომ ამ განსაკუთრებით ღირსი ადამიანებისთვის წერს, რათა მათ მატერიალურ პრობლემებს თავი არ დააჯაბნიონ. ის, რომ რაღაც არ გაქვს, არ არის მთავარი. სიცოცხლის შეგრძნებას მატერიალურ შეძლებასთან არაფერი აქვს საერთო. ისეთი განცდა მაქვს, რომ „უოლდენის“ წერისას თოროს კონკრეტული მიზანი ჰქონდა: უნდოდა, მატერიალისტურ სიხარბეზე ორიენტრებულ სამყაროში ადამიანს ადამიანური ღირსების გადარჩენაში დახმარებოდა. კარგი იქნება, თუ ქართველ მკითხველსაც ამ სამსახურს გაუწევს.

ესაუბრა ნანა კობახიძე



ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი

პრიტიკოსი

ანდრო ბელუკაძე:

„ლიტერატურა სუბიექტური ფაქტორია“

დასასრული

წერილების გარეშე წარმოუდგენელია. მეკითხებიან, რატომ არ წერო? იმიტომ, რომ ამას სჭირდება შესაბამისი ანაზღაურება, რაც დღეს ქართულ პერიოდულ გამოცემებში მიზეზურია. უნდა დავჯდ, ვინვალთ, დრო დავკარგო, შენ კი იმდენსაც არ მიხედი, რომ წიგნი მაინც ვიყიდო და თანამედროვე პროცესს თვალი ვადევნო.

— ახერხებთ ამ პროცესების თვალის დევნებას?

— კი, როგორ არა, ბევრს ვკითხულობ. ჩანანერების მთელი წყებაც მაქვს. სასაცილოა ხოლმე, მწერლები დავას რომ იწყებენ, მე ეს არ მიგულისხმიაო. ვერ ვაგებინებ, რომ ტექსტი მწერალს მხოლოდ გამოქვეყნებამდე ეკუთვნის, ამის შემდეგ ისეთივე უფლება აქვს მასზე, როგორც ნებისმიერ მკითხველს. კიდევ ერთი პრობლემა — ბევრი რამ არა აქვთ ნაკითხული, თუნდაც ფილოსოფიური ნაწარები, ლიტერატურის თეორიის ნიმუშები, ესეც ხომ აუცილებელია განვითარებისთვის, ინტელექტს ზრდის, შემეცნების არეალს აფართოებს. მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა არ კმარა. სამწუხაროდ, ამ ტიპის ტექსტები ნაკლებად ითარგმნება. თუ ითარგმნება — საშინლად. კითხულობ და აზრი ვერ გამოგაქვს. ამას წინათ ბორხესის თარგმანი ვიყიდე. იმ თარგმანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დანიელ ჭონქაძე მასთან შედარებით კლასიკოსია. ბორხესს ამით არაფერი აკლდება, ჩვენ კი ბევრს ვკარგავთ, განსაკუთრებით ისინი, ვინც ამ ავტორს ხსენებული თარგმანით გაეცნობა.

— თანამედროვე ავტორებიდან ვის გამოარჩევდით?

— ბოლო დროს ნაკითხულთაგან თამარი ფხაკაძის მოთხრობები მომეწონა ძალიან, იმის გარდა, რაც ზემოთ გითხარი. ფრაზაც უჭრის და სათქმელსაც მშვენივრად ამბობს. ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ არაჩვეულებრი-

ვად არის დაწერილი, კარგი იუმორით. კოტე ჯანდიერის „კონკიას ლამეს“ გამოცეოფდი. მართალია, ძველი მოთხრობებიც შევიდა, მაგრამ ნამდვილი ოსტატია. სანყენია, რომ ბოლო დროს ცოტას წერს. ზაზა თვარაძის „სიტყვები“ ნავიკითხე — სრული გამოცემა. ძალიან კარგი ტექსტია. სამწუხაროა, რომ დღეს ზაზა ცოცხალი აღარ არის. გელა ჩქევიანიც მომეწონა. საინტერესო ავტორია, კარგი მოთხრობები აქვს. ბოლო დროს ხელახლა წამაკითხა თავი „არსენა მარაბდელმა“. კიდევ ერთხელ გავოცდი, ისეთ პრიმიტიულ ხერხებს მიმართავს ჯავახიშვილი დასაწყისში, აშკარად რომანტიზმისკენ იხრება. არადა, რომანს ეს არ უხდება, მეტი მინიერება და სიმკაცრე სჭირდება. სხვათა შორის, პოეტურობისკენ მიდრეკილება ზაზა თვარაძის „სიტყვებშიც“ იგრძნობა.

— პოეტი იყო...

— გასაგებია, მაგრამ პროზას ეს არ უხდება, მით უმეტეს, ამ მოცულობის ტექსტს. ეს არ არის პოეტური პროზა. მთელი პასაჟები, ფაქტობრივად, ლექსებია. როგორც ჩანს, რთულია შუალედის დაჭერა. ადამიანი ან პოეტია, ან — პროზაიკოსი. ოთარ ჭილაძესაც ჰქონდა ასეთი „გადახვევები“ — პოეტური ჩანარები რომანებში. ვერ გაეცა შინაგან ბუნებას. სხვათა შორის, ლაშა ბუღაძესთან მსგავსს ვერაფერს ნახავთ, გამოკვეთილად პროზაიკოსია. ძალიან კარგი რომანია მისი „კარიკატურისტიკა“. ვინც არ მომწონს, არ დავასახელებ.

— ბევრია ასეთი?

— არა. იმათიც რაღაც მომწონს, რაღაც — არა. ამას წინათ ჩვენთან მუზეუმში პენ-მარათონი ჩატარდა. მშვენიერი ტექსტები დაიღო. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში რამეს თუ დაწერდნენ. ეს ნიჭიერებაზე მეტყველებს. ბოლო დროს ბევრი ახალი სახელი შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში და ეს ძალიან კარგია.

ესაუბრა ნინო კობახიძე

რეცენზია

ნინო ვახანია

მერანისეზური ტრაგედიის გმირი

(როსტომ ჩხეიძის პიესა „ლეგენდა ისკანდერისა“)

რამ გაყო ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, — კითხულობს როსტომ ჩხეიძე ერთგან („ორი დრო: ტრაგეზმში, მესიანიზმში, დემონიზმში“). მართლაც, რამ გაყო, რამ განასხვავა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, ამ მისიით საგანგებოდ მოვლენილი გმირები ერთმანეთისგან. საქართველოს ღვიძლი შვილი ვერ წარმოთქვამს ამ სახელებს გულგრილად. ხოლო თუ მწერალი თავის დანიშნულებად ქართველთა ბედისწერის გამორკვევას მიიჩნევს, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებათა მხატვრულ გააზრებას ვერ ასცდება.

თვალბედითმა, ავმა დრომ არ დააცალა მიხეილ ჯავახიშვილს, შეექმნა ჩაფიქრებული რომანი ქაქუცა ჩოლოყაშ-


ვილზე სავარაუდო სათაურით „შავი ჩოხა“ და იმავ თვალბედითმა და ავმა დრომ არ მისცა საშუალება გიორგი შატბერაშვილს, დაენერა მერანისეზური ტრაგედია, რასაც ასე სთხოვდა სანდრო ახმეტელი.

დაუნერელი რომანის, დაუნერელი პიესის სევდა გულს მოუკლავს ადამიანს, მაგრამ მწერალს, ცასა და მიწას შორის მოციქულად მოვლენილს, ვისაც სულიერი საერთო აკავშირებს წინამორბედ მწერლებთან და იარაღით მებრძოლ გმირებთანაც, სხვანაირად აუთრთობს გრძობაგონებას, სხვანაირად აუთრთობს სულს... და აი, ზედიზედ გამოჩნდა როსტომ ჩხეიძის ეს უკვე მერამდენე ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“ და ჯერჯერობით ერთადერთი პიესა „ლეგენდა ისკანდერისა“, თითქოს ერთმანეთის გაგრძელებად და შემავსე-

ბლად. მართლაც რამ გაყო ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი?

ამ ოროქმედებიან პიესაში დრო ზუსტად განსაზღვრულია, ოღონდ ავტორის მზერა მთლად საქართველოს სწვდება — უმორესი წარსულიდან უმორეს და დაუსრულებელ მომავლამდე.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი ლეგენდად იქცა, ამიტომ ეს რეალური პიროვნება კონკრეტულ დროსა და სივრცეშიც ცხოვრობს და მარადისობაშიც, განუყოფელ წარსულში, აწმყოსა და მომავალში. მისი სახეა ბევრად აღემატება არამარტო ჩვეულებრივი ადამიანისას, არამედ ჩვეულებრივი გმირის სახეასაც. მასშია განსახიერებული ღვთის რეული, იგი დედამიწაზე განსაკუთრებული დანიშნულებით მოვლენილი ადამიანია, რომლის ყოველ ნაბიჯს ზეცა მფარველობს, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მფრინავ რაშსაც უძღვნის, რათა პირნათლად აღასრულოს თავისი მისია — გმირული, დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფი სული შეუნარჩუნოს თანამემამულეებს.



ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი ნინაალმდეგობასთან, მტერთან ბრძოლასთან იყო გაიგივებული, 32 წლის შეთქმულებს მისი არსებობა აგულიანებდათ, სპარსეთიდან რეალურ დახმარებაზე მეტად იქნებ მისი მხარდაჭერის, სახელის, სულიერი თანაზიარობის ეიმედებოდათ. ბატონიშვილითა მეფობა სწორედ მისით უნდა აღდგენილიყო. „ეს სახელი ქართველებს თითქმის ორმოც წელიწადს აფრქოვებდა — ზოგს ბრახითა და შიშით, ზოგს კი სიხარულითა და იმედით“ (როსტომ ჩხეიძე).

პიესის დასაწყისშივე ავტორი მკითხველს დააფიქრებს ყალბისა და ჭეშმარიტის ურთიერთმიმართების შესახებ. გული-სყურიათა ადამიანმა როგორ ვერ უნდა გაარჩიოს ნამდვილი ფიროსმანი და მისი მიმბაძველები, „წმინდა ჭა“ და „ამღვრეული წყალი“, ხალასი და შერყენილი, პატრიოსანი თვალი და რიოში, ეროვნული გმირი და ცრუგმირი... ორი მწერლის — გიორგი შატბერაშვილისა და ოთარ ჩხეიძის — საუბარი ძალდაუტანებლად მოიყოლებს სხვა მწერლის, გრიგოლ აბაშიძის სახელს და ეს პიროვნება წარმოდგება ადამიანობის, მეგობრობის, ზნეობის, მოყვასის სიყვარულის ქრისტიანულ სიმბოლოდ.



ალექსანდრე ბატონიშვილი

თავად ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი უკვე გამოქვეყნებულიყო „მნათობში“ და ახლა სანდრო ახმეტელი გიორგი შატბერაშვილს მერანისებური ტრაგედიის შექმნას სთხოვდა. გადასახლებიდან დაბრუნებულ, სიმწარეგამოვლილ, უკვე ლეგენდაში გახვეულ მწერალს პიესაში იმავე თხოვნას უმეორებს მისი სულიერი თანაზიარი, უმცროსი მეგობარი ოთარ ჩხეიძე. ვის უნდა გაცოცხლებინა ალექსანდრე ბატონიშვილი, თუ არა ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის ავტორს? რამ გაყო ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი?

ალექსანდრე ბატონიშვილი არაერთი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი გამხდარა მანამდეც და მერეც, მაგრამ ყველგან ეპიზოდურად ან არასრულყოფილად და დახატული. მის მონუმენტურ ფიგურას, ისეთს, სულის სიმებს რომ შეარხევს და ქართველს ხმალზე აუთრთოლებს ხელს, ვერსად ვხედავთ. ალექსანდრე ბატონიშვილის წინაშე თითქოს შედრკა ქართული მწერლობა... მაგრამ მერანისებური ტრაგედია რატომ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ალექსანდრე ბატონიშვილით შთაგონებული?

პავლე ინგოროყვას ის მიგნება, რომ ბარათაშვილის გენიალური ლექსი სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის დაუოკებელ სწრაფვას გულისხმობს, ჩვენს დროში აღადგინა, გაიზიარა, დაასაბუთა და განამტკიცა როსტომ ჩხეიძემ. გამოკვლევა გამოკვლევად — უაღრესად საინტერესო, საგულისხმო, მნიშვნელოვანი, მაგრამ პიესაში, მხატვრულ ნაწარმოებში ნათქვამი სულ სხვა ძალისაა და განსაკუთრებულ, წარუშლელ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. პავლე ინგოროყვა ისე ცოცხლად და დახატული, რომ რეალურად ვხედავთ, მის გარეგნულ, დამახასიათებელ ნიშნებს ვარჩევთ, ხმაც გვესმის თითქოს. მეცნიერის მიერ სანდრო ახმეტელისთვის საკუთარი აზრის დასაბუთება, სპეციფიკური მსჯელობა, ბარათაშვილის კერძო წერილიდან ვრცელი პასაჟების მოხმო-

ბა მკითხველს არ ღლის, ოდნავ სიმძიმესაც კი არ აგრძობინებს. დილოგის სილაღე და სიმსუბუქე გითრევს და გაუნელებელი ინტერესით იკითხება.

მერანისებურმა ტრაგედიამ დავით ერისთავის „სამშობლოს“ ზემოქმედება უნდა გაიმეოროს. ასე სჯერათ, ასე ეიმედებათ ქვეყნის უკეთეს შვილებს. მთებს მთებზე შეადგამს სანდრო ახმეტელი და ჰოი, რა ფრენა იქნება სცენაზე...

მითად, ლეგენდად ქცეულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა უნდა შეეკრიბოს თავის თავში ქართველთა ოცნება, იმედი, მოლოდინი. გახსნას, დაგვანახოს ჩვენი არსებობის მიზანი, დანიშნულება, მისია. გააერთიანოს, შეკრას დრო ქალდეადან დღემდე, იქცეს ზერეალობად, გადალახოს დრო-სივრცის საზღვრები, გადაგვახედოს მიჯნის, ზღუდის იქით, გადალახოს და გადაგვალახინოს ბედის საზღვარი. ამაში კი მწერალი უნდა დაგვეხმაროს. ამ ფუნქციას იღებს თავის თავზე და ბრწყინვალედ ასრულებს კიდევ პიესის ავტორი.

„ხომ შეიძლება დაუნერვლი პიესის ტრაგედია ყოფილიყო მერანისებური სპექტაკლის სულისკვეთებაც და ზოგადი ქარგაც?“ — კითხულობს მწერალი.

სასურველი კი არა მხოლოდ, აუცილებელიც კი მგონია ამ პიესის სცენაზე დადგმა. ჩვენი რეჟისორები მოვალენი არიან, შექმნან ისეთი სპექტაკლი, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილის ხსოვნას და სახელს შეეფერება. მითუმეტეს, რომ საზოგადოების, მაყურებლის განწყობა, სურვილი და ასეთი სანახაობისათვის მზადყოფნა უკვე დაადასტურა მარჯანიშვილის თეატრში გაცენიურებულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და აბა, რამ გაყო ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი?

მოლოდინი დიდია. ეს პიესა არ არის მარტო „საკითხავი დრამა“, როგორცაც ალექსანდრე ორბელიანი წერდა ხოლმე. ეს სწორედ სცენაზე წარმოსადგენი პიესაა.

სევდა და აღმაფრენა, მოთქმა და ხალისი ერთდროულად ჩანს ხეილა ქართველთა ხასიათის საფუძველში, მის გულის-გულში. ისევე იგივე ნაღველი მსჭვალავს ჩვენს ყოფას, მღერა და ლხენაც ისევე იმავე ძალით აღგვანებს.




ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ამიტომ ხვდება გულს განსაკუთრებულად თარის კვნესა, ამიტომ აღვიქვამთ განსხვავებულად ერთმანეთზე შედგმულ კავკასიონის მწვერვალებს („აბა, შეადგით ერთმანეთს მთები“) და მთიდან მთაზე მფრინავ რაინდებს.

რემარკები ისე ოსტატურადაა შედგენილი, რომ, ერთი მხრივ, გიადვილებს აღწერილის ზუსტად წარმოდგენას, მეორე მხრივ კი თითქოს ღიაცაა და გიტოვებს საშუალებას, საკუთარი ფანტაზიით შეავსო, უფრო სწორად, დააზუსტო მუსიკა, ფერი, ხმა, ნივთი... შენთვის წარმოდგინო ის კაფე, რომელშიც ორი დიდი მწერალი ერთ ნაღველს წაუღია, მათი ფიქრი არამარტო მთელ საქართველოს, არამედ გაერთიანებულ კავკასიას წვედება და ერთმანეთს სთხოვენ კავკასიის საერთო გმირის, ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ პიესის დაწერას...

რამ გაყო ერთმანეთისგან ალექსანდრე ბატონიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი?



თამარ ჩიჯავაძე
**ლია
წერილი
ტარიელ
ჭანტურიას**

აი, წინ მიდევს შენი 1979 წელს გამოცემული „თაფლობის საუკუნე“ და გაცემული ვკითხულობ ნინის პირველ გვერდზე დაწერილ მართლა თაფლივით ტკბილ სტრიქონებს — „ჩემს ძვირფას მწიგნობარ დაიკო თამუნას და შოთა ნიშნინიძეს — ჩემს უსაყვარლეს პოეტს, ვისიც ვალი მაქვს: ერთი გენიალური ლექსი მმართებს! ჩემო შოთა! თუ არ გადაგვიხადო, ტარიელი კი არა, ფატმანი ვიყო!“

1979 წელი... შოთას „კომუნისტები“ მგონი უკვე გამოქვეყნებულია. თუმცა აი, 1982 წელს გამოცემულ შენს რჩეულსაც დაახლოებით იგივე წარწერა ამშვენებს — „ძვირფას თამუნას! ჩემს უსაყვარლეს პოეტსა და ძმას — შოთას! ტარიელი“.

ამ დროს კი „კომუნისტები“ ნაღვად გამოქვეყნებულია. ესე იგი, ახლა უკვე 30 წელია გასული. ვზივარ და მიკვირს, ნუთუ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ გიფიქრია, პირადად შოთასთვის გეთქვა, ან მის სიცოცხლეში დაგწერა ის, რასაც დღეს ასე აღუშფოთებინარ?! დაგწერა, ხომ იცი, შოთა არ გიპასუხებდა და ისიც იცი, ალბათ, რატომ... არც მე გიპასუხებდი, რომ არა გაუთავებელი სატელეფონო ზარები: „ნაიკითხე?“, „ნაიკითხე“?

სიმართლე გითხრა, არ მინდოდა ნამეკითხა, ვიცოდი, გული მეტკინებოდა. ბოლოს გაზეთიც მომიტანეს, შოთას შენეული შეფასებები წითელი ფანქრითაა შემოხაზული.

არ ვიცი, რამდენჯერ წავიკითხე ის ადგილები. ვერ მივხვდი, რა მოხდა, რამ ავადლევა ასე. კი, მაგრამ რა შენი საქმეა, შოთამ რა დაწერა და რა შეიტანა წიგნებში? იქ სხვებსაც არიგებე ჭკუას (გარდაცვლილებს) და დასძინ — კარგი ადამიანების იმედი მაქვს, კარგად გამოიგებენ, ცუდებს არ მოეწონებათო. შეიძლება, შენ კარგები გირეკავენ და გაქებენ, ჩემთან კი „ცუდები“ რეკავენ და ცუდად გაგიგებენ, ძალიან ცუდად...

შენი ფსევდონიმი მახსენდება „ტიატია“. ტია-ტიას ხომ ბუღბუღი გალობს, შენ კი რა ბოლმითა და გესლით გქონია ჩიჩახვი გატყინილი. კიდევ კარგი, რომ გადმოანთხიე, თორემ საკუთარი გესლი მოგშხამავდა. ისე კი დაგიგვიანდა, ამდენი ხნის დაგუბებულმა შხამმა, ეტყობა, ჯანმრთელობა შეგირყია.

იცი, რას ვფიქრობ? შეიძლება შოთას „რჩეული“ გადაათვალიერე, მერე შენსასაც გადააველე თვალი და...

ერთ რჩევას მოგცემ, სულმა არ წაგძლიოს და ისევე არ ჩაიხელო შოთას რომელიმე კრებულში, თორემ ის დაგემართება, ხართან გაჯიბრებულ ერთ საცოდავ არსებებს რომ დაემართა.

„ახალი ხუთთახიანი ბინა გინდა? შენი პირველ პოეტად გამოცხადება, დაუმსახურებელი დაფნა, სხვისი პრემია, სხვისი სახელ-დიდება?“

ვისი დაფნა და გვირგვინი მიიტაცა შოთამ? შენი?! რომელი პრემია არა გაქვს?

თუ შენ — ტარიელ ჭანტურიას — გეკუთვნოდა და შოთა ნიშნინიძეს — არა?!

როგორ მიყვარდა ბავშვობაში ეს წინადადება ერთი არაკიდან — „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით“.

ერთი რამ მიკვირს, შენ თუ ვინმე შეგეხობ, „პასკვილიანტია, უნიჭობის განსახიერებაა, მანიაკია, ოღონდ თავის თავზე არაფერი იცის“. შენ კი პირუთვნელი მეტრი ხარ და ანანილებ, ვის რა ეკუთვნის. ჩემთვის სხვა ვინმეა მანიაკი, რომელმაც იცის მანიაკი რომ არის, მაგრამ მოსწონს მანიაკობა.

ერთ ადგილას წერ, საქართველოშიც იყვნენ მწერლები, რეჟისორები და ბალერინები, რომლებსაც ბევრი რამის უფლება ქონდათ მიცემული შეფებისგან, ალბათ იცით, რითაცო! „მინდა, ამ ჩანანერის მკითხველმა ყურადღება დაძაბოს და ჩემს დაუხმარებლად გამოიცნოს ის პოეტიც, ის რეჟისორიც, ის ბალერინაც, ის მხატვარიც...“

კი მაგრამ, შე კაი ადამიანო, რას ანვალე მკითხველს, რას აძაბინებ გონებას, პირდაპირ რომ თქვა, არ შეგიძლია? თუ — ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და თან ისეთი პიროვნებები უმაგრებენ ზურგს, გემინია. გონების დაუძაბავად ხვდები, ალბათ, ვისაც ვგულისხმობ.

ერთ ქალბატონსაც უტყენია შენთვის გული, ვისაც შენი კურთხევით შეუდგამს ფეხი პოეზიაში და აკაკის მოშველიებით მიმართავ:

„სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ ქალად ვერ გამიზრდისარ“.
უპრიანი იქნებოდა, მომდევნო ორი სტრიქონიც რომ მიგეყოლებინა:
„ესა სთქვა და საფუთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია“.

ისევე შოთას მიუზღრუნდები, უფრო სწორად — შოთას ხუთთახიან ბინას. ერთადერთხელ იყო ჩვენთან, ისიც შოთას პანაშვიდზე და ოთახები როგორ დათვალამეთქი (ისე, სწორად ვერ დაგივლია!) — ვიკითხე და ერთმა შენმა ძალიან ახლობელმა ნაიქილიკა: ტარიელმა ისიც კი იცის, ვის რანაირი „ლუსტრა“ უკიდიაო.

მართლა! რუსთაველის პრემიის მიმნიჭებული კომისიის თავმჯდომარედ რომ მოვევლინე მწერლობას, გუუხერხულა, სხვას უფრო ეკუთვნოდაო?

„ცნობილ ხუთეულში“ რომ შეგიყვანეს, სირცხვილით დაინვი, ეს უკვე მეტისმეტია? თუ „ბრწყინვალეების ორდენი“ რომ ჩამოიკიდე, შენ გეკუთვნოდა და სხვას — არა?

ისე, როგორც შენ ამბობ შოთაზე — პირდაპირ ვთქვათო, მეც პირდაპირ გეტყვი: „ტია-ტია“ კი არა, თურმე ჭია-ჭია ყოფილხარ, მიცვალეულს რომ არ ასვენებს და ღრწის დაუნდობლად.

აი, კიდევ ერთხელ დაგვხედე შენს ნაჩუქარ წიგნზე წარწერას და ამასაც პირდაპირ გეტყვი: ჩემთვის ამიერიდან ტარიელი აღარა ხარ!..

დასაწყისი №60-62

ლორკა - ლირიკა

არა მგონია, აქ საკამათო იყოს რაიმე.

მათხოვარი - მაცხოვარი

ვისზე, თუ არა მაცხოვარზე, იფიქრებს ხელგანვდილი კაცი!

პრაქტიკატივი - ყელზე განთიქვით

სიცხე - სითხე

არაფერი არ არის სიცხეში ორგანიზმისთვის ისე აუცილებელი, როგორც სითხე. ამ თვალსაზრისით ეს რითმა პირდაპირ ჭკუის კოლოფია.

მარი კიური - მანიკიური

ნობელის ერთი პრემია მარია სკლადოვსკა-კიურიმ ფიზიკაში მიიღო, მეორე - ქიმიკაში. ამის მიუხედავად, იგი უპირველეს ყოვლისა, ქალი იყო. სწორედ ამას „ამტიკიცებს“ რითმა - ჭკვიანი, ოღონდ მარი კიურიზე ჭკვიანი ვერა!

დასვრიტო - დაღვრიტო

აქაც დუმილი ჯობს - ყველაფერი სამნუხაროა და გასაგები!

კარპატი - გარპატი

სხვათა შორის, ჭკვიანი რითმა რუსულადაც ჭკვიანია. კონკრეტულად ამ სართომო წყვილის „ჭკუა“ იმაში მდგომარეობს, რომ მთა ყველა კუზიანია და, მაშასადამე, კარპატები გამონაკლისი ვერ იქნება (ეს რითმა იმაზეც დააფიქრებს კაცს, რომ, გარდა ჭკვიანი რითმისა, უნდა არსებობდეს ჭკვიანი მეტაფორაც).

ამ ბალის - ზამბაზი

გოკაპი - კოვკაპი

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ერთი - უკრაინული ცეკვაა, მეორე კი



- უკრაინელი პარტიზანი, ლექსიკონში ამ წყვილის შეტანა გამართლებული მოგვეჩვენება.


მეც ობლობა - მეზობლობა

მეც ობლობა გამომიციდიაო ალბათ. მეზობელი ერთადერთი ნუგეშია ამ დროს. მე ეს კარგად ვიცი. იცინა ჩემმა მეზობლებმაც.

რიგანტროპი - ჰიპერტროფია

მე ის მიკვირს, რატომ ეს სიტყვა - ჰიპერტროფია - ჰიტლერსაც არ ერითმება!

ტარიელ ჭანტურია ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან



ნარონი - ნარინი

ეს ანტი-რითმა უფროა, ასე ვთქვათ, რითმა ოპოზიცია. აქეთ ნარონი - გათახსირებული მკვლეელი, იქით - საცოდავი დავით ნარინი...

ანტიპოდები ვერ შეადგენენ ჭკვიან და ლოგიკურ რითმას, მაგრამ მუსიკალური კეთილხმოვანების თვალსაზრისით დასაწინააღმდეგებელი არაა.

ფირალი - ვარალი

თუ ვინმეს სჭირდება პაროლი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა ყაჩაღსა და გავარდნილ კაცს.

უნიტაზს - სუნითაც...

განმარტება და კომენტარი ამ შემთხვევაშიც ზედმეტია.

ყაჩალი - ყოჩალი

დაფეხვილი ყაჩალი როგორღაც ვერ წარმოგიდგენია - იგი ლონიერია, მარჯვე, სწრაფი, გამჭრიახი, მოკლედ - ყოჩალი!

ფილინი - ფილი

სხვათა შორის, ფელინის კინალამ ფულიც გავურითმე - ფლ კომპლექსი რითმობისთვის სასურველი საკმარის კეთილხმოვანებას სძენს ამ სიტყვებს: ფელინი - ფილი, ან ფელინი - ფული!

იურსენარი - კარგი სენარი

მე არ ვიცი, გამოჩენილი ფრანგი მწერალი, უკვდავთა აკადემიის წევრი ერთადერთი ქალი მარგერიტ იურსენარი წერდა თუ არა სცენარებს, მაგრამ ის ვიცი, რომ კარგი მწერლის ეპითეტად „კარგი“ უნდა ვიხმაროთ და არა „ცუდი“, როგორც ეს კრიტიკას ემართება ზოგჯერ.

ხვატი - ხვალი

მართალია, ქართულში სქესი არ არის, მაგრამ პაპანაქება სიტყვებს „დედალი“ მაინც არ ეთქმის.

ქონებით - ქონებით

ცხადია, მგლის მადიანი გამხდრებიც არსებობენ, მაგრამ ქონება და ქონები ე.ი. ლიპი მაინც უფრო ხშირად იხსენიება ერთად.

ადამიანი - ატომიანი

დღეს დედამიანა იყოფა ადამიანებად და ატომიანებად.

იყოს! ჯუნა მიქატაძე - შოთა მიქატაძე! ორთავ მიქატაძე! ორთავ მოქანდაკე!

საქვანი - სახვანი

ბადე - ბადი

რა თქმა უნდა, ყოველი ნასროლი ბადე გულისხმობს ბედსა და უბედობას!

ჰაუზიცა - უზიიცა

ვერ გეტყვით, გაურითმავთ თუ არა რუს პოეტებს ეს ორი სიტყვა, მაგრამ რომ ეს შესაძლო იყო, თქვენც ხედავთ: მკვლელს მერძევე და მეპურეზე უფრო ჰაუზიცა ერითმება!

ტელევიზორმაც - ზარმაცს

ზარმაცისა და ტელევიზორის დაწყვილება არ ჩანს ჭკუას მოკლებული - ყოველ ჩვენგანს აქვს საკუთარი სავარძელი და საყვარელი რაკურსი - ვსხედვართ და ვუყურებთ (კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, ქვე-რითმა: ადინამია ადამიანი).

მარნუხას - მანუხას

გასაკვირი ის იქნებოდა, მარნუხს სიხარული მოეგვარა ადამიანისათვის!

აშურ ბანიპალი - ჰანიპალი

ეს რითმა არქაული კი არ არის მხოლოდ, იგი ძველი სამყაროს ორი გამოჩენილი სარდლის დაგვიანებული შეხვედრაა („ისტორია - ეს არის ადამიანთა შეხვედრები საუკუნეებში“. მ. ბლოკი).

აშურ ბანიპალი ჰანიპალს რითმამ შეახვედრა.

რალა მაინცა და მაინც ჰანიპალს შეახვედრა იგი რითმამ და არა სხვა რომელიმე სარდალს, ველი ასეთ კითხვას.

მე ეს არ ვიცი, ეს იცის... რითმამ. თუმცა, რატომ - სხვასაც შეახვედრა: აშურ ბანიპალი - ბონაპარტე.

ისევ - ხელმწიფე ხელმწიფესთან, სარდალი სარდალთანაა დაწყვილებული...

კრემლი - ცრემლი

პაღე - პენღე

გარდა იმისა, რომ პეღე კარგად ურტყამდა პენღებს, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთი პენღალტი აქვს გაფუჭებული - ლოგიკური ჩანს ფეხბურთელისა და საფეხბურთო კომპონენტის დაწყვილება.

მერილინ - მორალი

შეუძლებელია, ულამაზესი და უჭკვიანესი მერილინ მონროს გასხენებამ ადამიანი არ დააფიქროს ცხოვრების წესზე და, განსაკუთრებით, მორალზე.

ჩუზინს - შუზი

ისრიდან შუზამდე შუზის ტოლა მანძილია.

მეზის - შევის

თუ მონარქი ნამდვილი მონარქია, მაშინ მეფე ყველაზე ღიდი შეფია!

ან ბალოცათ - ანბალოსად

ლოცვისა და ანგელოსის დაწყვილება გაცილებით ბუნებრივია, ვინემ, ვთქვათ, შიფონერისა და ლოცვის.

გაბრძოლება იქნება

ლიტერატურული გაზეთი
გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com